

The international scientific peer  
reviewed journal

საერთაშორისო სამეცნიერო  
რეცენზირებადი ჟურნალი

GULANI

გულანი

Akhaltsikhe ახალციხე

2024

Samtskhe-Javakheti State University

27

# GULANI

Linguistics, Literature Studies, History and Education

**Editor:**

Maka Beridze, Samtskhe-Javakheti State University, Georgia

**Editor Council:**

**Linguistics:**

Inga Rhutidze (**Editor**) Samtskhe-Javakheti State University, Georgia

**Jerard Gavanakhi**, Limerikis Technological Institute, Ireland

**Klodin Blokhi**, Freeburg University, Switzerland

**Karmen Alen Garabato**, Montphel Paul Valer University, France

**Literary Studies**

Nestan Sulava (**Editor**) Samtskhe-Javakheti State University, Georgia

**Cornelia Horn**, The Martin Luther University of Halle-Wittenberg, German

**Natalia Sokolovskaia**, Literary scholar, writer, Russia

**Onomastics**

Merab Beridze (**Editor**) Samtskhe-Javakheti State University, Georgia

**Mustafa Shenel**, Kafkas University, Georgia

**Paata Tskhadaia**, Tbilisi State University, Georgia

**Igor Kekelia**, Georgia

**Education**

Irma Kurdadze (**Editor**) Samtskhe-Javakheti State University, Georgia

**Zakaria Furtskhvanidze**, Franfurt Goethe University, German

**Ronda Sopher**, Gorgon Education Academy Collage, Israel

**Anzor Barkalaia**, Tartu University, Estonia

## გულანი

ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორია, განათლება

**მთავარი რედაქტორი:**

მაკა ბერიძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

**სარედაქციო საბჭო:**

### ენათმეცნიერება

ინგა ლუტიძე (რედაქტორი), სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ჯერარდ გავანაჰი, ლიმერიკის ტექნოლოგიების ინსტიტუტი, ირლანდია

კლოდინ ბლოხი, ფრიბურგის უნივერსიტეტი, შვეიცარია

კარმენ ალენ გარაბატო, მონტფელერის პაულ ვალერის უნივერსიტეტი,

საფრანგეთი

### ლიტერატურათმცოდნეობა

ნესტან სულავა (რედაქტორი), სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, საქართველო

კორნელია ჰორნი, ჰალე-ვიტენბერგის მარტინ-ლუთერის უნივერსიტეტი,

გერმანია

ნატალია სოკოლოვსკაია, ლიტერატურათმცოდნე, მწერალი, რუსეთი

### ონომასტიკა

მერაბ ბერიძე (რედაქტორი), სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

საქართველო

მუსტაფა შენელი, კავკასიის უნივერსიტეტი, თურქეთი

პაატა ცხადაია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

იგორ კეკელია, საქართველო

### განათლება

ირმა ქურდაძე (რედაქტორი), სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, საქართველო

ზაქარია ფურცხვანიძე, ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი, გერმანია

რონდა სოფერი, გორდონის განათლების აკადემიის კოლეჯი, ისრაელი

ანზორ ბარკალაია, ტარტუს უნივერსიტეტი, ესტონეთი

*УДК (უკ) 81+82+93/94+37*  
*UDC გ 936*

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: *ნინო კარკაძე*

ტექნიკური რედაქტორი: *ნინო ზერიძე*

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №113

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

საგამომცემლო ჯგუფი: *ლარისა გურგენიძე*  
*ლია ზედგინიძე*

© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2024  
ISSN 1987-6157

*მარიკა თედორაძე*

*ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ-პრიფესორი,  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ქუთაისი,*

**სოფელ ოზრის (ბაღდათის მუნიციპალიტეტი)  
მიკროტოპონიმია**

**მოკლე შინაარსი**

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია იმერეთის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის – ბაღდათის სოფელ ოზრის (პირველი და მეორე ოზრის) მიკროტოპონიმები. ადგილის სახელწოდებები (400-მდე ერთეული) დალაგებულია ანბანის რიგზე და გაანალიზებულია როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური თვალსაზრისით. მიკროტოპონიმთა ნაწილი აღნუსხულია სხვადასხვა სახის დოკუმენტებსა და ლექსიკონებში, ნაწილი კი ჩვენ მიერ უშუალოდ ველზე არის ჩაწერილი და არ ფიქსირდება შესაბამის კვლევებში.

სოფელ ოზრის შესახებ არქეოლოგიური მასალები და წერილობითი წყაროები მწირია. ქართულ საისტორიო ძეგლებში იგი XVI საუკუნის დასაწყისიდან მოიხსენიება. სახელწოდებასთან დაკავშირებით არსებობს როგორც მეცნიერული მოსაზრებები, ასევე, ხალხური გადმოცემები.

საანალიზო სოფლის ტოპონიმები ფორმოზრივად მრავალფეროვანია. გვხვდება **სუფიქსური**, **პრეფიქსული** და **პრეფიქს-სუფიქსური** წარმოების ნიმუშები, ასევე, **კომპოზიტური** აგებულების სახელები.

**სუფიქსებით** გაფორმებული ტოპონიმები ყველაზე გავრცელებულია: **-ებ:** ბჟოლ-**ებ**-ი, ტყემლ-**ებ**-ი; **-სეულ**->**სოულ**: კოდალა-**სოულ**-ი, ვაჩაი-**სოულ**-ი; **-ოურ**//**-ოულ**: თოხ-**ოურ**-ი, კუპრ-**ოულ**-ი; ხშირია **პრეფიქს-სუფიქსური** წარმოების ნიმუშები: **სა-ყიფ-იან-ო**, **სა-რეხ-ე**, **სა-ჩქეფ-ელ-ა**, **სა-ტყე-ურ-ა**, **ნა-მეხ-არ-ი**; **პრეფიქსული** წარმოება: **ნა-სახლ-ი**, **ნა-საყდრ-ი**, **ნა-მოსახლ-ი**, **ნა-**

ძრახ-ი. უაფიქსო, მარტივფუძიანი ტოპონიმები შედარებით ნაკლებად დასტურდება: ეწერი, ჯვარი, დუბე. მრავლადაა კომპოზიტიური აგებულების ტოპონიმები: დიდკუნჭულო, ცივყანა, პატარა მინდორი. ვაკეწიფლარი... კოდის დობილო, ტყის პირი...

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ობჩის მიკროტოპონიმია ნათლად წარმოაჩენს ქართული სიტყვაწარმოების მრავალფეროვნებას.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ლექსიკა, ქართული ტოპონიმია, სოფელ ობჩის მიკროტოპონიმია, ტოპონიმთა სტრუქტურა.

*Marika Tedoradze*

*Doctor of Philology, Assistant Professor,  
Akaki Tsereteli State University,  
Georgia, Kutaisi,*

## **MICROTOPONYMY OF THE VILLAGE OBCHA (BAGHDATI MUNICIPALITY)**

### **Abstract**

The presented paper discusses microtoponyms of the village Obcha in Baghdadi (the first and second Obcha), one of the municipalities of Imereti. The place names (up to 400 units) are arranged in alphabetical order and analyzed from both structural and semantic points of view. Some of the microtoponyms are listed in various documents and dictionaries, while some are recorded by us directly in the field and are not present in relevant studies.

Archaeological materials and written sources about the village of Obcha are scarce. It is mentioned in Georgian historical monuments from the beginning of the 16th century. Regarding the name, there are both scientific opinions and folk traditions.

The toponyms of the analyzed village are diverse in form. There are examples of **suffix**, **prefix** and **prefix-suffix** formation, as well as the **composite** names.

Toponyms formed with **suffixes** are the most common: **-eb**: bzhol-**eb**-I; tkeml-**eb**-i; **seul->soul**: kodala-**soul**-i, Vachai-**soul**-i; **-our//oul**: tokh-**our**-i, kupr-**oul**-i; Examples of **prefix-suffix** formation are frequent: **sa**-kip-yan-**o**, **sa**-rekh-**e**, **sa**-chkef-**el-a**, **sa**-tke-**ur-a**, **na**-mekh-**ar-i**; **Prefix** formation: **na**-sakhl-i, **na**-sakdr-i, **na**-mosakhl-i, **na**-dzrakh-i. **Infixed**, simple-based toponyms are relatively less attested: **Esteri**, **Jvari**, **Dube**. There are many toponyms of **composite** structure: **Didkunchulo**, **Tsivkana**, **Patara Mindori**. **Vaketsiflari... Kodis dobillo**, **Tkis piri..**

The microtoponymy of the village Obcha in Baghdati municipality clearly shows the variety of Georgian word formation.

**Key Words:** Georgian vocabulary, Georgian toponymy, microtoponymy of the village Obcha, structure of toponyms.

**შესავალი:** ადამიანი უხსოვარი დროიდან გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების შერქმევის პროცესს გააზრებულად და მოტივირებულად უდგებოდა. სწორედ ამიტომ სახელწოდებათა დიდ ნაწილში ადგილობრივი ბუნებრივი პირობებისათვის დამახასიათებელი შინაარსი აისახა. საუკუნეების განმავლობაში ეს პირობები გარკვეული მიზეზების გამო შეიძლება შეიცვალოს, გეოგრაფიული სახელწოდებები კი უცვლელი დარჩეს.

ნაშრომში განვიხილავთ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ობჩის მიკროტოპონიმებს.

**ობჩა** ორი სოფლის – პირველი და მეორე ობჩის საერთო სახელია. **პირველი ობჩა** მდებარეობს მდინარე ხანისწყლის მარჯვენა მხარეს, **მეორე ობჩა** კი – მდინარე ლუხუტას სანაპიროზე.

სოფლის ისტორიის შესახებ არქეოლოგიური მასალები და წერილობითი წყაროები მწირია. ობჩის დასახლებისა და სოფლად ჩამოყალიბების თარიღი უცნობია. ქართულ საისტორიო ძეგლებში იგი XVI საუკუნის პირველი ათეული წლებიდან მოიხსენიება. ცნობილ „ბიჭვინთის იადგარში“ (ეკლესიისათვის შეწირულ სოფელთა ნუსხა), რომელიც 1525-50 წლებშია შექმნილი, **ოფჩა** მოიხსენიება: „გკადრეთ და შემოგწირეთ მცირე ესე და კნინი შესაწირავი სამძვალე ჩუენი სახსრად სულისა ჩუენისასა: გელათს საყდარი სადედოფლო წმიდის გიორგისი, ასის კუამლის კაციტა; რაჭას – სოფელი ბარი, სასახლე და მონასტერი, ერთის აზნაურის-

შვილითა ჩიკუტიძითა და ოცდაათით კუამლის კაციტა, ტყითა, ველითა, მითითა, წყლითა, საძებართა და უძებართა; აგრევე მონასტერი ციხისა; ლეჩუმს – საჩხური, წუგნა, კუებლევი ოცდახუთის კუამლის კაციტა; **ოფჩას – ბურჯანამენი** რვა კუამლი კაცი“ (ქსმ, 2, 1965: 178). დოკუმენტის მიხედვით, XV-XVI საუკუნეებში **ობჩა/ოფჩა** რაჭისა და ლეჩუმის ტოლ ერთეულად არის წარმოდგენილი.

სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებით არსებობს როგორც მეცნიერული მოსაზრებები, ასევე ხალხური გადმოცემები.

იუსტ. აბულაძის დაკვირვებით, **ობჩა** სპარსული წარმოშობის ტოპონიმია; მიღებულია **აბ** (წყალი) და სპარსული კნინობითობის აღმნიშვნელი **-ჩა** ნაწილაკის შეერთებით: **აბ+ჩა**. მოგვიანებით მდინარის სახელი **აბ-ჩა** სოფელზე გადავიდა, იქვე ჩამომდინარ წყალს კი ადგილობრივი სახელი **ლუხუტა** შერქმევიაო (აბულაძე, 1989: 281).

ზ. დათუაშვილის აზრით, თუკი სახელწოდებას საფუძვლად უდევს **ობ/აბ**, რომელიც ირანულენოვანი წარმოშობისაა და „წყალს“ ნიშნავს, როგორ უნდა აიხსნას **ჩა** კომპონენტი? ტოპონიმ **ობჩის** მეორე ნაწილი (**ჩა**) შესაძლებელია თურქული წარმოშობისა იყოს და მეზობელ მაჰმადიანურ სამყაროში საკმაოდ გავრცელებული **ჩაის** ვარიაციას წარმოადგენდეს (ჩაი „წყალს“ ნიშნავს). რაც შეეხება დამკვიდრებულ **ობჩა** ფორმას და სავარაუდო **ი-ს** გაქრობას, ეს მოულოდნელი არ უნდა იყოს, რადგან **ი** დროთა განმავლობაში დაიკარგა (დათუაშვილი, 1993: 66).

გ. ბედოშვილი ტოპონიმ **ობჩა (/ოფჩა)**-ს ზანურ წარმონაქმნად მიიჩნევს. შესაძლებელია იგი მომდინარეობდეს ჭანურ-მეგრული **ო-ფშ-ა/მო-ფშ-ა** სიტყვისაგან, რაც „სავსეს“, „ბევრს“ ნიშნავს (ჩიქობავა, 1938: 240). სოფელს ეს სახელწოდება გამორჩეული სიუხვე-ნაყოფიერების გამო უნდა დარქმეოდა. მეცნიერი სავარაუდოდ უშვებს თურქულ წარმომავლობასაც: **ხოფ-ჩაი** „ხოფის ეკლესიის მდინარე“. საინტერესოა ის ფაქტი, რომ **ობჩაში** დღემდე შემორჩენილია ხოფის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი (შუა საუკუნეები), რომლის მიხედვითაც შესაძლოა სოფელს დაერქვა სახელი. მაშასადამე, **ოფჩა/ობჩა** უნდა გავიაზროთ როგორც **ხოფ-ჩაი** (-> **ჰოფ-ჩა->ოფ-ჩა**) თავკიდურა **ჰ/ზ**



თანხმოვნის მოსალოდნელი დაკარგვით. იგი, ალბათ, ნიშნავს: „ხოფის [მონასტრის] მდინარე“ (ბედოშვილი, 2002: 304-306).

არსებობს ხალხური ვერსიებიც. ადგილობრივთა გადმოცემით, ტოპონიმი **ოზზა** მიღებულია **ოზი**-საგან, რადგანაც სოფლის ტერიტორია ძველად ძალიან ნესტიანი და „ობიანი“ ყოფილა.

სხვა მოსაზრებით, ძველად, თურქობის დროს, მდინარე ლუხუტას სათავეში ხშირად იკრიბებოდნენ ქალები სარეცხისთვის. თურქებსაც ეს ადგილი იზიდავდათ, იტყოდნენ – წავიდეთ წყაროსთანო (**ოზზა** „წყალი“, „წყარო“). გულისხმობდნენ იმ ადგილს, სადაც ქალები რეცხავდნენ.

სოფელ **ოზზას** ადგილობრივები **საყიფიანოსაც** უწოდებდნენ, ვინაიდან სოფელში გავლენიანი თავადები – ყიფიანები ცხოვრობდნენ.

**მეთოდები:** საკითხის შესწავლისას გამოვიყენეთ სხვადასხვა მეთოდი: აღწერითი მეთოდის გამოყენებით აღვსუსხეთ და წარმოვაჩინეთ სოფლის მიკროტოპონიმები; შედარებითი მეთოდის საშუალებით სოფელში ჩაწერილი ტოპონიმიკური მასალა შევუდარეთ სხვადასხვა ლექსიკონებსა და ნაშრომებში წარმოდგენილ შესაბამის მონაცემებს; ანალიზის მეთოდით შევისწავლეთ სოფელ ოზზის მიკროტოპონიმთა სტრუქტურა და სემანტიკა (მოტივაცია).

**მსჯელობა/დისკუსია:** საანალიზო სოფელში ჩავიწერეთ 400-მდე მიკროტოპონიმი. ტოპონიმთა ნაწილი გვხვდება სხვადასხვა სახის დოკუმენტებსა და ლექსიკონებში, ნაწილი კი არ არის აღნუსხული. მასალა დალაგებულია ანბანის რიგზე და შესწავლილია სტრუქტურული და სემანტიკური თვალსაზრისით.

ა) სოფელ ოზზის ტოპონიმები **ფორმობრივად** მრავალფეროვანია. გვხვდება როგორც **სუფიქსური**, ისე **პრეფიქსული**, ან კიდევ **პრეფიქს-სუფიქსური** წარმოების ნიმუშები. შედარებით იშვიათია **უაფიქსო**, ანუ მარტივუმიანი ფორმები. ასევე, **კომპოზიტური** აგებულების სახელები.

1. **სუფიქსური** წარმოების ტოპონიმები ყველაზე გავრცელებულია. სუფიქსებად წარმოდ-გენილია: **-ეთ**, **-თი**, **-ნარ/-ნალ**, **-ებ**, **-ია**, **-ა**, **-იან**, **-ალ/არ**, **-ურ/ულ**, **-ოურ/-ოულ**...

სუფიქსთაგან ყველაზე პროდუქტული ჩანს **-ებ**. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ **-ებიანი** მრავლობითის

ფორმები თავს იჩენს გვიანდელი ხანის ტოპონიმულაში. ძველ ქართულს თითქმის არ ახასიათებდა ამ სახის წარმოება. **-ებ** სუფიქსი ტოპონიმებშიც მრავლობითობას, კრებითობას აწარმოებს (ზურაბიშვილი, 1961: 144): ევკალიტ-**ებ**-ი (I ობზა), დაფნ-**ებ**-ი – ყანა (I ობზა), ბუღ-**ებ**-ი – სახნავი (II ობზა), ტყემლ-**ებ**-ი – სახნავი (I ობზა); სილ-**ებ**-ი – სახნავი (I ობზა), გოგავ-**ებ**-ი – სოფლის უბანი (II ობზა), ორმუხ-**ებ**-ი – ტყე (II ობზა)...

შდრ.: **-ებ** სუფიქსი მიუთითებს არა მრავლობითობაზე, არამედ ტოპონიმის სიდიდეზე; **ჭურითავე** ნიშნავს არა ჭურისთავის სიმრავლეს, არამედ ჭურის მიმდებარე ტერიტორიას ეწოდება. ანალოგიურადაა ნაწარმოები **სილები**, ანუ **სილის** მიმდებარე ტერიტორია (ჯაჯანიძე, 1972: 89).

**-ა** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები: გუმბრალ-**ა** – ტყე (I ობზა), შაბრან-**ა** – ტყე (II ობზა), სარკიათ-**ა** – სახნავი (I ობზა), ლუხუტ-**ა** – მდინარე (I ობზა), ჭყეპ-**ა** – ადგილის სახელი (I ობზა)... მსგავსი წარმოების ტოპონიმები ძველი ქართულიდან მოყოლებული ფართოდაა გავრცელებული. ტოპონიმებში დადასტურებული **-ა** კნინობითობასაც მიუთითებს, მაგრამ მას აქვს ძირითადად ქონების, მსგავსების, თვისების მნიშვნელობა (ზურაბიშვილი, 1961: 151).

ქართულში ქონების მაწარმოებელთაგან მეტად პროდუქტიულია **-იან** სუფიქსი. ობზის ტოპონიმულაში იგი მცირე რაოდენობით გვხვდება: **-იან** > **-ან**: ძეძევ-**ან**-ი < ძეძევ-**იან**-ი – ვენახი, სახნავი, ძეძვიანი ადგილი. შდრ.: **ძეძვი** (იმერ.) – ნაგავი (ღლონტი, 1984: 686); ლელვ-**ან**-ი < ლელვ-**იან**-ი.

საანალიზო ტოპონიმების ერთი ჯგუფი ნაწარმოებია **-სოულ** სუფიქსით, რომელიც მიჩნეულია **-სეულ**-ისაგან მომდინარედ, მიღებული ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: პეტრეს-**ოულ**-ი – „პეტრესელი“; მამის-**ოული** – „მამისელი“ (ჯორბენაძე..., 1988: 354). ამგვარად ნაწარმოები ტოპონიმები მიუთითებენ ადგილის მფლობელზე, რომ ეს ადგილი იყო მათი კუთვნილება. მაგ: ამილახოური-**სოულ**-ი – სათესი (I ობზა), დათიკა-**სოულ**-ი – სათესი (I ობზა), კოდალა-**სოულ**-ი – სათესი (I ობზა), ვაჩაი-**სოულ**-ი – ყანა (I ობზა), ბუი-**სოულ**-ი – საძოვარი (I ობზა), ანდა-**სოულ**-ი – ვენახი (II ობზა)...

გვხვდება სხვაგვარი წარმოება: ალექსანდრეს **ნაყანვარი**; მშვილდაძის **ნამოსახლი**; აკაკიას **ნაყანები**...

ხშირია **-ნარ/-ნალ** სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები, სადაც სუფიქსი დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს (უმეტესად მცენარეთა სახელებს) და გამოხატავს კრებითობას, ერთობლიობას: **ნამცნარი, ფიჭვნარი**... თუმცა, მცენარეთა სახელების გარდა, **-ნარ** ზოგჯერ გამოხატავს ნიადაგის თვისებას: თიხა – თიხნარი, ქვიშა – ქვიშნარი... ამოსავალი მნიშვნელობა აქაც კრებითობა, ერთობლიობაა (ჯორბენაძე... 1988: 318). მაგ.: ჯაგ-**ნარ**-ი – ტყე (II ობჩა), რცხი-**ნალ**-ი – ტყე (I ობჩა), სურ-**ნალ**-ი – ტყე (I ობჩა), თხილ-**ნარ**-ი – საბალახო (I ობჩა), ბელ-**ნარ**-ა – წყარო (I ობჩა)...

საანალიზო ტოპონიმებში გვხვდება **ორმაგსუფიქსიანი** წარმოება: **-ნარ** სუფიქსს დაერთვის მატოპონიმებელი **-ა** სუფიქსი: ჭყეპ-**ნარ**-ა – სათესი (II ობჩა), ურ-**ნალ**-ა – სათესი (II ობჩა), ქვარ-**ნალ**-ა – ღელე (II ობჩა), ქვიშ-**ნარ**-ა – წყარო (I ობჩა)...

**-არ /-ალ**: თხმელ-**არ**-ი – ტყე (II ობჩა), წაბლ-**არ**-ი – ტყე (I ობჩა),

ვაკეწიფლ-**არ**-ი – მინდორი, ნაყანევი (I ობჩა)...

**-ოურ/-ოულ**: თოხ-**ოურ**-ი – სათესი (I ობჩა), ხოზ-**ოურ**-ი – სათესი (II ობჩა), ჩიტმან-**ოურ**-ი – სათესი (II ობჩა), ხუტრ-**ოულ**-ი – სათესი (II ობჩა), ხორგ-**ოულ**-ი – სათესი (II ობჩა), გაბეხ-**ოურ**-ი – ვენახი (I ობჩა), ლები-**ოურ**-ი – მინდორი (I ობჩა), ხოხოპ-**ოურ**-ი – მინდორი (I ობჩა), ძლ-**ოურ**-ი – საბალახო (I ობჩა), თენებ-**ოურ**-ი – მთა (I ობჩა), კუპრ-**ოულ**-ი – ტყე (I ობჩა), გუდ-**ოურ**-ი – ადგილის სახელი (II ობჩა), ლაჭყეპ-**ოურ**-ი – ადგილის სახელი (II ობჩა)...

**-ოურ/-ოულ** სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმები საკმაოდ ხშირია, ძირითადად მიუთითებს ადგილის როგორობაზე, ან კიდევ მის მფლობელზე.

2. **პრეფიქსით** ნაწარმოები ტოპონიმები მცირე რაოდენობით ფიქსირდება. გვხვდება **ნა-** პრეფიქსიანი ფორმები. **ნა-** წინავითარებას, ადრე მყოფობას აღნიშნავს: **ნა-**სახლი – სამოვარი (II ობჩა), **ნა-**საყდრი – სამოვარი (I ობჩა), **ნა-**მოსახლი – სამოვარი (I ობჩა), **ნა-**ძრახი – მინდორი (I ობჩა)...

3. **პრეფიქს-სუფიქსური** წარმოების ნიმუშები ობჩის ტოპონიმიაში საკმაო რაოდენობით გვხვდება. პრეფიქსებად გამოყენებულია **სა-** და **ნა-**, სუფიქსებად კი რამდენიმე მაწარმოებელი გვევლინება.

ასეთი ტიპის გეოგრაფიული ერთეულები აღნიშნავენ ქონებას, თვისებას, დანიშნულებას და ა.შ.

**სა-ო** კონფიქსიანი ფორმები: **სა-ყიფ-იან-ო** – ტყე (I ობჩა), **სა-მაჭავარ-იან-ო** – ტყე (I ობჩა), **სა-მამაგეიშვილ-ო** – ტყე (I ობჩა), **სა-გურგენიძე-ო** – ტყე (II ობჩა), **სა-ჩხეიძე-ო** – მთა (II ობჩა)...

**სა-ე**: **სა-რეხ-ე** – ტყე (I ობჩა), **სა-მშრალ-ე** – ტყე (II ობჩა), **სა-ფშალ-ე** – ტყე (II ობჩა)...

**სა-ე** აფიქსი ფონეტიკური ცვლილებებითაა წარმოდგენილი ტოპონიმებში: **სა-ბოლოკია**; **სა-ბუკია** – ამისათვის ამოსავალი ჩანს **საბოლოკე**, **საბუკე**, შემდეგ დაერთო -ა სუფიქსი, რომელიც იწვევს ფონეტიკურ ცვლილებებს (ფეიქრიშვილი, 2007: 76).

**სა-ელ**: **სა-ჩქეფ-ელ-ა** – ჩანჩქერი (I ობჩა).

**სა-ურ**: **სა-ტყე-ურ-ა** – ტყე (I ობჩა).

**ნა-არ/-ალ**: **ნა-მეხ-არ-ი** – სათესი (I ობჩა), **ნა-კელ-არ-ი** – სათესი (I ობჩა), **ნა-იუნჯ-არ-ი** – სათიბი (II ობჩა), **ნა-ჩხუბ-არ-ი** – ტყე (II ობჩა), **ნა-ქართ-ალ-ი** – ადგილის სახელი (I ობჩა), **ნა-ცერცვ-ალ-ი** – მინდორი (I ობჩა)...

**ნა-ებ**: **ნა-ბოსტნ-ებ-ი** – სამოვარი (I ობჩა), **ნა-მარნ-ებ-ი** – ადგილის სახელი (II ობჩა), **ნა-მოსახლ-ებ-ი** – ადგილის სახელი (I ობჩა)...

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **სა-ო** კონფიქსის საშუალებით წარმოქმნილია ისეთი გეოგრაფიული სახელები, როგორიცაა: **სა-ქართველ-ო**, **სა-ზან-ო**... და ა.შ. **სა-ო** აფიქსებით გვარებისაგან ნაწარმოებელია ბევრი სოფლის სახელი, განსაკუთრებით, სამეგრელოში: **სა-ადამი-ო**, **სა-ბესელი-ო**.... (ჭუმბურიძე, 1987: 416).

**სა-ო** კონფიქსს სპეციფიკური დანიშნულება აქვს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ეთნო-ნიმთაგან, შიდასატომო სახელთაგან და პირის გვარ-სახელებისაგან წარმომდგარი ტოპონიმები წარმოების სპეციფიკურ ჯგუფს ქმნიან, ისინი ძირითადად საწარმოქმნო აფიქსებად სწორედ **სა-ო** თავსართ-ბოლოსართს იყენებენ და არასოდეს **სა-ე** აფიქსს: დაუშვებელია **სა-ქართველ-ე**, **სა-მეგრელ-ე**... ფორმები. შდრ. სწორი წარმოების **სა-ქართველ-ო**, **სა-მეგრელ-ო** (ბედოშვილი, 2001: 567).

**4. უაფიქსო**, მარტივუმიანი ტოპონიმები შედარებით ნაკლებად ფიქსირდება და ძირითადად მცირე გეოგრაფიულ ობიექტებს აღნიშნავს. მაგალითად:

**ქართა** – ადგილის სახელი (I ობჩა), **კარიელი** – ადგილის სახელი (I ობჩა), **ეწერი** – ადგილის სახელი (I ობჩა), **ჯვარი** – ადგილის სახელი (I ობჩა), **ღუბე** – სამოვარი (I ობჩა), **ვაკე** – ყანა (I ობჩა), **ლაშე** – წყარო (I ობჩა)...

5. **კომპოზიტიური აგებულების ტოპონიმები** ადგილს ამა თუ იმ ნიშნით ახასიათებენ. ასეთი სახის ტოპონიმების სემანტიკა მეტწილად გამჭვირვალეა და ფორმოზოვ ცვლილებასაც ნაკლებად განიცდიან.

გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი:

**ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულისგან** მომდინარე ტოპონიმები საკვლევ სოფელში შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება. მსაზღვრელად გამოყენებულია ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაზმნარი სახელი. ატრიბუტული სახელი წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით ან ფუძის სახით. მაგალითად:

**დიდკუნჭულო** – სათესი (I ობჩა), **ცივყანა** – სათესი (II ობჩა), **პატარა მინდორი** – სამოვარი (I ობჩა), **ვაკეწიფლარი** – მინდორი (I ობჩა), **ქედმაღალი** – სახნავი, გორა (II ობჩა), **ცივწყარუა** – წყარო (I ობჩა), **გზაწვრილი** – გზის მონაკვეთი (II ობჩა)...

მსაზღვრელის პოზიციაში არცთუ იშვიათად წარმოდგენილია ზმნისართები: **ზეით/ზევით ქუჩა**, **ქვეით/ქვევით ქუჩა**, **დაბლა ყანა**, **დაბლა ვენახი**, **დაბლა ღელე**, **გაღმა ყანა**, **გაღმა ვაკე**, **გაღმა ეწერი**, **უკან ეზო**...

**მართულმსაზღვრელიანი** მიკროტოპონიმები. მსაზღვრელად გამოყენებულია გვარი, სახელი, მეტსახელი ან კუთვნილება-დანომწილებების გამომხატველი სხვა სიტყვები. საზღვრულად კი უფრო ხშირად გვევლინება: ყანა, ეზო, გზა და ა.შ.

მართული მსაზღვრელი მეტწილად მხოლოდ რიცხვში დგას, იშვიათად მრავლობითის ფორმითაც დასტურდება: **ყანის თავი** – სათესი (II ობჩა), **კოდის დობილო** – სათესი (II ობჩა), **ტყის პირი** – ვაკე ადგილი (II ობჩა), **სამყურის მინდორი** – საბალახო (II ობჩა), **მთის პირი** – სოფლის უბანი (I ობჩა), **ცაცხვის პირი** – ადგილის სახელი (I ობჩა), **ღვალაძის სამარხილე** – ადგილის სახელი, **თავისტკივილის აბანო** – ადგილის სახელი (II ობჩა), **ბაღდათის გადასახედი** – მაღალი ადგილი (II ობჩა), **გენუშას აღმართი** – მაღალი ადგილი (I ობჩა), **ნიკოლოზას გორა** – მაღალი ადგილი (I

ობზა), **ლაშის თავი** – ტყე (II ობზა), **ცხინალის მთა** – მთა (II ობზა), **წერეთლის წყარო** – წყარო (II ობზა), **კირკიტაძის წყარო** – წყარო (II ობზა), **საქაჯიის ღელე** – ღელე (II ობზა)...

ზოგჯერ მსაზღვრელი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული ს თანხმოვანი დაკარგულია. მაგ: **კოდიწყარო** – წყარო (I ობზა), **კოდიღელე** – ღელე (I ობზა), **საპოზი ღელე** – ღელე (II ობზა)...

მართულმსაზღვრელიან ტოპონიმებში ზოგიერთი მსაზღვრელი თავისთავად წარმოადგენს მსაზღვრელ-საზღვრულს. ამიტომაცაა, რომ გეოგრაფიული სახელის აღსანიშნავად გამოიყენება სამეუდიანი ერთეული: **მამაწმინდის კარი** – ადგილის სახელი (II ობზა), **ვაკეწიფლარის ღელე** – ღელე (II ობზა), **ცხრაპრილის წყარო** – წყარო (II ობზა)...

**ბ)** სოფელ ობზის მიკროტოპონიმთა მნიშვნელოვანი ნაწილის **სემანტიკა** გამჭვირვალეა, მოტივაცია ნათელია. მცირე ნაწილის წარმომავლობა ბუნდოვანი ჩანს.

აქვე წარმოვადგენთ საანალიზო სოფლის მიკროტოპონიმებს:

**აბანოსწყალი** – სათესი (II ობზა).

**ავთანდილას წყარო** – წყარო (I ობზა). ეტიმოლოგია ნათელია: ეკუთვნოდა ვინმე ავთანდილას.

**ათანესას სტადიონი** (I ობზა).

**აკაკის მინდორი** – სათესი (II ობზა).

**აკაკის ნაყანები** – საძოვარი (II ობზა).

**აკალტამას მინდორი** – მინდორი (I ობზა).

**აკალდავანი** – ადგილი, სადაც აკლდამის ნანგრევებია (II ობზა).

**ალექსანდრეს ნაყანვარი** – სათესი (I ობზა).

**ამბაკოსოული** – ყანა. ეტიმოლოგია ნათელია (I ობზა).

**ანდასოული** – ვენახის სახელი (II ობზა). შდრ. ანდა (ანდისა) – სოფელი ახალციხის რაიონში (ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1987: 16).

**ბაგრატასოული** – სათესი (I ობზა).

**ბადრისოული** – სათესი (I ობზა).

**ბალვანა** – ტყე (II ობზა). სავარაუდოდ, ამოსავალია **ბალ-ოვან-ი**. -ა მატოპონიმებელი სუფიქსია.

**ბალანჩივადის ტყე** – ტყე (II ობზა).

**ბურჯანაძის ტყე** – ტყე (II ობზა).

**ბაღდათის გადასახედი** – მაღალი ადგილი, საიდანაც ხელისგულივით მოსჩანს ბაღდათის მუნიციპალიტეტი (I ობჩა).

**ბეზიაშვილების უბანი** – სოფლის უბანი (II ობჩა).

**ბელელას წვერი** – სათესი (I ობჩა).

**ბელნარას წყარო** – წყარო (II ობჩა).

**ბიქინეთი** – მთა (I ობჩა).

**ბუისოული** – სამოვარი, მინდორი (I ობჩა). აქ ცხოვრობდა ბუიძე და მას ჰქონია შესყიდული ეს ადგილი. შდრ. **ბუი** – მდინარე ზუგდიდის რაიონში, ჭურიის მარჯვენა შენაკადი (ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1987: 27)

**ბჟოლები** – სახნავი (II ობჩა). ეტიმოლოგია ნათელია.

**გაბეხოური** – ვენახი (I ობჩა). ადგილობრივთა განმარტებით, აქ ყოფილა გაშენებული ყურძნის ჯიში გაბეხოური.

**გალმა ეწერი** – სახნავი (I ობჩა).

**გალმა ვაკე** – ყანა (II ობჩა).

**გალმა ეზო** – ყანა (I ობჩა).

**გზაჯვარედინი** – სოფლის ცენტრი.

**გზაწვრილი** – გზის მონაკვეთი.

**გიგოსოული** – მინდორი (II ობჩა).

**გოგაგები** – სოფლის უბანი (II ობჩა).

**გოჩელასოული** – სახნავი (II ობჩა).

**გუმბრალა** – ტყე, სადაც დიდი გუმბრაა (I ობჩა). შდრ. **გუმბრალი** – მთა თერჯოლის რაიონში (ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1987: 33)

**გურგენასოული** – ყანა (I ობჩა).

**გუდოური** – ადგილის სახელი (II ობჩა). შესაძლოა, გუდო კაცის მეტსახელი იყოს.

**გუნიავასოული** – სახნავი (II ობჩა). ეტიმოლოგია ნათელია.

**დაბლა ვენახი** – ვენახი (I ობჩა).

**დაბლა ყანა** – ყანა (I ობჩა).

**დაბლა ღელე** – საბალახო (II ობჩა).

**დათიკასოული** – სახნავი (I ობჩა).

**დაფნები** – ყანა (I ობჩა). ამ ადგილას გაშენებული არის დაფნა.

**დიდკუნჭულო** – სათესი (I ობჩა). ინფორმატორის განმარტებით, „სერიდან რომ გადავხედავთ, დიდი სიღრმე მოჩანს, რომლის კიდეებზე (კუნჭულებზე) თესდნენ ყანებს და მოჰყავდათ მოსავალი“.

**დიდი ქვის ღელე** – ადგილის სახელი (II ობჩა).

**დობილო** – სათესი (II ობჩა). შდრ. **დობირო** (გურ.) ვაკე ადგილი, სადაც ხეებია გაშენებული (ღლონტი, 1984: 209). ასევე, **დობირო** – სოფელი სამტრედიის რაიონში (ორთოგ-რაფიული ლექსიკონი, 1987: 37).

**დუბე** – სამოვარი (I ობჩა). ინფორმატორთა განმარტებით, „ეს ადგილი უნდოდან ფეხბურთის სათამაშოდ, მაგრამ წყალმა გაარღვია და დაერქვა დუბე“. შდრ. **დუბე** (აჭარ., ქართლ.) დაბალი, ვაკე, ჩავარდნილი ადგილი (ღლონტი, 1984: 213). ეტიმოლოგია ნათელია.

**ეგუტიძეები** – სოფლის უბანი (II ობჩა).

**ეგუტიძის წყარო** – წყარო (II ობჩა).

**ევკალიტები/ევკალიპტები** – ადგილი, სადაც ბევრი ევკალიპტია, ხეების ზოლი (I ობჩა).

**ერმალოს გორა** – გორა (I ობჩა).

**ვაკე ყანა** – ყანა I ობჩა).

**ვაკეწიფლარი** – ნაყანევი, მინდორი (I ობჩა).

**ვარქასოული** – ყანა (I ობჩა).

**ვაჩაისოული** – ყანა (I ობჩა). ვაჩე კაცის სახელია.

**ვაშაყმაძეების უბანი** – სოფლის უბანი (II ობჩა).

**ვენახჭალა** – ვენახი და ჭალა (II ობჩა).

**ვეფხვამის ტყე** – ტყე (II ობჩა).

**თვალისაოული** – სათესი (I ობჩა). ხალხის გადმოცემით, „ამ ადგილას გლეხმა ჩალის ჭრის დროს თვალი ნამგლით დაიზიანა“. შესაძლებელია, თვალია იყოს კაცის მეტსახელი.

**თედორაძეების უბანი** – სოფლის უბანი (I ობჩა).

**თენებოური** – მთა (I ობჩა). ადგილობრივთა განმარტებით, „სოფლიდან მთაზე რომ წავიდოდა ადამიანი, იქ იმ დროს ავიდოდა, თენდებოდა“. ეტიმოლოგია საკვლევეია.

**თოხოური** – სათესი (I ობჩა). ინფორმატორთა განმარტებით, „ძველად, როცა არ არსებობდა არანაირი ტექნიკა, მიწის დამუშავება გლეხს მხოლოდ თოხით უხდებოდა“. შესაძლებელია, თოხა კაცის მეტსახელი იყოს. ეტიმოლოგია საკვლევეია.

**თხილნარი** – საბალახო (I ობჩა).

**თხილარიანის ღელე** – ღელე (II ობჩა).

**თხელიძეების უბანი** – სოფლის უბანი (II ობჩა).



**თხმელარი** – ტყე (II ობჩა). ეტიმოლოგია ნათელია. შდრ. **თხმელები** დასტურდება სოფელ ლეხიდრისთავში (მიქაუტაძე, 2015: 182).

**კაკიტაძისოული** – ყანა (II ობჩა).

**კამლაძისოული** – ვენახი (I ობჩა).

**კარიელი** – კარიერის ადგილი (I ობჩა).

**კარპოს წყარო** – წყარო (I ობჩა). კარპო კაცის სახელია.

**კახიძეების უბანი** – სოფლის უბანი (II ობჩა).

**კიკვიძისოული** – სათესი (II ობჩა).

**კინკილეთის ეკლესია** – ნაეკლესიარი (I ობჩა). შდრ. **კინკილა** (იმერ.) – მარტოხელა კაცი, ცალი; **კინკილო** (ინგ.) – თხილის ბუჩქის ყვავილები (ღლონტი, 1984: 292).

**კოდალიასოული** – სათესი (I ობჩა). ინფორმატორთა ცნობით, „აქ კარგი მიწებია და ხალხს მოსავლით სულ სავსე ჰქონდათ კოდი“.

**კოდის დობილო** – სათესი (II ობჩა). **დობირო** (გურ.) ვაკე ადგილი, სადაც ხეებია გაშენებული; **დობილი** (გურ.) – ვაზიანი ხეებით გაშენებული ადგილი; **დობირა-ი** (გურ.) – ნიადაგის სახელია (ღლონტი, 1984: 209). შდრ. **კოდი** (რაჭ.) – უტყეო მთა, სადაც მხოლოდ ბალახია ამოსული; **კოდი** (ქართლ., ხევს.) – დიდი კასრი, გამოფულუროებული მორისაგან გაკეთებული ძირიანი ჭურჭელი... (ღლონტი, 1984: 297). ეტიმოლოგია საკვლევი.

**კოდილელე** – ღელე (I ობჩა). ინფორმატორთა განმარტებით, „ამ ადგილას არის წაბლის ხე ჩადგმული, რომელიც კოდივით არის გამოჭრილი და აქედან გამოედინება წყალი“.

**კოდისა წყარო** – წყარო (I ობჩა). კოდია მეტსახელია. ეტიმოლოგია ნათელია.

**კოდია** – სათესი (I ობჩა). შდრ. **კოდი** (რაჭ.) – უტყეო მთა, სადაც მხოლოდ ბალახია ამოსული (ღლონტი, 1984: 297). -ა მატოპონიმებული სუფიქსი ჩანს.

**კუპროული** – ტყე (I ობჩა). დაბნელებული ტყე.

**კუპრაშვიების უბანი** – სოფლის უბანი (I ობჩა).

**ლაფნები** – სათესი (II ობჩა). შდრ. **ლაფან-ი** (ქიზიყ., მთიულ.) – ხის ჯიში ერთგვარი (ღლონტი, 1984: 324).

**ლაშე** – მარილიანი წყარო (I ობჩა). შდრ. **ლაშე** (ლექხ., გურ.) – ადგილი, სადაც მლაშე წყალია (ღლონტი, 1984).

**ლაშისთავი** – ტყე (II ობჩა).

**ლაღიძისოული** – სახნავი (II ობჩა). ეტიმოლოგია ნათელია.

**ლაჭყოური** – ადგილის სახელია (II ობჩა). დანაოჭებული, ნესტიანი ადგილი. შდრ. **ლაჭყორ-ი** (რაჭ.) – დაპობილი მუხის სარები; **ლაჭე** (ლევხ.) – ჭენჭყო, სველი, ნოტიო (ღლონტი, 1984: 326).

**ლეიბოური** – მინდორი (I ობჩა). ეტიმოლოგია საკვლეგია.

**ლელვანი** – ადგილი, სადაც ბევრი ლელვია (II ობჩა).

**ლიხი** – მთა (II ობჩა). შდრ. **ლიხი** (მთიულ., ფშ.) ხმელი ბალახი, გამხმარი მცენარის ღერო მილივით, რომლითაც წყალს სვამენ ხოლმე (ღლონტი, 1984: 333).

**ლომსიანიძეებისოული** – ყანა (I ობჩა). ეტიმოლოგია ნათელია.

**ლუბასოული** – ყანა (I ობჩა). ეტიმოლოგია ნათელია.

**ლუკას ნამოსახლი** – ადგილის სახელი (I ობჩა).

**ლუხუტა** – მდინარე (I ობჩა). შდრ. **ლუხუტა** – მდინარე ბაღდათისა და ზესტაფონის რაიონებში, ყვირილას მარცხენა შენაკადი (ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1987: 64).

**მამაწმინდის კარი** – სასაფლაო და ძველთაძველი ეკლესია ყოფილა (I ობჩა).

**მამაგეიშვილის ტყე** – ტყე (II ობჩა).

**მარანი** – ადგილის სახელი (II ობჩა). აქ არის ღვინის მარანი. შდრ.

**მარანი** – სოფელი აბაშისა და გულრიფშის რაიონებში (ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1987: 67)

**მარუაშვილების უბანი** – (II ობჩა).

**მარუაშვილების ტბა** – (II ობჩა).

**მატიას წყარო** – წყარო (I ობჩა).

**მაჩიტძეების უბანი** – (I ობჩა).

**მაჭავარიანის ცხილა** – (II ობჩა).

**მელაშვილისოული** – სათესი (I ობჩა).

**მელაშვილების ტყე** – ტყე (I ობჩა).

**მესხების უბანი** – (I ობჩა).

**მთისძირი** – სოფლის უბანი (I ობჩა).

**მიმინოს წყარო** – წყარო (I ობჩა).

**მიშასღელე** – ღელე (I ობჩა).

**მომწყროული** – საძოვარი (I ობჩა).

**მუხისვაკე** – ადგილის სახელი (I ობჩა). ადგილობრივთა გადმოცემით, აქ ყოფილა დიდი მუხა.

**მოწურულას ღელე** – ღელე (II ობჩა). ინფორმატორთა განმარტებით, „ცოტ-ცოტა ღელე ჩამოდის და ბოლოს თავს იყრის მოწურულად“.

**ნააბანოვარი** – წყარო (II ობჩა).

**ნაბოსტნები** – სამოვარი (I ობჩა). ეტიმოლოგია ნათელია.

**ნაზრახი** – მინდორი (I ობჩა).

**ნაკელარი** – სათესი (I ობჩა). ძველად აქ კალო ყოფილა. შდრ. **კელი** (იმერ.) პურის სალეწი იარაღი, კევრი; **კელა** (იმერ.) – ნაკელი, ნეხვი (ღლონტი, 1984: 279). ეტიმოლოგია ნათელია.

**ნაიონჯარი** – სათიბი (II ობჩა). ადრე აქ იონჯას თესავდნენ.

**ნამარნები** – ადგილის სახელი (II ობჩა).

**ნამეხარი** – სათესი (I ობჩა).

**ნამოსახლი** – სათესი (I ობჩა).

**ნასახლი** – სამოვარი (II ობჩა).

**ნასაყდრი** – სამოვარი (I ობჩა).

**ნაჩხუბარი** – მთა, ტყე (II ობჩა).

**ნაცერცვალი** – მინდორი, სახნავი (I ობჩა). ამ ადგილას წინათ ცერცვს თესავდნენ.

**ნაქართალი** – სათესი (I ობჩა). შდრ. **ქართა** (იმერ., გურ.) – ეზოსთან შემოღობილი ადგილი, ღამით საქონლის დასამწყვრევად (ღლონტი, 1984: 561).

**ნებიერიძეებისოული** – სათესი (I ობჩა).

**ნიკოლოზას გორა** – მაღალი ადგილი (I ობჩა).

**ორმუხები** – ტყე (II ობჩა).

**ორპირი** – ტყე (II ობჩა). შდრ. 1. სოფელი ტყიბულის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე. 2. მდინარე ადიგენის რაიონში; მდინარე ლანჩხუთის რაიონში (ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1987: 78).

**ორღობე** – გზის მონაკვეთი (I ობჩა).

**ორღელო** – ღელე (I ობჩა). ინფორმატორთა განმარტებით, „გოგელიძეების ტერიტორიაზე თავს იყრის ორი ღელე და უერთდება ერთმანეთს“.

**პატარა მინდორი** – სამოვარი (I ობჩა). სახელწოდება დარქმეულია ტერიტორიის სიდიდის მიხედვით.

**პატარიძეების უბანი** – სოფლის უბანი (I ობჩა).

**პეტუასოული** – სათესი (II ობჩა). ჩანს, პეტო მამაკაცის სახელია. -ა სუფიქსი მატოპონიმბელი ფუნქციისაა.

**რუსული ეკლები** – ადგილის სახელია (I ობჩა).

**რცხინალი** – ტყე (I ობჩა).

**საბუქია** – მაღალი ადგილი (I ობჩა). ინფორმატორთა განმარტებით, „წინათ, როდესაც რაიმე ამბის შეტყობინება უნდოდათ, ამ ადგილიდან ბუკით აცნობდნენ ხალხს ან ცეცხლს ანთებდნენ“.

**საბასოული** – ვენახი, სახნავი ნათელია (I ობჩა).

**საბოლოკია** – ტყე (I ობჩა).

**საგურგენიძო** – ტყე (II ობჩა).

**სამაჭავარიანო** – მთა, ტყე (I ობჩა).

**სამამაგეიშვილო** – მთა, ტყე (I ობჩა).

**სამყურის მინდორი** – საბალახო (I ობჩა). აქ ხარობდა მცენარე სამყური.

**სამშრალე** – ტყე (II ობჩა). ინფორმატორთა განმარტებით, ეს არის მშრალი ადგილი, წყალი არსად ჩერდება. შდრ. **სა-მშრალო-ებ-ი** – ადგილი, სადაც მშრალ ცხვრებს მწყემსავენ (ბედოშვილი, 2001: 348). **სამშრალე** (მთიულ.) – საძოვარი მთაში, სადაც ცხვარი უბატუნოდ იძოვება (ღლონტი, 1984: 469). ვფიქრობთ, ეტიმოლოგია ნათელია.

**საპობი ღელე** – ადგილის სახელია, სადაც შეშას ყრიდნენ მთიდან და იქ აპობდნენ (II ობჩა).

**სარკიას მთა** – მთა (I ობჩა). ინფორმატორთა განმარტებით, „ბაღდათიდან რომ გავიხედავთ, პირდაპირ ეს მთა მოჩანს სარკესავით“. შესაძლოა, სარკია იყოს კაცის სახელი.

**სარკიათა** – სათესი (I ობჩა).

**სარახე** – საბანაო (I ობჩა). ინფორმატორთა განმარტებით, „ოტკის გამოსახდელი ქვაბივით არის საბანაო ადგილი“. შდრ. **სარახე** – მთა (ბედოშვილი, 2001: 348).

**სარეხე/სარახე** – ტყე (I ობჩა). შდრ. **რეხი** (რაჭ.) – მთის კლდოვანი კალთები (ღლონტი, 1984: 452).

**სატობავი** – ადგილი, სადაც თევზი ქვირითს ყრის (II ობჩა).

**სატურიეს ღელე** – ღელე (I ობჩა). ინფორმატორთა განმარტებით, ბევრი ტურა იყო აქ და ჭამდა ცხვრებს.

**სატყეურა** – დიდი ტყე (II ობჩა).

**საფშალე** – ტყე (II ობჩა). შდრ. **ფშალა** (ზ. იმერული) – სვია; **ფშა** (ქართლ., თუშ.) მდინარის პირას გამონაჟონი წყარო ან ჭაობიანი

ადგილიდან გამომდინარე გრუნტის წყალი (ღლონტი, 1984: 555).  
ეტიმოლოგია ნათელია.

**საქაჯის ღელე** – ღელე (I ობჩა).

**საღალატო ღელე** – ღელე (II ობჩა).

**საყიფიანო** – ტყე, მთა (I ობჩა).

**საჩხეიძო** – მთა (II ობჩა).

**საჩქეფელა** – ჩანჩქერი (II ობჩა).

**სვიატმალა** – ადგილი (II ობჩა).

**სილები** – სახნავი (I ობჩა).

**სურნალი** – ტყე (I ობჩა). ინფორმატორთა განმარტებით, „აქ ხარობს სუროს მსგავსი მცენარე, რომლითაც საქონელს კვებავენ“.

**ტყემლები** – სახნავი (I ობჩა). ეტიმოლოგია ნათელია.

**ტყისპირი** – ტყის პირას არის ვაკე ზოლი (I ობჩა). შდრ. **ტყისპირი** – სოფელი დმანისის რაიონში (ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1987: 98)

**ურნალა** – სათესი (II ობჩა). შდრ. **ურნალ-ი** (რაჭ. ლეჩხ. ზ. იმერ.) – ურო, ბალახია ერთგვარი (ღლონტი, 1984: 526).

**ულელტეხილა** – გზის მონაკვეთი (I ობჩა).

**ფანჩულიძის გორა** – მაღალი ადგილი (II ობჩა).

**ქართა** – შინაური ფრინველების დასამწყვდევნი ადგილი (I ობჩა). შდრ. **ქართა** (იმერ., გურ.) – ეზოსთან შემოღობილი ადგილი, ღამით საქონლის დასამწყვდევად (ღლონტი, 1984: 561).

**ქვასობილა** – მთა (I ობჩა). ინფორმატორთა განმარტებით, „აქ არის დიდი წვეტიანი ქვა დასობილი, რომელიც არის საზღვარი ხარაგაულსა და ბაღდათს შორის“.

**ქვარნალა** – ღელე (II ობჩა).

**ქვიშნარა** – წყარო (I ობჩა).

**ქედმაღალი** – გორა, სახნავი (II ობჩა).

**ღარას ღელე** – ღელე (I ობჩა).

**ღვალაძისოული** – სათესი (II ობჩა).

**ღვალაძის სამარხილე** – ადგილის სახელი ტყეში (II ობჩა).

**ღრავნალას ღელე** – წყარო (I ობჩა).

**ყანის თავი** – სათესი (II ობჩა).

**ყიფიანების უბანი** – (II ობჩა).

**შაბნარა** – ტყე (II ობჩა). ამოსავალია **შამბ-ნარ-ა**. შამბი – დიდი, გაუვალი ბალახი.

შალიკასოული – ყანა, სახნავი (II ობჩა). ეტიმოლოგია ნათელია.  
 შოთას გორა – გორა (II ობჩა).  
 შუქურას გორა – მაღალი ადგილი, გორა (I ობჩა).  
 ჩიტმანოური – სათესი (II ობჩა).  
 ჩიგოვას მთა – მთა (II ობჩა).  
 ჩხაროული – სათესი (II ობჩა).  
 ჩხეკო – სანავი (I ობჩა). შდრ. ჩხეკი (გურ.) – ქაცვიანი, ეკლიანი ადგილი.  
 ცაცხვის ძირი – ადგილის სახელი (I ობჩა).  
 ცივწყარუა – წყარი (I ობჩა).  
 ცივყანა – სათესი (I ობჩა).  
 ციხის ყელი – მაღალი ადგილი (I ობჩა).  
 ცხინალის მთა – მთა (II ობჩა).  
 ცხრაპრილის წყარო – წყარო (II ობჩა).  
 ძეძვევანი – ვენახი, სახნავი, ძეძვევანი ადგილი (I ობჩა).  
 ძლოური – საბალახო (I ობჩა). შდრ. ძლოურ-დანეთი – სოფელი ზესტაფონის რაიონში (ორთოგ-რაფიული ლექსიკონი, 1987: 126)  
 წაბლარი – ტყე (II ობჩა).  
 წერეთლის წყარო – წყარო (I ობჩა).  
 წყაროს ღელე – ღელე (I ობჩა).  
 წყაროს ფეხი – ვენახი, სახნავი (II ობჩა).  
 ჭიკვათური – სათესი (II ობჩა).  
 ჭინკიროდინი – (II ობჩა).  
 ჭურითავები ღელე – ღელე.  
 ჭყეპა – ადგილის სახელი (I ობჩა). ინფორმატორთა განმარტებით, „აქ იყო წყლიანი ადგილი და ხალხი რო იკრიბებოდა, ფეხებს ჭყაპა-ჭყუპი გაჰქონდა“.  
 ჭყეპნარა – სათესი (I ობჩა).  
 ხარაბადისოული – სათესი (I ობჩა).  
 ხოზოურის წყარო – წყარო (II ობჩა).  
 ხოზოური – სათესი (II ობჩა). შდრ. ხოზ-ი (ქსნის ხეობა) ბალახეული მცენარე; ხოზო (მთიულ., იმერ.) მსხვილმარცვლიანი უფხო პური (ღლონტი, 1984: 758).  
 ხოხოპოური – მინდორი (I ობჩა). ეტიმოლოგია საკვლევი.

**ხოპის ეკლესია** – ეკლესია (I ობჩა). შდრ. **ხოფი** (მოხ.) – ღრმა, ჩაღრმავებული ადგილი (დლონტი, 1984: 761); **ხოპი** (რაჭ.) – ხის პატარა ნიჩაბი (იქვე: 759).

**ხორგოული** – სათესი (II ობჩა). შდრ. **ხორგო** (ლექხ.) – დიდი საწნახელი (დლონტი, 1984: 760).

**ხუტროული** – სათესი (II ობჩა).

**ჯვარი** – ადგილის სახელი (I ობჩა).

**ჯაგნარი** – ტყე (II ობჩა). შდრ. **ჯაგი** (ქართლ., ქიზიყ., იმერ...) – პატარა, დაბალი, ეკლიანი ჩირგვი; ბუჩქი (დლონტი, 1984: 772). ტოპონიმის ეტიმოლოგია ნათელია.

**დასკვნა:** განხილული სოფლის მიკროტოპონიმები გარკვეულ სურათს ქმნის როგორც მოტივაციის, ისე ენობრივი კუთხით. ადგილის სახელწოდებები მეტწილად სემანტიკურად გამჭვირვალეა, მცირე ნაწილის წარმომავლობა ბუნდოვანია და არ ჩანს სახელრქმევის საფუძველი. ფორმაწარმოების თვალსაზრისით გაანალიზებული მასალა მრავალფეროვანია. ჭარბობს სუფიქსური და პრეფიქს-სუფიქსური წარმოება. ხშირია კომპოზიტური აგებულების სახელები. ოდენპრეფიქსური წარმოების ნიმუშები შედარებით მცირე რაოდენობით დასტურდება. ტოპონიმები, როგორც ენის ლექსიკური ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი, ნათლად წარმოაჩენს ქართული სიტყვაწარმოების შესაძლებლობებს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

აბულაძე, 1989 – აბულაძე ი., სამი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიისათვის, თსუ შრომები, ტ. X, თბ., 1989;

ბაკურაძე..., 1996 – ბაკურაძე დ., ტ. ფუტკარაძე, ტოპონიმთა კლასიფიკაცია მოტივაციის მიხედვით (ორპირის მასალები), ჟურნ. ქართველური მემკვიდრეობა, ტ. I, ქუთაისი, 1996;

ბედოშვილი, 2001 – ბედოშვილი გ., ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2001;

გაჩეჩილაძე, 1976 – გაჩეჩილაძე პ., იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976;

დათუაშვილი, 1993 – დათუაშვილი ზ., სოფელ ოზჩის ისტორიიდან, ტრაქტატი მეფე-მთავართა ორასწლოვანი სევედა, ქუთაისი, 1993;

ზურაბიშვილი, 1961 – ზურაბიშვილი თ., ტოპონიმის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. 2, თბ., 1961;

თოლორდავა, 2002 – თოლორდავა ზ., ზეკარის ხეობის ტოპონიმის, ქუთაისი, 2002;

ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1987 – საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987;

საქართველოს ტოპონიმია, 1987 – საქართველოს სსრ ტოპონიმია (მასალები), ზემო იმერეთი, ტ I, თბ., 1987;

საქართველოს ტოპონიმია, 2003 – საქართველოს ტოპონიმია, მასალები, ქვემო იმერეთი, ტ III, თბ., 2003;

ქეგელ, 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986;

ქსმ, 1970 – ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970,

ღლონტი, 1984 – ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984;

ჯორბენაძე, 1986 – ჯორბენაძე ბ., ტოპონიმთა კლასიფიკაციისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXV, თბ., 1986.

ჯორბენაძე..., 1988 – ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, 1988.

კობაიძე, 2019: კობაიძე ლ., „ბედობითა გვარის ისტორიკო-ეტიმოლოგიისათვის“, ქართველური მემკვიდრეობა“ თბ., 2019;

მაისურაძე, 1942: მაისურაძე ი., „ძირითადი ფონეტიკური პროცესები მესხურში“, გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გამოცემა, თბ., 1942;

მელიქიძე, 2018: მელიქიძე ნ., „ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმთა სტრუქტურა და სემანტიკა“, სადისერტაციო ნაშრომი, ახალციხე, 2018;



მელიქიძე, 2005: მელიქიძე ს., „ონომასტიკური ძიებანი“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ონომასტიკის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია, თბ., 2005;

ტუსკი, 1993: ტუსკია მ., „სიტყვაწარმოებითი აფიქსების ფუნქციები და შეხამებადობა სახელურ ფუძეთა სემანტიკური ჯგუფების მიხედვით“, (ქ.ს.კ.ს.თბ. „მეცნიერება“), თბ., 1993;

ღლონტი, 1967: ღლონტი ალ., „ქართველური საკუთარი სახელები (ანთროპონიმთა ლექსიკონი), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1967;

შანიძე, 1973: შანიძე აკ., „გრამატიკის საფუძვლები“, თსუ გამომცემლობა, თბ., 1973;

ჯიქია, 1953: ჯიქია ს., „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, ნაწილი 3. თბ., 1953.

*გულნარა ჯანოვა*  
*პროფესორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*  
*საქართველო, ახალციხე,*

**მაკა მურვანიძე**  
ასოცირებული პროფესორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

## **ინგლისური ნეოლოგიზმები ქართულ სოციალურ მედიაში**

### **მოკლე შინაარსი**

სტატია ეხება ინგლისურ ნეოლოგიზმებს, რომელსაც იყენებს ფეისბუქის მომხმარებელი სტუდენტობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ტექნოლოგიების განვითარებამ, ინტერნეტზე დაფუძნებულმა კომუნიკაციამ და სოციალური ქსელების შექმნამ წინ წამოწია სოციალური მედიის როლი. შესაბამისად გაუმჯობესდა ადამიანებს შორის კომუნიკაცია.

სოციალურ მედიას ყველაზე მჭიდრო კავშირი ინტერნეტთან აქვს და რადგან ინგლისური სიტყვები ძირითადად ინტერნეტის დისკურსიდან მომდინარეობენ შესაბამისად ისინი სოციალურ მედიაშიც ადვილად ვრცელდებიან და ფართოდ იკიდებენ ფეხს. სოციალურ მედიაში ამბები სოციალური ქსელების საშუალებით ვრცელდება. სწორედ სოციალური ქსელებია ინგლისური სიტყვების ქართულ ენაში შემოდინების ძირითადი წყარო.

სოციალურ ქსელებთანაა დაკავშირებული მთელი რიგი ინგლისური ლექსიკური ერთეულები: დომეინი, ბლოგ-პლატფორმა, სერვერი, იუზერი, პოსტი, სპამი, შეარი, პანელი, აპლიკაცია, თაიმლაინი, პროფილი, ქავერი და სხვა. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი: **სერვერი (server)** ოქსფორდის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც კომპიუტერული პროგრამა, რომელიც აკონტროლებს ან აწვდის ინფორმაციას რამდენიმე ქსელთან დაკავშირებულ კომპიუტერს. ლექსიკონებში ის ქართულად განმარტებულია, როგორც უბრალოდ - სერვერი. **იუზერის (user)**

ქართული შესატყვისი არის მომხმარებელი, რაც სოციალურ მედიაში გულისხმობს სხვადასხვა სოციალური ქსელების მომხმარებელს. **სპამი (spam)** არის მიმღების თანხმობის გარეშე ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი სარეკლამო გზავნილი. რადგან ქართულში ამ ტერმინს არ დაუბეჭდა შესაბამისი სიტყვა **სპამი** დამკვიდრდა, როგორც ნეოლოგიზმი. **პანელი (panel)** ამ სიტყვას ბევრი განმარტება აქვს, მაგრამ სოციალურ მედიაში გულისხმობს დიდი ფორმატის ფოტოს. **პროფილი (profile)** სოციალურ ქსელებში გულისხმობს მომხმარებლის შესახებ მოკლე ბიოგრაფიულ, ინფორმაციულ გვერდს და ა.შ.

სტატია მიზნად ისახავს ინგლისური ნეოლოგიზმების მოძიებას და მათი გამოყენების სიხშირის შესწავლას სტუდენტებში. ნეოლოგიზმების ბევრი ქართული შესატყვისი განმარტებას ითხოვს და ხშირად ამისათვის რამდენიმე სიტყვაა საჭირო. ამის გამო მომხმარებლები მის მოკლე ვარიანტს ანიჭებენ უპირატესობას. ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის სიტყვები, რომლებსაც ახალგზრდები ანიჭებენ უპირატესობას სოციალურ მედიაში.

**საკვანძო სიტყვები:** ნეოლოგიზმები, სოციალური მედია, სოციალური ქსელები, კომუნიკაცია, ლექსიკური ერთეულები.

***Gulnara Janova***

*Professor, Samtskhe-Javakheti State University,  
Georgia, Akhaltsikhe,*

***Maka Murvanidze***

*Associate professor,  
Samtskhe-Javakheti State University,*

## ENGLISH NEOLOGISMS IN GEORGIAN SOCIAL MEDIA

### Abstract

The article deals with English neologisms used by Facebook user students at Samtskhe-Javakheti State University. The development of technology, Internet-based communication, and the creation of social networks have advanced the role of social media. Accordingly, it improved the communication between people.

Social media has the closest connection with the Internet and since English words are mainly derived from the discourse of the Internet, they are easily and widely spread on social media. News in social media is spread through social networks. Thus, social networks are the main source of the influx of English words into the Georgian language.

Quite a great number of English lexical units are related to social networks. Such as domain, blog platform, server, user, post, spam, share, panel, application, timeline, profile, cover, and others. Consider some of them: The word **server** in the Oxford dictionary is defined as a computer program that controls or provides information to several computers connected to a network. In Georgian it is defined as – **server** as well. The word – **a user** in social media means a person who uses various social networks. **Spam** is an advertising message sent by e-mail without the consent of the recipient. Since there was no corresponding word for this term in the Georgian language, it was established as a neologism. The word - **Panel** has many definitions but in social media, it refers to a large format photo. **Profile** of social networks means a short biographical, informative page about the user, etc. As a result of the conducted research, the words young people prefer to use on social media have been identified.

The article aims to find English neologisms and study the frequency of their use among young people. Many Georgian equivalents of English neologisms require explanation, and often several words are needed. Due to this, users prefer their short versions.

**Keywords:** neologisms, social media, social networks, communication, lexical units.

**შესავალი:** 21-ე საუკუნე ერთდროულად ტექნოლოგიების საუკუნეცაა და გლობალიზაციის ეპოქაც. ტექნოლოგიის სწრაფმა განვითარებამ, ინტერნეტისა და სოციალური ქსელების შექმნამ რადიკალურად შეცვალა ვითარება. საჭირო გახდა

ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სიტყვების შესაბამისი სიტყვებით ჩანაცვლება ან ახალი სიტყვების/ფრაზების შექმნა, რათა რაც შეიძლება სწრაფად დაემყარებინათ ადამიანებს ერთმანეთთან ურთიერთობა. ფაქტიურად შეიქმნა კომუნიკაციის ახალი ფორმა-ინტერნეტზე დაფუძნებული კომუნიკაცია ახალი სიტყვებითა და ტერმინებით. მართალია ბევრი მათგანი ოფიციალურად ჯერ არ დამკვიდრებულა ლექსიკონებში, მაგრამ ფართოდ გავრცელდა და აქტიურად გამოიყენება ინტერაქციის დროს, განსაკუთრებით სოციალური ქსელების მომხმარებლებში.

ინგლისური ძირითადი ენაა ადამიანთა საქმიანობის უამრავ სფეროში. ის არის ინტერნეტისა და ტექნოლოგიების ენა, მეცნიერების, ბიზნესისა და სავაჭრო ენა, საერთაშორისო ორგანიზაციების ენა და ა.შ. ინგლისური ასევე არის განვითარებული, ფართოდ გავრცელებული და სიტყვათა მარაგით მდიდარი ენა. [ენათმეცნიერთა](#) შეფასებით, თანამედროვე ინგლისური ენა უნდა მოიცავდეს ერთ მილიონზე მეტ [სიტყვას](#). ამას ემატება უამრავი გამოთქმა და ტერმინი [დიალექტიდან](#), [სლენგიდან](#), [საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან](#) და ტექნიკის სხვადასხვა სფეროდან, რომელთა ძალიან დიდი ნაწილი მხოლოდ [XX საუკუნის](#) მეორე ნახევრიდან შემოვიდა ხმარებაში.

ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სიტყვები, ფრაზები და ტერმინოლოგია ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ სხვა ენები ვერ მიჰყვებიან ტექნიკური პროგრესის სისწრაფეს და იძულებულები არიან ისესხონ სიტყვები ინგლისური ენიდან, რადგან პრაქტიკულად არ აქვთ დრო შესაბამისი ახალი ლექსიკური ერთეულების ფორმირებისთვის. ეს განაპირობებს ინგლისური ლექსიკური ერთეულების დამკვიდრებას ნებისმიერ ენაში. სოციალური მედია, რომელიც ინტერნეტზე დაფუძნებული კომუნიკაციის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა, პირველია, რომელიც ასახავს ენის ცვლილებების პროცესს.

ინტერნეტმა გააიოლა კომუნიკაცია ადამიანებს შორის. ის უფრო ხშირი და სწრაფი გახდა. შეიქმნა უამრავი ახალი სიტყვა, ფრაზა, ტერმინი. ბევრი მათგანი მნიშვნელობით უცვლელი, მაგრამ სხვადასხვა ენისათვის დამახასიათებელი ფორმით შევიდა მსოფლიოს მრავალ ენაში. ინტერნეტთან მჭიდრო კავშირშია სოციალური მედია, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს

ახალი ლექსიკური ერთეულების გავრცელებაში. ახალი სიტყვები ენის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია.

რამ განაპირობა ნეოლოგიზმების წარმოშობა და გავრცელება ასეთი ფართო მასშტაბით? ამისათვის მრავალი მიზეზი არსებობს. 1. ნეოლოგიზმი იქმნება აუცილებლობით. ეს იმ შემთხვევაში, როცა შემოსულ ახალ სიტყვას, ენა ვერ ახვედრებს შესაბამის ტერმინს. ამის მაგალითია ინტერნეტთან და ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სიტყვები და ტერმინები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ინტერნეტ მომხმარებლების მიერ; 2. ნეოლოგიზმი გვხვდება როგორც ლიტერატურაში, ასევე სოციალურ მედიაში; აღსანიშნავია, რომ სოციალური ქსელების მომხმარებლები, ფართოდ იყენებენ ნეოლოგიზმებს, რადგან ისინი ეხებიან მათი საქმიანობის კონკრეტულ სფეროს, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ პოპულარობას; 3. სოციალურ მედიაში ინგლისური ლექსიკური ერთეულების გამოყენება ხელს უწყობს სწრაფ კომუნიკაციას, დროის დაზოგვას. დღეს, ნეოლოგიზმები იხმარებიან ყოველდღიურ საუბრებში და თუ ისინი აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს, ხდება მათი აღიარება და ლექსიკონებში დაფიქსირება.

ციფრული სამყარო ნოყიერი ნიადაგია ნეოლოგიზმების შესაქმნელად და გასავრცელებლად. **დომეინი, ბლოგ-პლატფორმა, კომპიუტერი, ტვიტერი, ბრაუზერი, სერვერი, იუზერი, პოსტი, სპამი, შეარი, პანელი, აპლიკაცია, თაიმლაინი, პროფილი, ქავერი, ვებსაიტი** და სხვა ის ახალი ლექსიკური ერთეულებია, რომელთა წარმოშობა უშუალოდ დაკავშირებულია ინტერნეტთან და სოციალურ მედიასთან. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი: **სერვერი (Server)** ოქსფორდის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც კომპიუტერული პროგრამა, რომელიც აკონტროლებს ან აწვდის ინფორმაციას რამდენიმე ქსელთან დაკავშირებულ კომპიუტერს (ინტერნეტ წყარო 1). მისი ქართული შესატყვისია - **სერვერი**. **სპამი (Spam)** არის მიმღების თანხმობის გარეშე ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი სარეკლამო გზავნილი. რადგან ქართულში ამ ტერმინს არ დაუხვდა შესაბამისი სიტყვა, **სპამი** დამკვიდრდა, როგორც ნეოლოგიზმი. **პანელი (Panel)** ამ სიტყვას ბევრი განმარტება აქვს, მაგრამ სოციალურ მედიაში გულისხმობს დიდი ფორმატის ფოტოს. **ბრაუზერი (Browser)**-არის

კომპიუტერული პროგრამა გრაფიკული მომხმარებლის ინტერფეისით ვებ გვერდებს შორის ჩვენებისა და ნავიგაციისთვის; **პროფილი (profile)**. სოციალურ ქსელებში გულისხმობს მომხმარებლის შესახებ მოკლე ბიოგრაფიულ, ინფორმაციულ გვერდს და ა.შ.

სტატიაში წარმოდგენილია ინგლისური ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც ახალგაზრდები იყენებენ ინტერნეტზე დაფუძნებული კომუნიკაციის პროცესში.

**ლიტერატურის მიმოხილვა:** რა არის ნეოლოგიზმი? კემბრიჯის ონლაინ ლექსიკონში ნეოლოგიზმი განმარტებულია, როგორც ახალი სიტყვა ან ფრაზა, ან არსებული სიტყვის ახალი მნიშვნელობა (a new word or [expression](#), or a new [meaning](#) for an [existing](#) word) (ინტერნეტ წყარო 2).

კოლინზის ონლაინ ლექსიკონში ნეოლოგიზმი არის ახალი სიტყვა ან ფრაზა ენაში ან უკვე არსებული სიტყვის ან ფრაზის ახალი მნიშვნელობა (A neologism is a new word or [expression](#) in a language, or a new [meaning](#) for an [existing](#) word or expression)/ (ინტერნეტ წყარო 3).

თუ გადავხედავთ სხვა ლექსიკონებს, ვნახავთ, რომ ყველა ლექსიკონში სიტყვას- ნეოლოგიზმი ერთი და იგივე განმარტება აქვს. ენათმეცნიერთა დიდი ნაწილი კვლევებში ხშირად იყენებენ ტერმინს “coinage”, რაც ოქსფორდის ონლაინ ლექსიკონის განმარტების მიხედვით ახალ სიტყვას ან ფრაზას ნიშნავს (ინტერნეტ წყარო 4).

ენათმეცნიერები მიიჩნევენ რომ ნეოლოგიზმები - ახლად შექმნილი სიტყვები ან არსებული სიტყვის ახალი მნიშვნელობები - მუდმივად შემოდიან ენაში. ნეოლოგიზმი არის ახლად შექმნილი ლექსიკური ერთეული, რომელიც იზადება როგორც ახალი ქმნილება და იწყებს გზას მასობრივი გამოყენებისკენ. ცნობილმა გამოცემებმა, როგორებიცაა The New Yorker და The New York Times, შეისწავლეს ნეოლოგიზმების გავლენა და გავრცელება, რომელმაც აჩვენა, რომ ჩვეულებრივი იდიომებიც კი ოდესღაც ახალი გამონათქვამები იყო, რომლებიც მიისწრაფოდნენ ენაში დამკვიდრებისაკენ. არსებითად, „ნეოლოგიზმი არის ლინგვისტური ცვლილებისა და ლექსიკის გაფართოების შედეგი

კულტურული, სოციალური და ტექნოლოგიური განვითარების საპასუხოდ“ (მარკუსი, 2024).

უფრო ფართო და მრავლისმთქმელია ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრის პროექტის (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) სტატიაში „ნეოლოგიზმები თანამედროვე ქართულ ენაში“ მოცემული განმარტება „ნეოლოგიზმი შეიძლება იყოს ნასესხობა, ასევე ახალი სიტყვა, რომელიც ენაში იქმნება ამავე ენის რესურსების გამოყენებით; ნეოლოგიზმია სიტყვის მნიშვნელობის ევოლუცია და ახალი პოლისემიური მნიშვნელობის გაჩენა; ნეოლოგიზმია ახალი ტერმინი, რომელიც ამა თუ იმ დარგში მკვიდრდება და სხვა. აქედან გამომდინარე, ნეოლოგიზმის წყარო შეიძლება იყოს შიდა, ანუ ენის რესურსებით შექმნილი სიტყვები და გარე, ანუ სხვა ენიდან შემოსული სიტყვები. შესაბამისად, ნეოლოგიზმი შეიძლება იყოს სიტყვაწარმოების შედეგად შექმნილი სიტყვები, ნასესხები სიტყვები, კალკი და სხვა ( ინტერნეტ წყარო 5).

თანამედროვე ცხოვრება მოითხოვს ენაში მიმდინარე ცვლილებების დაფიქსირებას და შესწავლას. დღეს ნებისმიერი ენა, მათ შორის ინგლისურიც, განიცდის „ნეოლოგიურ ბუმს“. როგორც ამას ელენა ლებედევა აღნიშნავს თავის სტატიაში თითოეული ქვეყნის ენის ლექსიკა მუდმივად იცვლება და ვითარდება სხვადასხვა გზით. ეს პროცესი ასახავს ენისა და კომუნიკაციის გლობალურ ბუნებას. ის აჩვენებს, თუ რამდენად სწრაფად შეიძლება გადავიდეს ახალი სიტყვების ან მნიშვნელობების გამოყენება დედამიწის ერთი ბოლოდან მეორეზე (ლებედევა, 2021).

ნეოლოგიზმია სიტყვის მნიშვნელობის ევოლუცია და ახალი პოლისემიური მნიშვნელობის გაჩენა. მაგალითად, ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა ო.ჰენრიმ თავის მოთხრობაში „კომბოსტო და მეფეები“ ([Cabbages and Kings](#)) (1904) გამოიყენა ტერმინი „ბანანის რესპუბლიკა“ (Banana Republic). მოგვიანებით პოლიტიკურ მეცნიერებაში ამ ტერმინმა შეიძინა ახალი მნიშვნელობა - ბანანის რესპუბლიკა აღწერს პოლიტიკურად და ეკონომიკურად არასტაბილურ ქვეყანას, რომელსაც აქვს ბუნებრივი რესურსების ექსპორტზე დამოკიდებული ეკონომიკა (ინტერნეტ წყარო 6).



ვოლტერ სკოტმა რომანში „აივენჰო“ გამოიყენა სიტყვა „**Free Lancers**“, რომელიც აღნიშნავდა - მებრძოლად დაქირავებულ ადამიანებს. მოგვიანებით, ამ სიტყვამ - **Freelancer** - შეიძინა სხვა მნიშვნელობა და დღეს ის აღნიშნავს - შტატგარეშე მომუშავე ჟურნალისტს, ფოტოგრაფს და სხვა (someone who is not employed by any one organization but does particular pieces of work for different organizations) (ინტერნეტ წყარო 7).

სიტყვა - **Twitter** პირველად გამოიყენა ჯეფრი ჯოსერმა. ის ნიშნავს - **ჭიკჭიკის, ჟღურტულს ჩიტისა**, საუბარში ნიშნავს - **მღელვარებას**. ხოლო კომპიუტერში ის არის სოციალური ინტერნეტ ქსელის სახელწოდება (ინტერნეტ წყარო 8).

სიტყვა-**Yahoo** ჯონათან სფიტმა პირველად გამოიყენა ნაწარმოებში „გულიერის მოგზაურობა“. ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა ნიშნავდა *პირუტყვს, მხეცს, ნადირს* (თ.მ), დღეს ლიტერატურაში ის აღნიშნავს *უხეშ, ხმამაღალ, უსიამოვნო ადამიანს*, განსაკუთრებით მას, ვისაც აქვს მცირე განათლება. **Yahoo!** კომპიუტერში არის ინტერნეტის ერთ-ერთი წამყვანი საძიებო სისტემა. ის ასევე არის უდიდესი ვებ პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს ბმულებს ათასობით სხვა ვებსაიტზე (ინტერნეტ წყარო 9).

სიტყვა **ვებსაიტი** განმარტებულია, როგორც ვებგვერდების კრებული, რომლებიც გაერთიანებულია ერთი და იგივე დომეინის სახელით და მართულია ერთი და იგივე პირის ან ორგანიზაციის მიერ. შეგიძლიათ ვებ - გვერდზე წვდომა ბრაუზერის გამოყენებით, მისი URL-ს პირდაპირ შეყვანით ან სხვა ვებსაიტიდან მის ბმულზე დაწკაპუნებით თავად URL არის მისამართი, რომელიც აჩვენებს, თუ სად შეიძლება მოიძებნოს კონკრეტული გვერდი მსოფლიო ქსელში. მაგალითად: our site's URL is <http://www.Merriam-Webster.com>. ზემოთ მოყვანილი მაგალითები ადასტურებენ ინგლისური ლექსიკური ერთეულების, როგორც ნეოლოგიზმების დამკვიდრებას ქართულ ენაში. ისინი უკვე დამკვიდრებულია ენაში და ლექსიკონშიც არის შეტანილი.

**კვლევა და მისი შედეგები:** გადავწყვიტეთ შეგვესწავლა ქართულ სოციალურ მედიაში გამოყენებული ახალი სიტყვები, რომლებსაც სტუდენტი ახალგაზრდობა ხშირად იყენებს

ერთმანეთთან საუბრისას. ჩავატარეთ კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 სტუდენტმა. მათი უმრავლესობა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები არიან, თუმცა ასევე არიან სამართლის, ბიზნეს ადმინისტრირების, ფსიქოლოგიის, მედიცინის (სტომატოლოგია) სტუდენტებიც.

**კვლევის თემა აქტუალურია:** რადგან ქართული სოციალური მედია, როგორც სხვა დანარჩენი, პირველი ეხმიანება ტექნოლოგიების განვითარებას, გლობალიზაციას და მათთან დაკავშირებულ ლინგვისტურ პროცესებს. დღეს ქართულ ენაში ინგლისური ენიდან უამრავი სიტყვა შემოვიდა და დამკვიდრდა, განსაკუთრებით ახალგაზრდების მეტყველებაში და ეს პროცესი კვლავ გრძელდება.

**კვლევის მიზანია** ქართულ სოციალურ მედიაში გავრცელებული და დამკვიდრებული ინგლისური ლექსიკური ერთეულების შესწავლა, მათი გამოყენების სიხშირისა და საჭიროების დადგენა მათივე ქართული შესატყვისების შედარების საფუძველზე და მათი გამოყენების მიზეზების წარმოჩენა.

**კვლევის მეთოდოლოგია:** კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა სოციალური კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. განხორციელდა მონაცემების შეგროვება Google Forms-ის გამოკითხვის მეშვეობით, კვლევის ინსტრუმენტად შერჩეულ იქნა დახურული და ღია კითხვები.

**კითხვაზე-რამდენად ხშირად სარგებლობთ სოციალური მედით?** 80 სტუდენტიდან 61-მა მიუთითა, რომ ხშირად სარგებლობს, 19 სარგებლობს იშვიათად, არ აღმოჩნდა სტუდენტი, რომელიც არასოდეს სარგებლობს სოციალური მედით და ეს ბუნებრივიცაა.

**კითხვაზე - ქვემოთ ჩამოთვლილი სოციალური მედიის პლატფორმებიდან რომელს იყენებთ? Facebook, Twitter, Instagram, LinkedIn.** აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა -54% იყენებს Facebook-ს; Twitter-ს იყენებს გამოკითხულთა 21%; 3% იყენებს -Instagram -ს და მხოლოდ 2% იყენებს LinkedIn-ს.

**შემდეგ კითხვაზე - დღეს თითქმის ყველა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, იყენებს ნეოლოგიზმებს კომუნიკაციის პროცესში.**

**სწორად მიგაჩნიათ მათი ასე ფართოდ გამოყენება?** გამოიკვეთა, რომ დადებითი პასუხი - დიახ გასცა 41 სტუდენტმა, 25 სტუდენტმა გასცა უარყოფითი პასუხი - არა, ხოლო 14 სტუდენტს პასუხი არ აქვს.

სტუდენტთა მოსაზრება კითხვაზე - **დაასახელებთ თუნდაც ერთი მიზეზი ინგლისური სიტყვების ასე ფართოდ გავრცელების ქართულ სოციალურ მედიაში**, პასუხი მრავალფეროვანია. ყველა სტუდენტს გააზრებული აქვს, რომ ინგლისური სიტყვების გამოყენება აადვილებს კომუნიკაციას და აძლევს მათ აზრის გამოხატვის საშუალებას სწრაფად და მოკლედ.

გამოკითხულ სტუდენტთა 20% აზრით ერთ-ერთი მიზეზი ინგლისური სიტყვების ასე ფართოდ გავრცელების სოციალურ მედიაში არის ის, რომ ინგლისური არის საერთაშორისო ენა, რომ დიდია ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის გავლენა სხვა ქვეყნებზე და შესაბამისად ენებზეც. გარდა ამისა ინგლისური ენა სწრაფად ვითარდება, ამიტომ ხშირად რთულია ინგლისურ სიტყვას შეურჩიო სწორი ქართული შესატყვისი.

სტუდენტთა საკმაოდ დიდ ნაწილს (40%) მიაჩნია, რომ სოციალურ მედიაში ინგლისური სიტყვების ასე ფართოდ გავრცელების მთავარი მიზეზი არის სოციალური ქსელები, ონლაინ თამაშები და ზოგადად ინტერნეტის ზეგავლენა. მათი აზრით ადამიანები აღარ თარგმნიან კონკრეტულ ტერმინებს ქართულად და მათ ნაცვლად იყენებენ ქართულ ყალიბში ჩასმულ ინგლისურ სიტყვებს. ეს კი თანდათანობით იწვევს ჩვენს ენაში მათ გავრცელებას და ასე თუ ისე დამკვიდრებას.

ზოგიერთი სტუდენტის აზრით მთავარი მიზეზი არის მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი და ინგლისური ენის დომინირება ინტერნეტ სივრცეში. გამოკითხულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ინგლისური ლექსიკური ერთეულების გამოყენებით სოციალურ მედიაში კომუნიკაცია და აზრის გამოხატვა ბევრად იოლია. ყურადღებას იპყრობს ერთ-ერთი სტუდენტის მოსაზრება „დღესდღეობით, ჩვენც, როგორც თანამედროვე სამყაროს ნაწილი ყოველდღიურად ვიყენებთ ინგლისურ ნეოლოგიზმებს, რომლებიც შეიძლება სულაც ჩვენდა უნებურად გახდა ჩვენივე ყოველდღიურობის ნაწილი, თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ ისეთი ქართული სიტყვების ჩანაცვლენა

უცხოური ნეოლოგიზმებით, რომელთა შესატყვისები ჩვენს ენაშიც მოგვეპოვება, არც ისე სასურველია, ვინაიდან ცოტა ხანში მათ შეიძლება სულაც გადაფარონ ქართული სიტყვები და სამუდამოდ დაიმკვიდრონ ადგილი ლიტერატურაში. მიუხედავად ამისა არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ნეოლოგიზმების გამოყენება აუცილებელია და ეს სულაც არაა ცუდი. ვთვლი, რომ ნეოლოგიზმების გავრცელება ქართულ ენაში სიტუაციასა და კონკრეტულ შემთხვევაზეა დამოკიდებული“.

კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ახალგაზრდები ფიქრობენ ქართული ენის სიწმინდეზე და თავს იდანაშაულებენ კიდეც. მაგრამ ისინი განიცდიან სოციალური ქსელების გავლენას და ნებით თუ უნებლიეთ ერთმანეთთან კომუნიკაციის დროს ხმარობენ ინგლისურ ლექსიკურ ერთეულებს. გამოკითხულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სიტყვები „დალაიქება“ „დაშეარება“ „დარეაქტება“ და სხვა მრავალი, ქართულ სოციალურ მედიაში შემოსულია სოციალური ქსელებიდან. ასევე, ხშირია ფილმების გავლენა, ან გაცვლითი პროგრამის შემდეგ დაბრუნებული ახალგაზრდების მიერ მსგავსი სიტყვების გამოყენება სამეგობრო წრეში, რაც ნელნელა ხშირდება და ნორმად მიიჩნევა. რაღაც მხრივ, ჩვენი წილი დანაშაულიც დიდია, რადგან არ ვაფასებთ იმ ლამაზ და განსაკუთრებულ სიტყვებს, რაც ქართულშია და გვირჩევნია გამოვიყენოთ მაგალითად: „ინსპირაცია“ და არა „შთაგონება“. სტუდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ინგლისური სიტყვების ფართოდ გამოყენების მიზეზი არიან ბლოგერები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ ახალგაზრდებს შორის.

შემდეგ კითხვაზე, **თუ რომელ სიტყვებს იყენებენ სოციალურ მედიაში საუბრისას სტუდენტები** გამოირკვა, რომ უმრავლესობა იყენებს შემდეგ სიტყვებს: ქრაში, დაჯოინება, ბრო, დარეფლიება, სი იუ, ფრი სთაილი, დასინვა, ტრენდი, ასქროლვა, ლაივი, პროფიტი, ჯიმი, გაშიარება, დალაიქება, დასერჩვა, დაფოლოვება, ფიდბექი, დამიუთება, გაქიქვა, გაქრაშვა, ნიუსი, ტროლი, გუგლი, მესიჯი, დარეპორტება, რენდომი, ბილბორდი, კომპიუტერი, ვინჩესტერი, დიჯეი, ინსტალაცია, პარკინგი, სმს, დათაგვა, დასქრინვა, დაკოპირება, აუთვითი, ლუქი,მესიჯი, რილსი, ბლოგი,სელფი,მიმი და სხვა.

**დასკვნა:** კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ინტერნეტს და სოციალურ მედიას უდიდესი გავლენა აქვს ახალგაზრდებზე, მათ მეტყველებაზე. ისინი ჩვეულებრივ იყენებენ ინგლისურ ლექსიკურ ერთეულებს საუბრისას. თუმცა იციან, რომ სიტყვებს „დალაიქება“ „დაშეარება“ და სხვა მრავალს ქართულ ენაში აქვთ ზუსტი შესატყვისები. მათ ლექსიკაზე ასევე დიდ გავლენას ახდენს ინგლისურენოვანი ფილმები, გაცვლით პროგრამებში მონაწილე ახალგაზრდების მეტყველება სამეგობრო წრეში. რაც დრო გადის იზრდება ინგლისური ნეოლოგიზმების როლი და გამოყენების სიხშირე სოციალური ქსელების მომხმარებლებში და რაც მთავარია, ბევრი მათგანის ხმარება უკვე ნორმად მიიჩნევა. გამოკითხულთა ნაწილი თავს იდანაშაულებს, რომ ისინი უპირატესობას ანიჭებენ ინგლისურ სიტყვებს მაშინ, როცა მრავალ სიტყვას აქვს ქართული შესატყვისი, თუმცა იქვე აღნიშნავენ, რომ ზოგიერთ სიტყვას სჭირდება განმარტება, რაც ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ გრძელია, ამიტომ უპირატესობას ისევ ინგლისურ სიტყვებს ანიჭებენ. რადგან ამ შემთხვევაში, კომუნიკაცია უფრო სწრაფად მიმდინარეობს და გაგებაც შედარებით იოლია.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ ინგლისურ ლექსიკურ ერთეულს გააჩნია შესაბამისი ქართული შესატყვისი. მაგალითად: **გაშიარება** - (ინგლისური სიტყვა - **share**). სიტყვის ფუძე არის **share**, ვლელბობთ მნიშვნელობას - პოსტის/ფოტოს გაზიარება; **დასერჩვა** - ინგლისური სიტყვა **search**, ნიშნავს რაიმე კონკრეტულის ძებნას; **დაჩექინება** - სოციალურ მედიაში მიშნავს ადგილმდებარეობის მონიშვნას და გამოქვეყნებას. მერიემ ვებსტერის ონლაინ ლექსიკონში **check in** ნიშნავს 1.სასტუმროში დარეგისტრირებას 2.პიროვნების დასწრების ან ჩამოსვლის შეტყობინებას. **დაბუსტვა** - სოციალურ მედიაში ნიშნავს - რეკლამის გაკეთებას ფეისბუქზე, ხოლო მერიემ ვებსტერის ონლაინ ლექსიკონში ის ნიშნავს ზემოთ აწევას, უბიძგა უნაგირზე დასაჯდომად, პროდუქციის გაზრდას; სიტყვა - **რიქვესტი** ნიშნავს შეტყობინებას ისეთი პიროვნებისგან, ვინც მეგობრებში არ გყავთ. ლექსიკონში ის ნიშნავს თხოვნას, მოთხოვნას (ინტერნეტ წყარო 10).

როგორც ვხედავთ, სოციალურ მედიაში ამ ზმნებს დამატებული აქვთ კიდევ ერთი მნიშვნელობა. ამდენად თუ

გაშიარება, დასერჩვა, დალაიქება, დაკლიკება ბარბარიზმებია, რადგან მათ ქართულ ენაში ზუსტი შესატყვისები აქვთ. დაჩექინება, დაბუსტვა, რიქვესთი შეიძლება მივიჩნიოთ ნეოლოგიზმებად, თუმცა ისინი ლექსიკონში არ არიან შეტანილი. უცხო სიტყვის დამკვიდრებას ენაში დიდი დრო სჭირდება. ნეოლოგიზმებია ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სიტყვები: ბრაუზერი, პროფილი, სპამი და სხვა.

დანართი 1. სოციალურ მედიაში გამოკითხული სტუდენტების მიერ მოწოდებული სიტყვები.

1. აპინვა - შეტყობინების ან პოსტის ჩამაგრება, რომ არ დაგეკარგოს
2. აუთფიტი - გამოსასვლელ ტანსაცმელს
3. ადაპტაცია - შეგუება, მორგება
4. ბანის დადება - წვდომის შეზღუდვა გარკვეულ აქტივობებზე
5. ბლოგერი - წამყვანი
6. ბლოგი - ონლაინ ჟურნალი, დღიური ან საინფორმაციო საიტი კონკრეტულ თემაზე
7. ბრო - მეგობარი, ძმაკაცი
8. ბენეფიტი - უპირატესობა, პრივილეგია
9. გასთორვა - პირადი ამბის გამოქვეყნება
10. გაშიარება - პოსტის/ფოტოს გაზიარება
11. გაქიქვა - გაგდება
12. გაქრაშვა - გაჭედვა
13. დაბუსთვა - დარეკლამება
14. დასერჩვა - რაიმე კონკრეტულის ძებნა
15. დაჩექინება - ადგილმდებარეობის მონიშვნა და გამოქვეყნება
16. დასინვა - მესიჯის ნახვა და პასუხის არ დაბრუნება
17. დასტალკვა - ვინმეს გვერდზე გადასვლა და დათვალიერება
18. დათაგვა - ვინმეს მონიშვნა რაიმეზე
19. დასედება - მოწყენილი ემოციის გამოხატვა
20. დარეფრეშება - ფიდის განახლება

21. დარეპორტება - მიუღებელი ფოტოს /პოსტის გასაჩივრება
22. დალაიქება - მოწონება
23. დაკლიკება - დაწკაპუნება
24. დარეფლაიება - რაღაცაზე პასუხი
25. დალინკვა - ბმულის გაგზავნა
26. დააფდეითება - განახლება
27. დაფორვარდება - გაგზავნა
28. დაქენსელება - გაუქმება
29. დეიოფი - გამოსასვლელი დღე, ერთდღიანი შვებულება
30. დედლაინი - ბოლო ვადა
31. ლინკი - ბმული
32. დაბუსტვა - რეკლამის გაკეთება ფეისბუქზე
33. დაჰაიდება - არასასურველი ინფორმაციის გაქრობა ფეისბუქში
34. დაპოსტვა - სტატუსის გამოქვეყნება სოციალურ მედიაში
35. დატროლვა - დაცინვა, გასულელება
36. დაფოლოვება - ადამიანის, ორგანიზაციის ან გვერდის შეტყობინებების გამოწერა
37. დაჰაჰავება - დაცინვა ფეისბუქის ემოჯით
38. დასპოილერება - შინაარსის წინასწარ თქმა
39. დარეაქტება - ემოციის გამოხატვა
40. დაედითება - პოსტის/ფოტოს შესწორება
41. დარესეთება - მონაცემების თავიდან დაყენება
42. დალინკვა - პოსტის/ფოტოს ლინკის გაგზავნა
43. დამიუთება - ვინმეს შეტყობინების დაიგნორება
44. დაფაბლიშება - ფოტოს/პოსტის საჯაროდ გამოქვეყნება
45. დაჯოინება - თამაშში ან საუბარში ჩართვა
46. დასკიპვა - გამოტოვება
47. დანექსთვა - შემდეგზე გადასვლა
48. ემოჯი - ინტერნეტში ემოციებისა და ობიექტების ამსახველი მცირე ზომის გამოსახულება
49. ვლოგი - ვიდეო დღიური ან ჟურნალი
50. ინსპირაცია - შთაგონება

51. **ინტერნეტ ფორუმი** (ვებ-ფორუმი), იგივე გზავნილების დაფა, სადისკუსიო საიტი, სადაც მომხმარებლები ერთმანეთს ესაუბრებიან გზავნილების სახით
52. **კოპიერი** - პირგადასაღები აპარატი
53. **კონსისტენცია** - შემცველობა, შემადგენლობა
54. **კონტენტი** – ინფორმაცია, რომელიც საიტზეა განთავსებული, დაწყებული ტექსტიდან ვიდეორგოლებით და სურათებით დამთავრებული.
55. **ლაივი** - პირდაპირი ჩართვა
56. **ლუზერი** - ხელმოცარული ადამიანი
57. **ლუქი** - ადამიანის გარეგნობა კონკრეტული დღის ჩაცმულობის მიხედვით
58. **ლოქერი** - საკეტიანი პატარა უჯრა
59. **მესიჯი** - შეტყობინება
60. **ნიუსი** - ახალი ამბავი
61. **ნიუსფიდი** - ახალი ამბების ველი
62. **რებელა** - მეამბოხე
63. **რენდომი** - შემთხვევითი
64. **რიქვესტი** - შეტყობინება ისეთი პიროვნებისგან, ვინც მეგობრებში არ გყავს
65. **რილსი** - მოკლე ვიდეო, რომელიც ფიდზე იდება
66. **რერეგისტრაცია** - ხელახალი რეგისტრაცია
67. **რეპორტიინგი** - აუდიტორული დასკვნა, შეტყობინება
68. **რუმმეითი** - თანამეოთახე
69. **სქროლვა** - სოციალური ქსელების დათვალიერება
70. **სპამი** - არასასურველი ინფორმაცია
71. **სი იუ** - მომავალ შეხვედრამდე
72. **სმაილი** - ღიმილის მცირე ზომის გამოსახულება
73. **სოულმეითი** - სულიერი მეგობარი
74. **ტრენდი** - რაღაც, რაც აქტუალურია
75. **ტროლი** - ინტერნეტ სლენგი, რომელიც აღნიშნავს ადამიანს, რომელიც აქვეყნებს არაადეკვატურ და პროვოკაციულ ინფორმაციას [ფორუმზე](#), ჩატში, [ბლოგზე](#) და ა.შ.
76. **ფიდი** - სიახლეების /მონაცემების ველი



77. ფრი სთაილი - თავისუფალი სტილი
78. ფოლოუერი - მიმდევარი
79. ფეისბუკ ინსაითი - ფეისბუქზე ჩაშენებული უფასო ანალიტიკური პლატფორმა
80. ქრაში - ადამიანი, ვისაც საბედისწეროთ შევეჯახეთ, შორიდან მოგვწონს და ვეტრფით, თუმცა მან ამის შესახებ არაფერი იცის
81. ჩატი - სოციალურ ქსელში არსებული სასაუბრო საშუალება
82. ჯიმი - სავარჯიშო დარბაზი

#### გამოყენებული ლიტერატურა:

ლებედევა, 2021- Elena Lebedeva, “Modern Neologisms in the Texts, of British and American High Quality Newspapers”, Conference: International Scientific and Practical Conference “MAN.SOCIETY.COMMUNICATIN”, DOI:10.15405/epsbs.2021.05.02.24, [https://www.researchgate.net/publication/351926184\\_Modern\\_Neologisms\\_In\\_The\\_Texts\\_Of\\_British\\_And\\_American\\_High\\_Quality\\_Newspapers](https://www.researchgate.net/publication/351926184_Modern_Neologisms_In_The_Texts_Of_British_And_American_High_Quality_Newspapers), (17.08.2024)

მარკუსი, 2004- Froland Marcus, “What is a Neologism? Discover the birth of new words”, <https://twominenglish.com/what-is-a-neologism>, (17.08.2024)

#### ინტერნეტ წყაროები:

<https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/server?q=Server> (29.08.2024)

<https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/neologism> (17.08.2024)

<https://www.collinsdictionary.com/dictionary/english> (17.08.2024)

<https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/coinage?q=%E2%80%9CCoinag> (17.08.2024)

<https://lexicography.iliauni.edu.ge/neologizmebi-thanamedrove-garthul-enashi/> (17.08.2024)

[https://en.wikipedia.org/wiki/Banana\\_republic](https://en.wikipedia.org/wiki/Banana_republic) (17.08.2024)

<https://dictionary.ge/ka/search/?q=lancers> (17.08.2024)

<https://dictionary.ge/en/search/?q=twitter>+ (17.08.2024)

<https://techterms.com> (18.08.2024)

<https://www.merriam-webster.com/> (18.08.2024)

*დიანა მიქელაძე  
ასოცირებული პროფესორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე,*

## **კორონავირუსის ლექსიკური მემკვიდრეობა ინგლისურ ენაში და ქართული ენის ლექსიკოლოგიური პერსპექტივა**

### **მოკლე შინაარსი**

კორონავირუსის პანდემიამ გამოიწვია ღრმა ცვლილებები მთელს მსოფლიოში, გავლენა მოახდინა ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე. პანდემიამ შეცვალა არა მხოლოდ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, არამედ კვალი დაამჩნია ინგლისური ენის ლექსიკურ მხარესაც. ვირუსთან ბრძოლის კვალდაკვალ აღმოცენდა ახალი სიტყვები და გამონათქვამები ახალი გამოცდილებების, მოვლენებისა და საზოგადოებრივი ნორმების აღსაწერად. ნაშრომი მიზნად ისახავს მიმოიხილოს და გააანალიზოს ის სიტყვები და გამონათქვამები, რომლებიც გაჩნდა ან გააქტიურდა ინგლისურ ლექსიკაში პანდემიის დაწყების შემდეგ; ნათელი მოჰფინოს ენის ევოლუციის დინამიკურ ბუნებას გლობალური კრიზისის ფონზე; სისტემატური მიდგომისა და კატეგორიზების გზით გაარკვიოს ენობრივი ინოვაციების სემანტიკური ევოლუცია და სოციოკულტურული შედეგები.

სოციალური მოვლენები და ტექნოლოგიური წინსვლა, კაცობრიობის არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, მუდამ გავლენას ახდენდა ენის განვითარებაზე. ე.წ. COVID-19 პანდემია წარმოადგენს ერთ-ერთ ასეთ გადამწყვეტ მომენტს, რომელიც უბიძგებს ლინგვისტურ ინოვაციებს ეპოქის უნიკალური გამოცდილებისა და გამოწვევების აღსაბეჭდად. პანდემიის ფონზე ახალი სიტყვებისა და გამონათქვამების გაჩენა და ენაში დამკვიდრება იძლევა ღირებულ შეხედულებებს იმის შესახებ, თუ როგორ ემსახურება ენა საზოგადოების დინამიკისა და კულტურული ცვლილებების ასახვას.

ენათმეცნიერების სფეროში, COVID-19-ის შემდგომ გაჩენილი პანდემიასთან დაკავშირებული ახალი სიტყვებისა და გამონათქვამების იდენტიფიცირების, ასევე მანამდე პასიურად არსებული ლექსიკის გააქტიურების შემთხვევების ჩამონათვალის შედგენის, განმარტებისა და სისტემური ანალიზის საფუძველზე, გამოვლინდა მთელი რიგი თემატური ჯგუფებისა, როგორებიცაა: ჯანდაცვა, ტექნოლოგია, სოციალური ქცევა და ეკონომიკა. ლექსიკური ერთეულების მაგალითები შეგროვდა სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის მედია პლატფორმებიდან, სოციალური ქსელებიდან და აკადემიური ლიტერატურიდან. ანალიზმა გამოავლინა სიმრავლე ახალი სიტყვებისა და გამოთქმებისა, რომლებიც შემოვიდა ინგლისურ ენაში COVID-19 პანდემიის დაწყების შემდეგ. ნაშრომში წარმოდგენილი ლინგვისტური ინოვაციები მოიცავს ფართო სპექტრს და ასახავს ვირუსის გავლენას ენასა და საზოგადოებაზე. ნაშრომში ასევე დასმულია საკითხი ქართულ ენაში პანდემიური ლექსიკის შესწავლის აქტუალობის შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** კორონავირუსი, პანდემია, ნეოლოგიზმები, ლინგვისტიკა, ინოვაციები

***Diana Mikeladze***

Associate professor,  
*Samtskhe-Javakheti State University,*  
*Georgia, Akhaltsikhe,*

## **THE LEXICAL INHERITANCE OF CORONAVIRUS IN ENGLISH LANGUAGE AND LEXICAL PERSPECTIVE OF GEORGIAN LANGUAGE**

### **Abstract**

The coronavirus pandemic has caused profound changes around the world, affecting various aspects of human life. The pandemic has not

only changed our daily lives, but also affected the lexical aspect of the English language. In the process of fighting the virus, new words and expressions emerged to describe new experiences, phenomena and social norms. The paper aims to investigate and analyze the vocabulary that has developed in the English language after COVID-19, to clarify the dynamic nature of language evolution in the context of the global crisis. Social events and technological advances throughout the centuries-long history of human existence have always influenced the evolution of language. The COVID-19 pandemic is the source, prompting linguistic innovation to capture the unique experiences and challenges of this era. Understanding the emergence and adoption of new words and expressions provides valuable insights into how language serves to reflect societal dynamics and cultural change. In the field of linguistics, a number of studies have been conducted to identify and analyze new words and expressions that have appeared after COVID-19, to compile, define and analyze a list of neologisms and expressions related to the pandemic based on a systematic approach, and to categorize lexical items according to thematic areas, such as: health, technology, social behavior and economics. Examples of vocabulary items were collected from a variety of sources, including media articles, social media platforms, and academic literature. The analysis revealed new words and expressions that have entered the English language since the beginning of the COVID-19 pandemic. The linguistic innovations presented in the conference paper reflect the multifaceted impact of the virus on society.

**Key words:** coronavirus, pandemic, neologisms, linguistic innovations

**შესავალი:** კორონავირუსის ინფექცია, COVID-19, მოულოდნელად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში და რადიკალურად შეცვალა ცხოვრების სტილი მთელს მსოფლიოში. პანდემიამ ზოგიერთი ქვეყნის მთლიანად პარალიზება და მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის შეშინება გამოიწვია. საერთო ჩაკეტვას ე.წ. „ლოკდაუნს“ მოჰყვა თვითიზოლაცია და დისტანცირება. კარანტინში მყოფი ან ონლაინ მომუშავე ადამიანები აღმოჩნდნენ სრულიად ახალ გარემოში, მათ უნდა აღექვათ არსებობის შეცვლილი პირობები და სწორად

შეფასებინათ მიმდინარე მოვლენები, რომელთა აღქმასა და გააზრებას ასევე ახლდა მათთვის უცნობი ენობრივი ერთეულების შეთვისება, გაანალიზება და ყოველდღიურ მეტყველებაში დანერგვა. სავალალო პროცესმა დადებითი გავლენა იქონია განსხვავებული ენობრივი ერთეულების განვითარებაზე, შემოიტანა ახალი, სახეშეცვლილი სიტყვები, ტერმინები, გამონათქვამები, ლექსემები, რომლებიც შეიძლება დეფინიცირდეს COVID-19-ის პანდემიურ ლექსიკად.

COVID-19-მა გამოიწვია არა მხოლოდ გლობალური ცვლილებები მედიცინაში, განათლებაში, პოლიტიკასა და საზოგადოებაში, არამედ ახალი სიტყვებისა და იდიომების ნამდვილი აფეთქება მსოფლიოს ყველა ენაზე. ეს აიხსნება, ერთი მხრივ, იმით, რომ ახალი ლექსიკური მარაგი გახდა საჭირო იმ ცვლილებების ასახსნელად, რასაც ჩვენ ვხედავთ თანამედროვე სამყაროში და, მეორე მხრივ, იმით, რომ კარანტინში ან თვითიზოლაციაში მყოფი ადამიანები ახალ სიტყვებს ქმნიან მიმდინარე პროცესების, საკუთარი ქმედებებისა თუ გრძნობების აღსაწერად.

სტატიის **მიზანია** ინგლისურ ენაში COVID-19-თან დაკავშირებული ხშირად გამოყენებული ლექსიკისა და ფრაზეოლოგიური ერთეულების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, ანალიზი, ლექსიკური ფონდის ზრდის თვალსზრისით საჭირობოროტო მოვლენის დადებითი კუთხით შეფასება და ქართული ენაში პანდემიური ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის კვლევის საჭიროებისა და პერსპექტივის წარმოჩენა.

კვლევის **აქტუალობა** უდავოა, რადგან ლექსიკური ერთეულები, რომლებიც პანდემიის წლებში გაჩნდა და ასევე მანამდე არსებული მეტნაკლებად პასიური ლექსიკა, რომელთა გამოყენებაც გააქტიურდა ვირუსის გავრცელების გამო, საჭიროებს აღწერას, კლასიფიკაციას, ანალიზსა და შესატყვისების დამებნამისადაგებას ქართულ ენაზე.

**მეთოდები:** საკითხის შესწავლისას გამოყენებულია აღწერითი და თვისებრივი მეთოდები, რომლებიც გულისხმობს ინფორმაციის მოპოვებასა და ანალიზს - არარიცხვული მონაცემების შეგროვებასა და მნიშვნელობის დადგენას, რათა

ახსნას პანდემიის პერიოდში მიმდინარე ენობრივი პროცესები და გამარტივდეს სოციალურ ცხოვრებაში შექმნილი მეტად მწვავე გლობალური პრობლემის გარშემო ორიენტირება და კომუნიკაცია.

**მსჯელობა:** ნეოლოგიზმის სტატუსი ენიჭება ყველა ახალ სიტყვას, რომლებიც ჩნდება მეტყველებაში. ნეოლოგიზმი, პირველ რიგში, არის „სიტყვა ან ფრაზა, რომელიც შეიქმნა ან გაჩნდა ახალი, ადრე უცნობი ობიექტის აღსანიშნავად ან ახალი კონცეფციის გამოსათქმელად“ (Ахманова, 2004:57). ლექსიკური ერთეულების ერთი ჯგუფი, რომლებიც პანდემიის დროს ინტენსიურად გამოიყენებოდა, არსებობდა ადრეც, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა მხოლოდ ვიწრო სფეროში, კერძოდ, მედიცინაში იხმარებოდა. ზოგიერთმა მათგანმა სრულიად ახალი მნიშვნელობა შეიძინა.

დაავადების სახელი - კორონავირუსი პირველად გამოჩნდა 1965 წელს, პანდემიის გამო. იგი ფართოდ გავრცელდა და სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიება. 2020 წელს, პანდემიის გაჩენის საწყის ეტაპზე დაავადების სხვადასხვა აბრევიატურა არსებობდა, მაგალითად:

- **2019-nCoV** (2019 Novel CoronaVirus / Wuhan coronavirus, ახალი კორონავირუსის პნევმონია),
- **SARS-CoV-2** მძიმე მწვავე რესპირატორული კოროვირუსული სინდრომი-2 და
- **COVID-19** კოროვირუსული დაავადება 2019.

**COVID-19** ყველაზე ფართოდ გამოიყენება დღევანდელ რეალობაში გამოთქმისა და მართლწერის შედარებით სიმარტივის გამო.

ბრიტანელი ლინგვისტისა და ლექსიკოგრაფის ტონი თორნის მიხედვით, 1000-ზე მეტი ახალი სიტყვა გაჩნდა კორონავირუსის გავრცელების პერიოდში. ოქსფორდის ინგლისურ ლექსიკონში შესულია როგორც ინოვაციური, ასევე ის სიტყვები, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობებიც გაფართოვდა. (Thorne, 2020).

ოქსფორდის ინგლისურენოვან ლექსიკონს პანდემიის დროს შეემატა პანდემიასთან და პანდემიით გამოწვეულ ყოველდღიურ

ცვლილებებთან და კომუნიკაციასთან დაკავშირებული ნეოლოგიზმები და ტერმინები, რომელთა შორისაა:

**"COVID-19," "social distancing," "flatten the curve," "infodemic," "self-isolate," "elbow bump," "self-quarantine," "shelter in place," "PPE" (personal protective equipment), "WFH" (working from home)** (E.D John A. Simpson, 2021)

ვებსტერის ლექსიკონში ასევე უხვად შევიდა და დღითიდღე ემატება კორონავირუსთან დაკავშირებული სიტყვები. მაგალითად:

**Zoom fatigue, quarantine pod, covidiot, maskne, blursday, coronacation, contactless, drive –by birthday, zoom-bombing, pandemic puppy, doomscrolling, coyexit, furlough, Vaccine passport** და ა.შ. (Merriam-Webster, 2021)

სხვადასხვა ქვეყნები თავიანთი მოქალაქეებისათვის ცდილობდნენ პანდემიასთან დაკავშირებული სიტყვების ახსნა-განმარტებასაც. მაგალითად, კანადის მთავრობის ვებსაიტზე წარმოდგენილია სპეციალური COVID ლექსიკონი. მასში ანბანური თანმიმდევრობითაა განლაგებული სამედიცინო ტერმინები, რომლებიც ამა თუ იმ ასპექტით დაკავშირებულია ახალ დაავადებასთან. ლექსიკონი შეიცავს 200-ზე მეტ სიტყვას ინგლისურ და ფრანგულ ენებზე განმარტებებითა და მაგალითებითურთ. პირველ რიგში, ლექსიკონში შეტანილია ვიწრო სამედიცინო ტერმინები, რომლებიც უფრო ხშირად გამოიყენება მეტყველებაში COVID-19 პანდემიის გამო. მაგალითად:

**anosmia** - ანოსმია, **fomite** - ფომიტი, **seroprevalence**- სეროპრევალენტობა...

ლექსიკონში ასევე მოცემულია სიტყვები, რომლებიც ცნობილი იყო მოსახლეობისათვის, მაგრამ პანდემიიდან გამომდინარე შეიძინეს სხვა მნიშვნელობა, მაგალითად:

**quarantine** /კარანტინი/ -ინფექციური დაავადების გავრცელების პრევენციის ღონისძიება, რომლის დროსაც ჯანმრთელი ადამიანი, რომელიც შესაძლოა ინფიცირებულ ადამიანთან იყო კონტაქტში, იზოლირებულია დაავადების ინკუბაციურ პერიოდში.



ლექსიკონის ავტორები აღნიშნავენ, რომ ეს ტერმინი განსხვავდება სიტყვისგან **isolation** /იზოლაცია/. ეს არის ისეთი პრევენციული ღონისძიება, რომელიც გულისხმობს ინფიცირებული პირის განცალკევებას არაინფიცირებული ადამიანებისგან გადამდები პერიოდის განმავლობაში.

**lockdown** /ჩაკეტვა/ - გადაუდებელი პროტოკოლი, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის გადაადგილებისა და შეკრების შეზღუდვას. ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების მიზეზების გამო.

**bubble** /ბუშტუკი/ - სიტყვამ სრულიად ახალი მნიშვნელობა შეიძინა. კერძოდ კი, იგი აღნიშნავს ჯგუფს, სადაც ადამიანები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე თვლიან, რომ ფიზიკური დისტანცირების ზომები სავალდებულო არ არის.

**elbow bump** - ერთმანეთის მისალმების გზა ხელის ჩამორთმევის გარეშე და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ლექსიკონში შეტანილ ბევრ სიტყვასა და ტერმინს არ აქვს ანალოგი სხვადასხვა ენაზე, მათ შორის, არც ქართულ ენაზე. ისინი ნასესხები სიტყვების სახით გვევლინებიან ქართულში. ლექსიკური ერთეულების, ფრაზების, იდიომატური გამოთქმების მოზღვაებული სიჭარბის გამო ქართულში ვერ მოხერხდა შესაბამისი თარგმანის მოძიება ან თანადროული შექმნა და ისინი სწრაფად დამკვიდრნენ, როგორც ნასესხები სიტყვები და ეს უმეტესად მოხდა თარგმანის ისეთი ტექნიკების გამოყენებით, როგორებიცაა ტრანსკრიფცია, ტრანსლიტერაცია ან მიკვლევა.

უდავო ფაქტია, რომ კანადის მთავრობის ვებსაიტზე წარმოდგენილი სპეციალური COVID ლექსიკონის არსებობა საგრძნობლად დაეხმარება ადამიანებს იმ სიტყვების მნიშვნელობის გაგებაში, რომელთა გამოყენებაც გაძლიერდა პანდემიის დროს.

კორონა ვირუსის პერიოდში შექმნილი ნეოლოგიზმები შეიძლება გარკვეულ სტრუქტურას დაემორჩილოს, რაც გარკვეულად ხელს შეუწყობს ახალი ქაოტური ტერმინებისა და სიტყვების ორგანიზებას მათი მარტივად გამოყენების თვალსაზრისით. (The British Academy. 2021). ვფიქრობთ, შესაძლებელია ლექსიკური ერთეულების ისეთ კატეგორიებად დაჯგუფება, რომლებიც დაკავშირებულია შემდეგ სოციალურ სფეროებთან:

საზოგადოებრივი ღონისძიებების გატარება:  
***Social distancing, Lockdown, Shelter in place...***

სამედიცინო უსაფრთხოების ზომების მიღების აღნიშვნა:  
***PPE (Personal Protective Equipment), Ventilator, Asymptomatic...***

სამუშაოსთან და განათლებასთან დაკავშირებული  
ერთეულები: ***WFH, Zoom  
classroom, Hybrid learning...***

სოციალური და კულტურული ცვლილებები:

***Quarantine pod: Drive-by birthday: Pandemic puppy***

პანდემიისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ქცევა და  
პირობები: ***Doomscrolling, Maskne: Zoom  
fatigue...***

ასევე შეიძლება ცალკე ჯგუფად გამოვყოთ სლენგის ლექსიკა:  
***Covidiot: Covexit: Infodemic...***

ვაქცინაციასთან დაკავშირებული ტერმინები:  
***Vaccine passport: Vaxxed: Booster Shot...***

კორონავირუსის პერიოდში შექმნილი ნეოლოგიზმები ასევე  
შეიძლება დაიყოს წარმოქმნის მიხედვით. სიტყვების უმეტესობა  
წარმოიქმნება მარტივი მიმატებით, რის შედეგადაც ვიღებთ ახალ,  
ორფუძიან სიტყვას ან შესიტყვებას, მაგალითად:

***coronacrisis-, coronacoma, coronatimes-, corona babies, corona  
warriors***

ზოგიერთ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე  
მნიშვნელობა. მაგალითად, ***Coronacoma*** „კორონაკომა“ შეიძლება  
მიუთითებდეს იმ ფაქტზე, რომ ყველა საჯარო ადგილი  
დაკეტილია კარანტინის დროს (საზოგადოება თითქოს კომაშია  
ჩავარდნილი); ასევე ***Coronacoma*** შეიძლება გულისხმობდეს  
დისტანციურად მომუშავე ადამიანების გახანგრძლივებულ ძილს  
საკარანტინო პერიოდში.

ახალი ერთეულები შეიქმნა ასევე ორი ფუძის ერთმანეთთან  
შერევით, ანუ კონტამინაციის გზით. მაგალითად:

***Coronapocalypse (corona + apocalypse), Covidiot (COVID-19 +  
idiot), Pandemicdenial (pandemic + denial), Quarantini (quarantine +  
martini).*** ( Mweri,2021:36-47).

ცალკე ჯგუფად შეიძლება გამოვყოთ სიტყვები, რომლებიც  
ადრე არსებობდა, მაგრამ შეეცვალათ სემანტიკა, ანუ მათი

მნიშვნელობები გაფართოვდა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ COVID-19-ის პანდემიის დროს არა მხოლოდ გაჩნდა ახალი სიტყვები, არამედ შეიცვალა მნიშვნელობა კონტექსტის მიხედვით. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ შემდეგი სიტყვები თუ სიტყვათა კომბინაციები:

**სიტყვა Cluster-** COVID-19-მდე გამოიყენებოდა ეპიდემიოლოგიაში შემთხვევების ჯგუფის აღსაწერად კონკრეტულ ადგილას.

**Second wave-** მეორე ტალღა, რაც პანდემიის მძვინვარების პერიოდში იხმარებოდა COVID-19-ის შემთხვევების შემდგომ ეტაპში გადაზრდის აღსაწერად.

**Flatten the Curve-** მრუდის გასწორება, რაც COVID-19-ის კონტექსტში გულისხმობს ზომების მიღებას სოციალური დისტანციისა და ჩაკეტვისათვის ჯანდაცვის რეგულაციების მართვის მიზნით.

**Super-Spreader-** ინდივიდი, რომელიც გადასცემს ინფექციურ დაავადებას ადამიანთა უჩვეულოდ დიდ რაოდენობას.

**Contactless უკონტაქტო** -COVID-19-მდე ძირითადად გამოიყენებოდა გადახდის სისტემების კონტექსტში ფიზიკური კონტაქტის გარეშე განხორციელებული ტრანზაქციების აღსაწერად. COVID-19-ის დროს გაფართოვდა მისი მნიშვნელობა და გამოყენებულ იქნა სხვადასხვა სერვისებისა და ურთიერთქმედებების აღსაწერად, კერძოდ, მიზნად ისახავდა ფიზიკური კონტაქტის შემცირებას ვირუსის გადაცემის მინიმუმამდე შესამცირებლად (მაგალითად: უკონტაქტო მიწოდება და შემოწმება).

**Long COVID-ხანგრძლივი COVID** - COVID-19-მდე არ არის გამოყენებული ტერმინი. COVID-19-ის დროს ამ შესიტყვებით აღინიშნა პაციენტთა გახანგრძლივებული სიმპტომები და ჯანმრთელობის პრობლემები COVID-19-ის მწვავე ფაზის გამოჯანმრთელების შემდეგ, რაც იწვევს მუდმივ სამედიცინო და კვლევით ინტერესს.

**Mask Mandate** COVID-19-მდე არ არის გავრცელებული ტერმინი.

COVID-19-ის დროს ფართოდ იქნა აღიარებული, როგორც პოლიტიკა,

რომელიც მოითხოვს სახის ნიღბების ტარებას საჯარო სივრცეში ვირუსის გადაცემის შესამცირებლად.

ცალკე ჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს სიტყვები, რომლებიც გამოჩნდა ენაში ახალი რეალობიდან გამომდინარე, მაგალითად:

**WFH (Work From Home), Social Bubble or COVID Bubble, Virtual Happy Hour, Hybrid Work, Invisible enemy, Upperwear ...**

გაერთიანებას იმსახურებს პანდემიის დროს შექმნილი აბრივიატურები, როგორებიცაა: **BCV /ACV**

**WFH** -Work From Home

**PPE**-Personal Protective Equipment

**COVID-19** -Coronavirus Disease 2019

**RAT**-Rapid Antigen Test

**HCW**-Healthcare Worker

**WHO** -World Health Organization

თითოეული ჯგუფი დეტალურ შესწავლას საჭიროებს რაოდენობრივი, სემანტიკური, ლექსიკური და ანალიტიკური თვალსაზრისით.

ქართული ენისათვის არ არსებობს პანდემიასთან დაკავშირებული ლექსიკონი. მიგვაჩნია, რომ კვლევის შემდგომი, მასშტაბური გაგრძელება საუკეთესო მასალას წარმოაჩენს ქართულისათვის კოვიდ 19-ის ლექსიკონის შესაქმნელად. კვლევის ჩარჩოდ შეიძლება გამოდგეს ინგლისური ენის კვლევის მაგალითი და ასევე გათვალისწინებული იქნეს ქართულის თავისებურებებიც.

**დასკვნის სახით** გვინდა აღვნიშნოთ, რომ პანდემიით გამოწვეულმა ცვლილებებმა, უპრეცედენტო გარემოებების აღწერის უეცარმა საჭიროებამ განაპირობა პანდემიის ეპოქის უნიკალური გამოცდილებისა და რეალობის ამსახველი ნეოლოგიზმების, ტერმინებისა და იდიომების მნიშვნელოვანი ზრდა, მათ შორის, ქართულ ენაშიც, რაც საჭიროებს შესწავლას.

ენობრივ ევოლუციას მოწმობს პანდემიასთან დაკავშირებული მრავალი სიტყვა და გამოთქმა, რომლებიც ჩართულია ყოველდღიურ ენასა და ფორმალურ ლექსიკონებში, რაც ასახავს როგორც COVID-19-ის მიერ წამოჭრილ ახალ გამოწვევებს, ასევე ადამიანთა ტენდენციას განაახლოს ენა ახალი გამოცდილების საპასუხოდ.

ლექსიკოგრაფიკა და ლინგვისტიკა, დააფიქსირეს პანდემიასთან დაკავშირებული ათასზე მეტი ახალი სიტყვის გაჩენა, რაც ხაზს უსვამს ენის დინამიკურ ბუნებას, რადგან ის ვითარდება თანამედროვე საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

COVID-19 პანდემია გახდა სამოტივაციო მოვლენა ლინგვისტური ინოვაციებისთვის - შეიქმნა მდიდარი ლექსიკა, რომლებიც გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას სოციალურ, კულტურულ და ტექნოლოგიურ ცვლილებებზე, რაც ხაზს უსვამს პანდემიის ძლიერ გავლენას სოციალურ ცხოვრებასა და ენაზე.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

Ахманова, 2004 -Ахманова О.С., Словарь лингвистических терминов. Едиториал УРСС, 2004 (Ахманова, 2004:57)

Thorne, T. Spotlight on COVID: Pandemic language and the role of linguistics. King's College London. News Centre, 2020, June,

Mweri, 2021- Mweri, J. Corona Virus Disease (COVID-19) effects on language use: An analysis of neologisms, Linguistics and Literature Studies

### **ინტერნეტ რესურსები:**

Oxford Advanced Learner's Dictionary. (n.d.). Browse new words. Oxford Learner's Dictionaries. Retrieved from

[https://www.oxfordlearnersdictionaries.com/wordlist/new\\_words](https://www.oxfordlearnersdictionaries.com/wordlist/new_words)

Oxford University Press. (2020). Word of the Year 2020. Retrieved from [https://global.oup.com/news-items/archive/woty\\_2020?cc=ge](https://global.oup.com/news-items/archive/woty_2020?cc=ge)

Merriam-Webster. (n.d.). America's most trusted dictionary. Retrieved from <https://www.merriam-webster.com/>

The British Academy. (2021). The Covid decade: Understanding the long-term societal impacts of COVID-19. Retrieved from <https://www.thebritishacademy.ac.uk/publications/covid-decade-understanding-the-long-term-societal-impacts-of-covid-19/>

**დალი ბეთხოშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე,

## ვანლერ დაისელის პოეზია – „გადამტყდარი რკალი“<sup>1</sup>

### მოკლე შინაარსი

ნაშრომში წარმოდგენილია პოეტ ვანლერ დაისელის პოეზია, რომელიც გაჯერებულია მატერიალური და სულიერი მსოფლმხედველობრივი შრეებით, მისი ლექსთა სტრიქონები სავსეა ნაცნობი და მეტად შეუცნობელი თემატიკით, რომელიც განსაკუთრებული მხატვრული აზროვნების სივრცით გამოირჩევა. პოეტი მარტო ერთ დრო-სივრცულ გარემოში არ იმყოფება, მისთვის ორივე საფეხური – რეალური და ზესივრცული – ერთად არსებობს და ასაზრდოებს მის რეალურ თუ სიზმარულ განცდას, ღამის სიდიადეს, თუ მოსალოდნელ

---

<sup>1</sup> ვანლერ დაისელის (ივანე ბაბუაძე) პოეზიაში წარმოჩენილი პრობლემები და მხატვრული სახეები ცალ-ცალკეა განსახილველი და გასააზრებელი, რამეთუ მრავლისმომცველია და ერთი წაკითხვა ვერ მიუახლოვდება პოეტის სიტყვის ძალას. წინამდებარე პოეზია ღრმა კვლევის საგანია, საჭიროებს სხვაგვარ მიდგომებს და, რადგან მაქვს ამის შესაძლებლობა, უახლოეს მომავალში კიდევ ერთ მოკრძალებულ კვლევას წარმოვადგენ.

მის შემოქმედებაში დასტურდება ასევე დრამატურგიის ჟანრიც, რითაც კიდევ მეტი სიღრმეებით, დრამატული ელფერით იქნება წარმოჩენილი პოეტის დაუდგრომელი, რეალობასთან შეურიგებელი მოძრავი სულისკვეთება, ეპოქამ რომ წარმოშვა და უკარნახა.

სასურველ ნათელს, რომელიც ასევე სიზმარეულ, სასურველად დასახულ არსებობას რომ ჰკარნახობს შემოქმედს.

ვანლერ დაისელის ლექსების სტრიქონებში სრულად არის წარმოჩენილი პოეტის მთელი შინაგანი სულიერი სამყარო, მასთან გადაჯაჭვული რეალური ცხოვრების, წუთისოფლის თანამდევი ტკივილები, აუხდენელი ოცნებები, ლანდებად, სიზმრებად ქცეული მწვანით, კვლავ განახლებული სიცოცხლის სურვილით მოსილი გახუნებული სიცოცხლე-არსებობა, რომელსაც აშინაარსებს და მარადიულობის რწმენის განცდას ანიჭებს იესო ქრისტეს ჯვარცმა, მისით მინიჭებული სიცოცხლე.

პოეტი წუთისოფელს ამაოებად, უმოქმედოდ, არარაობად, უტყვ დროებად მიიჩნევს, მხოლოდ ცარიელ ნახაზად, რომელზეც ვერაფერს ამოიკითხავ, სიცოცხლეს ვერ შეიგრძნობ, ამიტომ ზეცას მიაპყრობს საკუთარი სულის მზერას საიმედოდ, მაგრამ ისიც ნაკლებად ცვლის უტყვ საუკუნეებს – არსებულ რეალობას, მაგრამ მაინც, ცა პოეტისთვის მიზნების განხორციელების საყრდენია, წყვდიადიდან თავდაღწევის საუფლოა. მიწიერ გარემოში დროის დინებასთან ერთად აუცილებელი კანონზომიერი ცვლილებები მიმდინარეობს, სხვაგვარად საუკუნეებს, სხვადასხვა დროს, ვერ მივიღებთ, ცვლილებით ხდება არსებობათა განახლება, განგრძობა.

„გადამტყდარი რკალი“ აჩვენებს პოეტის მსოფლმხედველობრივ აზროვნებაში იმ ცვლილებებს, რომელიც არსებულმა ვითარებამ წარმოშვა და მანვე მისცა საზრდო მის მხატვრულ აზროვნებას, რომელიც არეკლილია ვანლერ დაისელის 29 ლექსში და თავმოყრილია ლექსში „გადამტყდარი რკალი“, სადაც გაერთიანებული და თავმოყრილია პოეტის მთელი საფიქრალი და დასახული სამომავლო ცხოვრების გზაც.

**საკვანძო სიტყვები:** ვანლერ დაისელი, გადამტყდარი რკალი, წუთისოფელი, ტკივილი, იესო ქრისტე, ჯვარცმა, მარადისობა.

*Dali Betkhoshvili*  
*Doctor of Philology, Associate Professor,*  
*Samtskhe-Javakheti State University,*  
*Georgia, Akhaltsikhe,*

## VANLER DAISEL'S POETRY - "A BROKEN ARC"

### *Abstract*

The work presents the poetry of the poet Vanler Daissel, which is saturated with material and spiritual worldview layers, his lines of poems are full of familiar and very unknown themes, which are distinguished by a special space of artistic thinking. The poet is not only in one time-space environment, for him both levels - real and supraspatial - exist together and nourish his real or dreamy feeling, the greatness of the night, or the expected desired light, which also dictates a dreamy, desired existence to the creator.

The entire inner spiritual world of the poet is fully presented in the lines of Vanler Daissel's poems, the pains of the real life intertwined with it, the pains of the world, unfulfilled dreams, the greenness that has turned into dreams, the life-existence clothed with the desire for a renewed life, which he cherishes and gives a feeling of faith in Jesus Christ. The crucifixion, the life given by it.

The poet considers the world as vanity, inaction, nothingness, lifeless times, only an empty drawing on which you can't read anything, you can't feel life, therefore he will look to the sky with his soul's gaze reliably, but it does not change the lifeless centuries - the existing reality, but still, the sky is a support for the poet to achieve his goals. , it is the right to escape from darkness. Necessary regular changes are taking place in the earthly environment with the flow of time, otherwise we will not be able to get centuries, different times.



"The Broken Arc" shows the changes in the worldview of the poet, which the current situation gave rise to, and it gave nourishment to his artistic thinking, which is reflected in 29 poems of Vanler Daissel and collected in the poem "The Broken Arc", where all the poet's thinking is united and collected, and the path of his future life is also set.

**Key words:** Vanler Daisel, the broken arc, world, pain, Jesus Christ, crucifixion, eternity.

**მიზანი:** ნაშრომის მიზანია წარმოჩნდეს უცნობი პოეტის ვანლერ დაისელის მხატვრული აზროვნების თავისებურებანი, ნაჩვენები იქნას ის პრობლემები, რაც ფართოდ აისახა პოეტის შემოქმედებაში, გამოიკვეთოს ის საფიქრალი, რომელიც ასაზრდოებდა ვანლერ დაისელის მთელ მხატვრულ აზროვნებას, მის მსოფლმხედველობას; ვანლერ დაისელის (ივანე ბაბუაძის) მხატვრული სიტყვა ღრმად გვახედებს მისი ეპოქის ცხოვრებაში, რომელსაც სხვაგვარი მიდგომა და შესწავლა სჭირდება.

**მეთოდები:** რადგან საკვლევი საკითხი ღრმაა და მრავალასპექტიანი, ცალმხრივი კვლევა ვერ შეძლებს პრობლემის ნათლად წარმოდგენას, მწერლის და ეპოქის ტკივილის წარმოჩენას, ამიტომ გამოყენებულია შედარებით-ისტორიული, ანალიზის და ჰერმენევტიკის მეთოდები; აღნიშნული მეთოდები უკეთ წარმოაჩენს მხატვრული აზროვნების ესთეტიკურ ღირებულებებს, ნათლად გამოკვეთს ავტორის სათქმელს, მის მსოფლმხედველობას. ყოველივე ამის გარეშე ვერ მიიღწევა საკითხის მეცნიერული გამოკვლევა.

**შედეგები:** ვანლერ დაისელის (ივანე ბაბუაძის) პოეზიის ამგვარი კვლევა წარმოაჩენს ეროვნული მწერლობის ღირებულებას და მნიშვნელობას ქართული კულტურის განვითარებაში, მის განუკვეთელ ერთიანობას წინარე ეპოქათა

მხატვრულ აზროვნებასთან, აგრეთვე აჩვენებს მის მნიშვნელობას პოეტის როგორც თანადროული, ასევე შემდეგი ეპოქების ქართული მწერლობის განვითარებაში და სახავს სამომავლო განვითარების პერსპექტივასაც; პოეტის შემოქმედების ასეთ ჭრილში განხილვა წარმოაჩენს პრობლემის არსს, ეპოქის ღრმა სულისკვეთებას, მხატვრული აზროვნების ესთეტიკურ ღირებულებებს, აგრეთვე იკვეთება ისიც, რომ ქართულ მწერლობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურის აზროვნების სივრცეში.

**შესავალი:** წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია უცნობი პოეტი ვანლერ დაისელი და მისი ძალზედ მნიშვნელოვანი, მეტყველი, უსაზღვრო არსის მომცველი პოეზიის ნიმუშები, რომლის სტრიქონები სავსეა ნაცნობი და მეტად შეუცნობელი თემატიკით, რასაც ერთი წაკითხვა ვერ შეძლებს მასთან მიახლოებას, მით უმეტეს, სათანადოდ ამოკითხვას, რამეთუ მისი მხატვრული სიტყვა ძალიან ბუნდოვანია, არამატერიალური, ღრმა, მიუწვდომელი... მის ამოცნობას მახვილი თვალი სჭირდება, დრო, რომელიც იტრიალებს მისი სიტყვის სიღრმეებში და სხვაგვარ ემოციას დაეუფლები მის გასაგებად... პოეტის მხატვრული ნააზრევი ძალიან ღრმაა, რასაც ზედაპირზე ამოტანა სჭირდება, სხვაგვარად რთულია მისი ლექსების სულისკვეთების ამოცნობა და მისგან გამოწვეული ემოციის ფლობა.

**მსჯელობა:** ვანლერ დაისელის პოეზია სავსეა დაფარული აზრის მქონე მხატვრული ფრაზეოლოგიზმებით, თანაც არა ერთი შრის მომცველი, მას მრავალმხრივი, სხვადასხვა ჭრილში გააზრება სჭირდება... ფაქტი ერთია, აღნიშნული ნიმუშების სათქმელის მიხედვით, პოეტი მარტო ერთ დრო-სივრცულ გარემოში არ იმყოფება, მისთვის ორივე საფეხური – რეალური და ზესივრცული – ერთად არსებობს და

ასაზრდოებს მის რეალურ თუ სიზმარეულ განცდას, ღამის სიდიადეს, თუ მოსალოდნელ სასურველ ნათელს, რომელიც ასევე სიზმარეულ, სასურველად დასახულ არსებობას რომ ჰკარნახობს შემოქმედს... („სიზმრები სცვიოდა ზარების რეკიდან...“, გვ. 31, ლექსი „ქაღწულები მწვერვალიდან“, დაწ. 1925 წ.), აგრეთვე მასში მზე და მწუხარება, ერთადაა შეზავებული... იგი სიზმრებით, წარმოსახული სინამდვილით მუდამ გაურბის არსებულ სინამდვილეს და თავისი მერანით („ეხლა გულის ძგერა ჩემი მერანია“, – ამბობს ლექსში „სურვილები მშიერ ვეფხვებივით“) მიისწრაფვის, რათა ამ დროებაზე ამაღლდეს და მიზნად ისახავს სხვა ცხოვრებას, სხვაგვარ მუსიკის ხმებს შეუერთდეს. ლექსში „თოვლი და ტფილისი“ პოეტი აღნიშნავს:

„მე მაინც ვმდერი სხვა იერიშით,  
გიძღვნიტ სივარულს, ცივო მასებო!  
თითქოს ქვეყანა იქცა ფეტიშად,  
თითქოს ფერები აღარ არსებობს“ (დაისელი, 2019: 36).  
უფერული სამყაროს შემდეგ:

„ვუცდი პოეტი ხელგაშვერილი ცხელი ზანგივით  
ჩემი მომავლის იმედების უცხო ანგელოსს...“ (ლექსი „თმები ეცემა, დაგრეხილი შავი რკინები“, გვ. 29, დაწ. დეკემბერი, 1924 წ.).

ასე შეეწირა მომავლის იმედებში ჩაკარგული პოეტი დროის დინებას:

„მე აქ მოსული სოფლის დიდება

ვარ დაკარგული ბრილიანტივით“ („წუთი ქალაქზე თვალის გადავლებით“, ივნისი, 1926 წ.) (დაისელი, 2019: 38).

ამ პატარა, მაგრამ მხატვრული ღირებულებით მდიდარ, კრებულს წამძღვარებული აქვს ერთ-ერთი ლექსის სათაური „გადამტყდარი რკალი“, რომელიც 29 ლექსის სათქმელს ერთ სივრცეში ათავსებს და მისი აზრი ერთ მთლიან რკალად იქცევა, რომელშიც გარდათქმულია მძიმე საფიქრალი, პოეტის

მდუღარე გულში რომ გარდატეხილა და სხვადასხვა დადლილ სატკივარად გაფანტულა პოეტის სამყაროში, რომელიც მოიცავს ნამსხვრევებად ქცეულ ოცნებებსაც და რეალურად არსებულ საკითხებსაც: ერთსტრიქონიან უსათაურო ლექსში „გაკრთობს შველივით წყაროს შხუილი“ პოეტი აღნიშნავს:

„ლექსები სუფთა აბრეშუმით

მე ხალხს დავუგე, მე ხალხს ვუძღვენი“ (დაისელი, 2019:

76).

ლექსში „ელვირა“ (დაწ. 1924 წ. დეკემბერი) პოეტი წერს:

„...“

ვერცხლის მდინარე სტიროდა გაღმა

და ცრემლებს ღვრიდა ნაზი იები.

ყველაზე მეტად მე დავიღალე...“ (გვ. 74“).

„თოვს და დღე კვდება გულის ძგერაში,

ამდენმა განცდამ გული მოღალა...“ („თოვლი და

თბილისი“) (დაისელი, 2019: 37).

დადლილი გული ტკივილებით არის აღსავსე და ამ ტკივილებს პოეტი ასე გადმოსცემს:

„შუა ღამეა, გულში ვგრძნობ ეკალს,

ტყდება ფიქრები საბედისწეროდ“ („ნერვიული ღამე“, დაწ. 1927 წ. დეკემბერი) (დაისელი, 2019: 78), გარდატეხილ ფიქრებში კი ავტორის აფორიაქებული სული იკითხება (ილანდება), ტკივილით სავსე, ფიქრიც კი რომ არ არის თავისუფალი და ბედისწერასაა დაქვემდებარებული. და, სხვათა შორის, დასახელებული ლექსის ტკივილი მარტო ამ სტრიქონებით არ ამოიწურება... ნერვიული, დაფიქრებული, რაღაც გაურკვეველის მოლოდინით, შესაძლებელია, მძიმე ხვედრის მაუწყებლად, პოეტის მძიმე სულიერი მდგომარეობა და საბედისწერო მომავალი გასდევდეს ამ ლექსს )და არა მარტო მასში):

„სარკმელში მთვარე ტყდება ბროლივით,

რალლი! შორეულ ღამით დავსველდი.

მოგაქვს პროფილი ჩამოგლოვილი  
და მეუფლები უფრო სავსებით.  
აწვიმს სინანულს ლურჯი ბროლივით  
სულში დაფრქვეულ სევდის ყვავილებს...  
მიყურებს ზეცა და კეთროვანი  
სთვლემს სასაფლაო თეთრი ალების,  
სულში გრიგალი სწვიმს ცეცხლოვანი  
წითლად დატეხილ ინტერვალებით“ (ლექსი  
„ნერვიული ღამე“) (დაისელი, 2019: 78).

დამოწმებულ სტრიქონებში გარდასულ დროებაში, შორეულ ღამეში საკუთარი პროფილის ხედვაა, მოაზრებაა, სადაც ერთ სივრცეში განთავსებულია სევდა, გლოვა, – წუხილი არსებობისა, სინანული, იდუმალი სამყარო, ლურჯი ფერით უსაზღვროდ, მარადიულად გარდაქმნილი, და სასაფლაო, სამყარო – ხიდი წუთისოფლის რეალობასა და ირეალურ სამყაროს შორის... პოეტი სიცოცხლეშივე გლოვად გაიაზრებს ადამიანის მძიმე ხვედრს, რომელსაც პოეტი თავისი სიმბოლური გააზრებით, მსხვერპლშეწირვასთან აიგივებს. ლექსში „მე, ხეთების სისხლი“ პოეტი აღნიშნავს:

„მე, ხეთების სისხლი, მზის სიმწვავე შეუპოვარი,  
დროებმა მზარდეს“ (დაისელი, 2019: 59).

ეს შეხედულებანი ავტორს ეპოქის მძიმე ცხოვრების მოთხოვნებმა უკარნახეს. ლექსში „დიალოგები ირონია მთვარიან ღამეში“ (კონსტანტინე კაპანელს) (დაწ. 1926 წ. თებერვალი) წუთისოფლის დრო უფერო, ამაო, ბალაგანი, ცირკი და თეატრია... მერანი, რომელიც ბედს გადააღახვინეს, უკვე სიბერეს მიუახლოვდა და დარჩა მარტო ეკლიანი ბილიკების კვალდაკვალ... ცხოვრება მიილია:

„\_ რაღლი! მძაფრად ვგრძნობ ამაოებას,  
რაღლი! ცხოვრება ბალაგანია“ (გვ. 69).

იმავე ლექსის მიხედვით:

„\_ დაილ! არ ვიცით, თვითონ რა გვინდა,

ცხოვრების ჰიმნი თუ ირონია...“ ( გვ. 70).

\_რალლი! ოჰ მიწამ რად გაგვაჩინა,

თუ ბედი გვქონდა ასე უფერო?...

... ცხოვრება ცირკი და თეატრია.

\_რალლი! ბერდება ჩემი მერანი.

რალლი! ეკლებში როგორ ვიარო?

ვერ შეგვაჩერებს, დაილ, ვერავინ,

დნება სიცოცხლე სამგლოვიარო.

\_დაილ!...ბინდია ეს გზა სავალი

გამოუცნობი სიმბოლოებით,

\_რალლი! ვიღლები, სიტყვაც არ მინდა,

გულში დუმილის ღვინო ჩამესხა“ („დიალოგები ირონია მთვარიან ღამეში“) (დაისელი, 2019: 69-73).

აგრეთვე ლექსში „ნერვიული ღამე“, პოეტი აღნიშნავს:

„თოვს. აგონიის რკალში თავდება

ჩემი ოცნება, რომ გავდა ვულკანს...“ (დაისელი, 2019: 74).

როგორც ლალი ავალიანის მიერ წინასიტყვაობაში არის აღნიშნული, „ვანლერ დაისელის გზააბურდული... „სომნამბულური“ ყოფა, შეუპოვარი ბრძოლა რუსულ ანექსიასთან, ნაყოფიერი, თავდაუზოგავი ჭიდილი ქართულ სიტყვასთან...“ (დაისელი, 2019: 3).

მის სულში გლოვად ცხადდება სამშობლოს სიყვარულიც:

„სულო! რა რიგად სადარდელია

პოეტის ცრემლით მიწა ქართული.

გიჟი ღმერთები სადღაც მღერიან...

აღბათ ეს გლოვაც სიამაყეა...“ („გულის მწვერვალი ცას მივაბჯინე“, დაწ. 1926 წ. მაისი) (დაისელი, 2019: 77).

ჩვენთვის დღემდე უცნობი პოეტის ნაზრევში არეკლილია სულით მოუსვენარი, დაუდგრომელი, შეუპოვარი შემოქმედი ადამიანის სულიერი სამყაროს ნამსხვრევები ყველგან, ყოველ ლექსში რომ გაფანტულა და გვამცნობენ

დროის ამაოებასთან ერთად ადამიანი \_ შემოქმედის ცხოვრების სწრაფდინებას, მიდრეკას მარადისობისაკენ, რადგან წუთისოფელში მისი არსებობა გაურკვეველი და დაღლილია. იგი საკუთარ თავს მიმართავს:

„... შენ გაწვალე ბენ მისტიური საღამოები  
და ხვერდებზე აზიდული ლანდი ბოდლერის,  
გინდა დალიო მსოფლიო და ამაოება“ (ლექსი  
„მღელვარების პორტრეტები“, დაწ. 1926, იანვარი) (დაისელი,  
2019: 76).

„საუკუნეებს ჭამენ ლანდები“, \_ აცხადებს პოეტი ლექსში  
„სულის მწვერვალი ცას მივაბჯინე“, დაწ. 1926 წ.) (დაისელი,  
2019: 77).

კიდევ:

„ვანლერ! სპლინებით ნახაზია ეს ასპარეზი,  
სპილენძის შუბლით გაარღვიე ქვის ეპოქები“  
(„მღელვარების პორტრეტები“) (დაისელი, 2019: 76).

როგორც ვხედავთ, პოეტი წუთისოფელს ამაოებად, უმოქმედოდ, არარაობად, უტყვ დროებად მიიჩნევს, მხოლოდ ცარიელ ნახაზად, რომელზეც ვერაფერს ამოიკითხავ, სიცოცხლეს ვერ შეიგრძნობ, ამიტომ ზეცას მიაპყრობს საკუთარი სულის მზერას საიმედოდ, მაგრამ ისიც ნაკლებად ცვლის უტყვ საუკუნეებს \_ არსებულ რეალობას... მაგრამ მაინც, ცა პოეტისთვის მიზნების განხორციელების საყრდენია, წყვდიადიდან თავდაღწევის საუფლოა. ლექსში „8000“ (დაწ. 1928 წ.) ვკითხულობთ:

„ცა ტამარია, მზე მნათესავით,

სადაც მიზნები ხშირად მივიდა.

ვგრძნობ, ყველა ნივთთა ვართ ნათესავი,

აჭრელებული ჟირაფივითა.

...

მზის დროშებივით სული გაშალეთ,

ახალ სიცოცხლეს ჰიმნი ვუმღეროთ“ (დაისელი, 2019: 65).

ახალი სიცოცხლის დასაწყისის განცდა მისთვის განუშორებელი სურვილია, ამ ქვეყანას დაშორებული მისი ფიქრები შორეულ სივრცეში ინაცვლებს, ღვთაებისკენ მიჰყვრებილი, მაგრამ ეს დროებითი განცდა, სიცარიელით სავსე, ვერ იტყვირთება იმ შინაარსით, რასაც პოეტი ითხოვს და წარმოსახვით განცდილი ახალი სიცოცხლე ხორცშესხმას ვერ ეუფლება... რადგან ხელისშემშლელი სიბოროტით, სისხლით, უსამართლობით გაჟღენთილი წუთისოფელია – შავი ქაოსი, როგორც პოეტი უწოდებს, ერთადერთ გამოსავალს ახალი სიცოცხლის დასაწყისისას ისევ უფრო სასაფლაოს არსებობაში მოიაზრებს:

„მე ღამის ბინდში გადამასახლებს

ყრუ ამოკვნესა სასაფლაოსი

სად სიბოროტით ხელს აღარ მახლებს

სისხლით დამთვრალი შავი ქაოსი...

სიზმარში ვნახე კვლავ მირაჟებით

დაისრულ სულის ატორტმანება...“ (ლექსი „თეთრი ზმანება“) (დაისელი, 2019: 58).

წუთისოფლის რელობისაგან სვეგამწარებული ახალგაზრდა პოეტი სამყაროზე გულაცრუებულია, რეალურად არსებული ქრონოტოპული განზომილება მისთვის მტანჯველია, სიცოცხლის დანაკლისის შეგრძნებას რომ უღვივებს და უჩენს:

„მთელი სამყარო გაიშალოს თუგინდ ვარდებად.

და მე რაც მინდა, ვერასოდეს ვერ მოვესწრები.

მექნება მუდამ ნაზი გლოვა და თეთრი დარდი.

მაინც სამყაროს: ჩემ სახეებს ვეაღერებ.

ვამბობ: ცხოვრება სავსეა და მაინც უმიზნო.

სომნამბულიზმი ჭეშმარიტი და უწმინდესი.

...



ჩემი ცხოვრება გასრესილი ნაზი ნარცისი...

მე ვარ პოეტი მასპინძელი ამ წვეულების.

სჭამეთ სიცოცხლე და იყავით ყველა მთვრალე,  
ყოველნაირო სულდგმულებო! დედამიწისა.

...

მე წავიკითხე მთელი სიბრძნე ყოფნა არყოფნის,

კრავის თვალეზში დაღეჭილი უბიწოებად...“ (ლექსი „მე,  
ხეთების სისხლი“, დაწ. 1926 წ. 26 მაისი) (დაისელი, 2019: 60).

საკნის ცივ, უსიცოცხლო, არაფრისმთქმელ გარემოში  
თვითონ ცდილობს ამეტყველებას და „გატყიურებული“,  
გაველურებული სიტყვის დამორჩილებით განსაცდელის  
დაძლევას:

„არის სიჩუმე და განცდა მწველი,

მოგონებები გამიტყიურდა.

სულო, მოგელის კვლავ განსაცდელი,

საკანში მოდის ისევ იუდა“ (უსათაურო „არის სიჩუმე და  
განცდა მწველი“, დაწ. ტფილისი, 1925 წ.) (დაისელი, 2019: 55).

ციხის რეალობის შეგრძნება ძლიერდება, სიცოცხლე  
უფერულდება, იწურება, სევდა მატულობს, რაც მარტოობის  
განცდას ბადებს და სიცივე, უსიცოცხლო გარემო ისადგურებს,  
ძაბით მოსილი; ლექსში „ღამე“ (ეპიგრაფად წამმღვარებული  
აქვს: „გულს ღამეები ეხეთქებიან, / ვით ღამპის შუშას ღამის  
პეპლები“, გვ.48) , პოეტის სიტყვით გაცხადებულია:

„ციხეზე მძაფრად ქარმა იწივლა,

სდგას სინამდვილე შავი ძონძებით.

და თითქოს, დედა! ყინვის ბომბებით

ციხის სიმძიმე გულზე მაწვება,

ჯვარზე გაკრული და მიმოზებით

მიცქერის ღანდი ფერმკრთალ ღაწვება.

სურვილით გული გამიფართოვდა,

ირგვლივ საგანთა შავი ყუთია,

ვუმზერ სიკვდილის ყვავის ხუთიანს;

ეხლაც მარტო ვარ!...

ამ ფიქრში, დედა, დავიხუთები...

ან გული სევდით გამისივდება..." (1926 წ.) (დაისელი, 2019: 49).

უკვდავების, მარადისობის განცდა მატულობს, რაც მეტია სევდა, დარდი, ფიქრი ღრმა, ხელოვნება დიდი „სურვილების სივრცე“. ლექსს „შენი სანთლები“ (დაწ. 1926 წ. თებერვალი) წამძღვარებული აქვს დანტე ალიგიერის სიტყვები („ბეატრიჩე“): „ბუნება მეტ ბედნიერებას განიჭებდა უფრო გვარიანს, / ნუ თუ ხელოვნება იყო შენთვის უფრო უტკბესი, / ვიდრე ჩემი ტანი, რომელიც ეხლა მხოლოდ გვამია?“ პოეტისათვის ეს სიტყვები დიდი გრძნობის მიმნიჭებელია, მარადისობის დამამკვიდრებელი:

„ვერ გხედავ, თუმცა მიდგეხარ თვალწინ.

ცრემლმა ვარდები გადამისოვლა:

ძვირფასო! გული ლოცვებით დავწვი,

შენით მძაფრად ვგრძნობ მარადისობას“ (დაისელი, 2019: 53).

მარადისობა პოეტისათვის ყველა „დროის ტაძარია“, სულის სიმშვიდის მოსაპოვებლად, მწუხარე, დაკაწრული გულის („სწუხს ჩემი გული დაკაწრული შენი ქაცვებით...“, ლექსიდან „ეფემერული ორეულების მასკარადი“, გვ. 44), თავშესაფარი:

„ამ გაზაფხულში ჩემი გული რა მაღალია,

ვარ ყოველგვარი დროის ტაძარში,

ცვალებადი მლოცველის გრიმით“ („ეფემერული ორეულების მასკარადი“ (დაისელი, 2019: 44).

ლექსში „თოვლი და ტფილისი“ კი პოეტი განაცხადებს:

„მაგრამ პოეტი მაინც სულ სხვაა,

პოეტი ისევ გულ მაღალია,

შენ ჩემი სული მწარედ დასუსხე,

ბედის ვეფხვები თავს დამბლავიან...” (დაისელი, 2019: 36).

პოეტს მოსვენებას უკარგავს წარსულიც, რომელიც სულ რაღაცას ჩასმახის იდუმალად და მისკენ უხმოზს; ამავე ლექსში ვკითხულობთ:

„მომესმის წარსულის მავთულის წივილი  
გულზე მობმული“ .

და ამ გაურკვეველ მდგომარეობაში თავს ჯვარცმულად მიიჩნევს:

„პოეტის ლანდი სისხლიანი სდგას,  
როგორც ჯვარცმა“ (დაისელი, 2019: 45).

ამ შემთხვევაში პოეტის ლანდი არაამქვეყნიურით მოსილობაზე მეტყველებს, ლანდი წუთისოფლისა, მარადიულს რომ ითავსებს და არეკლავს მხატვრული სიტყვის, ცნობიერი ლოგოსის ქვეტექსტში... რადგან თვითონაც არ მიიჩნევს რეალურ სამყაროს რეალობად და ამ სივრცეში პოეტის რეალური ყოფნაც მივიწყებული და ლანდად ქცეულია, გარდასახვას რომ ექვემდებარება, მსხვერპლად შეწირული წუთისოფელშივე მარადისობისათვის, ახალი რეალური დროის კუთვნილება რომ გახდეს.; აქ ჩანს შემოქმედის უკმაყოფილება და დაპირისპირება წუთისოფელთან და იდეალური გარემოს სურვილის უმაღლესი გამოხატულება:

„ღამის კუბოში დამარხული მე და პოეზია...  
ჩემი კივილი საკირეთა მაღალ დუმილში,  
და თეთრი ლანდი...” (დაისელი, 2019: 45).

არსებული რეალური სამყარო, პოეტის აზრით, ღამეა, გაურკვეველობაა, კუბოა – დამარხული, დახშული, სულის შემხუთავი სივრცე, რომელსაც ცვლის მაღალი დუმილი – უსიტყვო, მაგრამ მრავლისმთქმელი ემოცია ახლის მოლოდინში...:

„მწუხარე დღეა ბაირონივით  
და სიხარული თითქოს დღეს მინდა,

თითქოს სხვა ყოფის ხილვის ლოდინით

ტფილისს დავცქერი ასი ვერსიდან...“ („თოვლი და ტფილისი“, დაწ. 1927 წ., თებერვალი) (დაისელი, 2019: 36).

იქვე:

„მე მაინც მიყვარს ჩემი რაობა“ (დაისელი, 2019: 37).

პოეტისათვის ცხოვრება სიზმარია, მხოლოდ მოჩვენებისა და უძირო ძიების სამყარო, სადაც სილურჯეში – უსაზღვროებაში დაფანტული ცრემლით ნაზავი ეკლის ბორცვებია... ლექსში „ქალწულები მწვერვალიდან“ (დაწ. 1925 წ.) პოეტი წერს:

„გაფრინდა ფიქრები ცისფერ ქარტეხილად,

გადატყდა სანთელი და დადნა ლოცვები...“ (დაისელი, 2019: 31).

სამყაროში უღმერთოება გამეფებულა, სულიერება გაორებულია, მიაჩნია, რომ სანთელიც კი აღარ შეეწევა უიმედო, ბნელ, მტანჯველი ცხოვრების გზაზე, ვეღარ იტვირთავს იმ მისიას, რასაც აფენს ცოდვითმოსილ წუთისოფელს, ლოცვებიც გამქრალა და დარჩა მარტოობაში – ღმერთის ძალას დაკლებული, მწირად, ისედაც მისთვის მწირ, მიუღებელ რეალურ სამყაროში. ეს გულისწუხილი დიდი გრძნობით, სულისშემძვრელი მარტოობის და უიმედობის განცდით გამოხატულია ლექსში „დედას“ (დაწ. 1928 წ.)

„ეს ყორანებიც თავს დამწივიან,

მე დავითოშე, ძვირფასო დედა,

ირგვლივ სევდები და სიცივეა

და იმედები მგონი მიბნელდა.

...

მწუხარებაში არ გამითენდა

და დათოშილი ავკვნესდი მისთვის.

შენ დამიტირე, ძვირფასო დედა,

პოეტი ზავში და პესიმისტი“ (დაისელი, 2019: 32).

მისი დაუდგრომელი სულისთვის წუთისოფლის სივრცეში არ არსებობს სიცოცხლის ნიშანი, ყველგან და ყოველთვის სიკვდილის მაუწყებელი შავი ყორანი არ ასვენებს, რის გამოც სევდა, სიცივე გამეფებულია მის სულიერ სამყაროში... დიდი მწუხარების დაუფლების შედეგად დღის ნათელიც აღარ ესახება, არც არსაიდან ჩანს, და ასე მწუხარებით მოცული დედისაგან მხოლოდ დატირებასღა ელოდება, რაც მაუწყებელია მარადისობის გზაზე შედგომისა, ე. ი. იმ გზის ძიებაშია, რომელიც მას შესაძლებლად და სასურველად წარმოუსახავს. ჯერ კიდევ ამ ლექსში გაცხადებულზე ცოტა ადრე 1926 წელს დაწერილ ლექსში „სურვილები მშიერ ვეფხვებივით“ პოეტი წერს:

„დედა, ძნელი არის სულის გაჭირვება,

როცა სურვილები ჭკნება ყვავილივით.

სადაც გულებია ეხლა დაჭრილები,

სადაც ღამეების მწარე ბლავილია...

მე მწამს, ეს ცხოვრება მძიმე უღელია,

მე მწამს სურვილები ქარვის ჟღაღებივით.

და ხან მწუხარება დგება ნისლებივით,

სადაც ჩემი თავი მე არ მძაგებია,

სადაც შუშებივით დღენი იმსხვრევიან,

სადაც ღამეები გარბის ზანგებივით...”

პოეტის მწუხარებას უსაზღვრო სურვილები ეუფლება, სადღაც შორს, შეუცნობელ და მიუწვდომელ სამყაროში მერანევით რომ მიექანება:

„ქარებს სურვილები გაჰყვა ქორებივით,

ეხლა ჩემი გულის ძგერა ჩემი მერანია...” (ლექსი

„სურვილები მშიერ ვეფხვებივით“, დაწ. 1926 წ. აგვისტო) (დაისელი, 2019: 28).

გულის ძგერა უკეთესის, ან უბრალოდ „სხვა“ დრო-სივრცული გარემოსაკენ სწრაფვას გამოხატავს, უკეთესის,

სასურველი ძიების გზაა, ამ სურვილების გზამ დამეები დასერა, გადალახა (?), სხვა არსებობა დასახა, მაგრამ:

„მაგრამ მიწა მაინც თითქოს უცვლელია,

სადაც გულები ძევს ეხლა ნაღმებივით,

როცა ვნებიანად ცეცხლებს უცქერიან,

როცა სურვილები ბაირაღებია...“ (დაისელი, 2019: 29).

მიწიერ გარემოში დროის დინებასთან ერთად აუცილებელი კანონზომიერი ცვლილებები მიმდინარეობს, სხვაგვარად საუკუნეებს, სხვადასხვა დროს, ვერ მივიღებთ, ცვლილებით ხდება არსებობათა განახლება, განგრძობა... მიწიერი არსებობა მუდმივ ცვალებადობას ექვემდებარება, მაგრამ, თითქოსდა ისე ჩანს, რომ წუთისოფლის ცხოვრება ერთ ადგილასაა, ერთ დრო-სივრცულ განზომილებაში, უძრავად, მნიშვნელოვანი, გარდამტეხი რამ არაფერი ხდება, მით უმეტეს, პოეტისათვის, რომლისთვისაც ყველაფერი გაყინულია, ცივი, არაფრისმოქმელი და მასაზრდოებელი, მიაჩნია, რომ ამ სამყარომ ვერ აუსრულა გულში დამეულად, უჩუმრად გაჩენილი სურვილები, ნაღმებივით რომ ამართულან სევდიან სულიერ სამყაროში... მეტიც, მიწიერება გამყოფ, დამაშორებელ სამყაროდ მიაჩნია მასსა და იმ მისწრაფებებს, სურვილებს შორის, რომლებიც აწვალებდა სიცოცხლის 29 წლის მანძილზე:

„ვდგევართ ერთ მიწაზე, თუმცა დაშორებით,

სადაც გულებისთვის ღამე ტიხარია,

სადაც სხვა მუსიკის ელვა გვაჟრჟოლებდა,

სადაც მწუხარებაც ასე გვიხარია...“ („სურვილები მშვიდ ვეფხეებივით“) (დაისელი, 2019: 27).

აღნიშნული სტრიქონები მეტყველებენ იმის შესახებ, რომ პოეტისათვის იმედგაცრუებაა მიწაზე არსებობა, ის ვერ მიიღო და შეიგრძნო, რაც უნდა მისცეს წუთისოფლის სამყოფმა, ანდა მისცა, მაგრამ ყველაფერი „ღამედ“, უნათელოდ, შეუცნობლად, გაურკვევლობად ესახება განსხვავებული მსოფლმხედველობის მატარებელ შემოქმედს, თითქოს მასსა და

მთელ მიწიერ გარემოს ერთი დიდი ტიხარი ჰყოფს, ერთმანეთს აშორებს დიდი მწუხარება, მთლიან სამყაროსთან დამაშორებელი, გრძნობს, რომ ვერ შეეთვისა, ვერ გაითავისა გარემომცველი სინამდვილე, მთელი ცხოვრება მწუხარებით გაატარა და სიახლოვის ნაცვლად დაშორდა მას.

მწუხარება, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში და სხვა ლექსებშიც, გაიგება არა მარტო პირდაპირი გაგებით, თითქოს უბრალოდ ვერ შეეგუა წუთისოფლის რეალურ არსებობას, არამედ რელიგიურ-ფილოსოფიური ხედვაც შეიძლება მოვიაზროთ, როდესაც სრულიად ახალგაზრდა მოაზროვნე ადამიანი გრძნობს განწირულებას გარემომცველი სინამდვილისგან და იმის გამოც არის დამწუხრებული, რომ რეალური სინამდვილის შეცვლა არ შეუძლია, მხოლოდ პოეზიით თუ შეიძლება „ღამის“ ნათლით შეცვლას და მხოლოდ ამითა არის გახარებული, კმაყოფილი და იმედ მოსილი;

თუმცა ავტორმა კარგად იცის, რომ ცხოვრება მთლიანი რკალია, მუდამ გაუმართავი, მოღუნული, მუხლჩაუხრელი, წელში გადამტყდარი, უსიცოცხლო, სიცოცხლემინელებული, შეწყვეტილი სიცოცხლეა... როგორც რეალურ სამყაროში, პოეტის მსოფლმხედველობაშიც, არსებობა ერთდროულად არის ლანდებიც, სიზმრებით სავსე, გლოვაც, ღამეც, ყვითელი – გახუნებული სიცოცხლაც, ასევე ქარში მიმოზნეული სიცოცხლის განახლების შესაძლებლობა, მასთან ნაზიარებია სასაფლაოს არსებობასთან, იესო ქრისტეს ჯვარცმამ რომ დაუდო სათავე; ლოცვის სათნოებით გაჯერებული მყოფობის შესაძლებლობა იკითხება, მაგრამ მაინც არის „გადამტყდარი რკალი“, როგორც ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსის სათაური „გადამტყდარი რკალი“ მეტყველებს, რომლის არსი, მთავარი სათქმელი, ჩემი აზრით, კრავს ამ პატარა კრებულში ასახულ ლექსთა სტრიქონებში გაბნეულ აზრს,... მის მსოფლმხედველობას და გვაჩვენებს პოეტის მძიმე სულის ტკივილებს, გარდატეხილს, გარემომცველ სინამდვილეს რომ

გაურბის, რადგან აქ „ღამე“ და სიზმარია მხოლოდ, მაგრამ მარადისობის მოპოვებაც კი თებერვალის სუსხიანია და გაურკვეველი გარდამავალი საფეხური.

„გადამტყდარი რკალი“ აჩვენებს პოეტის მსოფლმხედველობრივ აზროვნებაში იმ ცვლილებებს, რომელიც არსებულმა ვითარებამ წარმოშვა და მანვე მისცა საზრდო მის მხატვრულ აზროვნებას, რომელიც არეკლილია ვანლერ დაისელის 29 ლექსში და თავმოყრილია ლექსში „გადამტყდარი რკალი“, სადაც სასაფლაოს ხილვა და განცდა გადამტყდარი სიცოცხლის გამამთელებლად და სრულყოფილების მისანიჭებელ გარემოდ ქცეულა:

„როცა მე მსურდა, ეს იყო მაშინ,

ლანდების რხევა სიზმრით ამეკლო.

მწვანე ფოთლები სცვიოდა ქარში

და ტრაურს ღვრიდა რუხი სამრეკლო.

ღამე. სიჩუმე და ავგაროზი

მიჰქონდა სიზმრებს ყვითელ მინდორში.

ჩვენ ვკვითინებდით სასაფლაოზე

და მეხვეოდი ქალწული ნორჩი.

გვიცავდა ფიცი უსათნოესი

და სიბრალულის ალერსით ხედდა.

ჯვარზე გაკრული სწუხდა იესო

და კვიპაროსებს ქარი არხევდა.

მაგრამ დაიწვა ის ლოცვა ნაზი,

ლურჯი სიზმრების თეთრი თვალები.

ეხლა ქარია სასაფლაოზე

და ჩემს სულში კი... თებერვალები“ (ლექსი

„გადამტყდარი რკალი“, დაწ.1924 წ.) (დაისელი, 2019: 30).

დამოწმებული ლექსის სტრიქონებში სრულად არის წარმოჩენილი პოეტის მთელი შინაგანი სულიერი სამყარო, მასთან გადაჯაჭვული რეალური ცხოვრების, წუთისოფლის თანამდევი ტკივილები, აუხდენელი ოცნებები, ლანდებად,



სიზმრებად ქცეული მწვანით, კვლავ განახლებული სიცოცხლის სურვილით მოსილი გახუნებული სიცოცხლე-არსებობა სასაფლაოში, გზაგასაყარზე მყოფში, მარადისობაში გადაზრდილი, იესო ქრისტეს ჯვარცმით ნათელმოსილი და კვლავ სიცოცხლე მინიჭებული, სიცოცხლის გაგრძელების, განახლების იმედს რომ უნერგავს ადამიანს, იესოს წუხილი ადამიანის სიცოცხლისათვის, მისი მარად არსებობისათვის ზრუნვის გამოხატულებაა, რაც მოკვდავს მხოლოდ სილურჯეში, უსაზღვრო, მარადიულ, დაუსაბამო, შეუცნობელ სამყაროში შეუძლია იხილოს და გააცნობიეროს, რასაც ამყარებს სასაფლაოს განცდა, „იმ“ სამყოფის ირგვლივ ქარის მიმოქცევა, რომელიც მოსალოდნელი ცვლილების, მაგრამ კვლავ არსებობის მაუწყებელია, პოეტის სულში თებერვალად – ქარტეხილად განცდილს, რომელიც გადამტყდარი, გარდამავალი დრო-სივრცული საფეხურია სიცივიდან, უიმედობიდან, გაურკვევლობიდან სასურველ არსებობაში გადამყვანი:

„თვალები გლოვით დღეებს მარხავენ.

და დნება ზრუნვა სადღეხვალიო“ („წუთი ქალაქზე თვალის გადავლებით“, დაწ. ივნისი, 1926 წ.) (დაისელი, 2019: 38).

და, სწორედ, ეს განცდა („ჩვენი განცდები ხომ სხვაგვარი მოვლენებია“, გვ. 40), სასურველის აღსრულების რწმენა, ამონაკვნესი, წუხილი გასდევს ვანლერ დაისელის პოეზიას, ასე ძლიერ რომ კვებავდა და ასაზრდოებდა მის მშფოთვარე, გარემომცველი სამყაროთი უკმაყოფილო დაუდგრომელ სულიერ სამყაროს და აჩვენა მარადმებრძოლი, შეურიგებელი, უკეთესის მოპოვებისათვის მოაზროვნე ადამიანის მხატვრული სახე, გადმოსცა მხატვრულად გადააზრებული ადამიანის არსებობის სევდიანი, ტკივილით სავსე ისტორია. თქმულს მისი არაერთი სტრიქონი ადასტურებს:

„თითქოს სხვა ყოფის ხილვის ლოდინით“ („თოვლი და ტფილისი“) (დაისელი, 2019: 36).

„დღეები დარბის აქ შემლილივით,

ღამეს სანთლები ასახიჩრებენ.

მინდა მუხების წყნარი შრიალი

და სასაფლაო ძველი ხის ჯვრებით,

სოფელო! შენზე დარდით ვიჭრები...“ („წუთი ქალაქზე თვალის გადავლებით“) (დაისელი, 2019: 38).

**დასკვნები:** ასე დარდით მოსილი ახალგაზრდა პოეტი, ვანლერ დაისელი ბევრი ფიქრით და ტკივილით სავსე, უდროოდ შორდება წუთისოფელს, მაგრამ მისი ნააზრევით მუდამ უკვდავყოფილი იქნება 29 ლექსის სამომავლო იმედით სავსე სტრიქონები. ვანლერ დაისელის (ივანე ბაბუაძე) შემოქმედება ნათლად წარმოაჩენს პოეტის დაუდგრომელ, რეალობასთან შეურიგებელ, დრამატული ელფერით სავსე არსებობას, ეპოქამ რომ წარმოშვა და უკარნახა. მის ნააზრევში არეკლილია წუთისოფლით დაღლილი ადამიანის შეუპოვარი სულისკვეთება, სულიერი სამყაროს სიძლიერე და სიმტკიცე, გაუტეხელი ნებისყოფა, რომელიც არის წარმავალ სიცოცხლესთან დაკავშირებული გლოვის დამძლველი და უკვდავების მიმნიჭებელი.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

დაისელი, 2019 – ვანლერ დაისელი (ივანე ბაბუაძე), „გადამტყდარი რკალი“, შემდგენელ-რედაქტორი ლევან ჟვანია, კონსულტანტი ფილოლოგიის დოქტორი, თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ადა ნემსაძე. თბ., 2019.

*ღალღი ბერიძე  
ასოცირებული პროფესორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე,*

## **უსამშობლოსა და ენისა და იდენტობის მიმართებისათვის ემიგრანტი პოეტების შემოქმედებაში მამა კალეკოს ლირიკის მიხედვით**

### **მოკლე შინაარსი**

სტატია ეხება ავსტრიული ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, მამა კალეკოს ლირიკაში ენისა და სამშობლოს საკითხს. მასში მოკლედ ვეხებით ემიგრაციის, ემიგრანტი ლიტერატორი ქალების თემას და მამა კალეკოს ცხოვრებას და მოღვაწეობას.

კონკრეტულად მამა კალეკოს შემოქმედებაში ენის, როგორც სამშობლოსა და იდენტურობის საფუძველის შესახებ არც ისე ბევრი კვლევა არსებობს, მაგრამ ზოგადად საკითხი აქტუალურია და მკვლევარების აზრით, ემიგრანტული ლიტერატურის ქალი წარმომადგენლებისათვის სამშობლოსა და ენისადმი დამოკიდებულება თითქმის ტიპიურია და იმ დიდი ნაღველისა და ცხოვრებისეული ტრავმის ამსახველია, რომელიც მათ ემიგრაციაში ერგოთ. მშობლიური ენა მათთვის რჩება იდენტობის განმსაზღვრელად, მაშინაც კი, როცა ადამიანი რამდენიმე ენაზე სრულყოფილად საუბრობს. თვით მამა - პაპათა სამკვიდრო ადგილზე ცხოვრებისასაც შეიძლება უსამშობლოდ იგრძნოს ადამიანმა თავი, რადგან მშობლიურად აღქმული ენა ისეთ კოდს დებს ადამიანში, რომ ის მუდმივად მისკენ ისწრაფვის. ასე იყო კალეკოს შემთხვევაშიც. ის წარმოშობით ებრაელი, მაგრამ გერმანულენოვანი მწერალი, სამშობლოს ძიებაშია მუდამ, სამშობლოც, რომელიც ენატრება გერმანულ ენაში განხორციელებული ხატია, მთელი ცხოვრების ემიგრანტული გზის მიუხედავად, მისთვის მხოლოდ გერმანულია მშობლიური ენა.

მისი ლირიკის პრობლემატიკის განხილვისას ნათლად იკვეთება, რომ ავტორის შემოქმედებაში ენა ლირიულ გმირად გვევლინება ისე, როგორც წარმოსახვითი სამშობლო. მიუხედავად მრავალენოვნობისა, ავტორის მიერ მშობლიური ენის როლის აღმატებულად შეფასება ენის და იდენტობის ერთობლიობის შესახებ რეალობაში დამკვიდრებულ მოსაზრებას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

სტატიის თემა აქტუალურია თანამედროვე საზოგადოებისთვისაც, რაც მაშა კალეკოს, როგორც სამშობლოდან გაძევებულ, დავიწყებულ და მაინც ხელახლა აღმოჩენილ ავტორს განსაკუთრებულ ადგილს უმკვიდრებს ავსტრიულ ლიტერატურაში. სტატიისათვის საკითხზე არსებული კვლევების მოძიებისა და გაცნობის გარდა ავტორის ლირიკის ანალიზისთვის მაშა კალეკოს ლირიკის საკუთარი თარგმანები გამოვიყენეთ.

**საკვანძო სიტყვები:** ემიგრანტული ლიტერატურა, ენა, სამშობლო, იდენტობა

**მეთოდი:** სისტემური, ანალიზის მეთოდი.

***Lali Beridze***

*Associate professor,  
Samtskhe-Javakheti State University,  
Georgia, Akhaltsikhe,*

## **FOR THE RELATIONSHIP BETWEEN MOTHERLESSNESS AND LANGUAGE AND IDENTITY IN THE WORK OF IMMIGRANT POETS BASED ON THE LYRICS OF MASHA KALEKO**

### ***Abstract***

The article deals with the issue of language and homeland in the lyrics of Masha Kalekko, an important representative of Austrian literature. In it,

we briefly touch on the theme of emigration, immigrant literary women, and the life and work of Masha Kaleko.

Specifically, there are not many studies about language as the basis of homeland and identity in Masha Kaleko's work, but in general the issue is relevant and according to researchers, the attitude towards homeland and language is almost typical for female representatives of emigrant literature and reflects the great bitterness and life trauma that happened to them in emigration. For them, the mother tongue remains a defining feature of their identity, even when a person speaks several languages fluently. Even when living in the ancestral land, a person can feel homeless, because the language perceived as native places such a code in a person that he constantly strives for it. This was also the case with Kaleko. He is of Jewish origin, but a German-speaking writer, always in search of his homeland, the homeland that he misses is an icon realized in the German language, despite the immigrant path of his whole life, only German is his native language.

When discussing the problematic of his lyrics, it is clear that in the author's work, the language appears as a lyrical hero as well as an imaginary homeland. Despite the multilingualism, the author's high assessment of the role of the native language once again emphasizes the opinion established in reality about the combination of language and identity.

The topic of the article is also relevant for modern society, which gives Masha Kaleko a special place in Austrian literature as an author who was expelled from her homeland, forgotten and yet rediscovered. For the article, in addition to finding and familiarizing with existing studies on the subject, we used our own translations of Masha Kaleko's lyrics for the analysis of the author's lyrics.

**Key words:** immigrant literature, language, homeland, identity

**Method:** systematic, analytical method.

**შესავალი:** ენის, სამშობლოსა და იდენტობის მცნებების ურთიერთკვეთა არაა ახალი თემა და არც ეს ცნებები საჭიროებენ ცალკე განმარტებას. სამშობლოს თემა მტკივნეული და ახლობელია ყველა ადამიანისათვის და ის განსხვავებულად გამოიხატება. ზოგისთვის ის ახლობლები და მშობლების საყუდარია, მისი გარემო, სუნი, ტრადიციები, წინაპრების მიწა, მუსიკა. სამშობლოს სიყვარული განსაკუთრებით მაშინ ძლიერდება, როცა ადამიანს მისგან იძულებით ან ნებით

განშორება უწევს. სწორედ ამ დროს ყველაფერი და ყველა რომ შორსაა, ენა რჩება ადამიანთა ერთგვარ ნავსაყუდლად, ის იქცევა მის სამშობლოდ და ერთადერთ იმედად, იმისათვის, რომ არ აითქვიფოს იმ უცხო ქვეყნის უცხო პიროვნებებში, რომლებიც მას უცხოდ თვლიან და თავადაც არ ეშინაურება ისინი ნამეტნავად. იდენტობა- ვინ ვარ? დგება საკითხად და ეს უშუალოდ ენასთანაა დაკავშირებული.

ეს საკითხი გადამწყვეტია ემიგრანტი პოეტების შემოქმედებაში.

**შინაარსი: მოკლედ ემიგრაციის მიზეზებზე:** გერმანულენოვანი ემიგრანტული ლიტერატურის ლიტერატურული ეპოქა მოიცავს 1933-1945 წლებს.

ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგია, სხვა საკითხებთან ერთად, ეფუძნებოდა სოციალურ დარვინიზმს, რომელიც ითვალისწინებდა ადამიანთა გარკვეული ჯგუფების არასრულფასოვნებას. კერძოდ, ანტისემიტიზმს, მტრობას ებრაული წარმოშობის ადამიანების მიმართ. 1933 წლის მარტში ნაციონალ-სოციალისტურმა მთავრობამ გამოაქვეყნა აკრძალული ნაწარმოებების, ეგრეთ წოდებული, „შავი სიები“. სიებში არსებული ნამუშევრები 1933 წლიდან ამოღებულია და ჩამორთმეულია ბიბლიოთეკებიდან, გამომცემლობებიდან და წიგნის მაღაზიებიდან.

1933 წლის 10 მაისიდან 21 ივნისამდე პერიოდში საჯაროდ დაწვეს 250-ზე მეტი ავტორის აკრძალული ნამუშევარი. წიგნის დაწვა გერმანიის მრავალ ქალაქში მოხდა ეგიდით - "მოქმედება არაგერმანული სულისკვეთების წინააღმდეგ". განსაკუთრებით ებრაელი ავტორების ნაწარმოებები გამოცხადდა "არაგერმანულად". მაგრამ ასევე დაიწვა დემოკრატიული და კომუნისტური ნაწარმოებებიც.

წიგნების დაწვამ გამოიწვია პირველი ავტორების გაძევება გერმანიიდან. საუბარია ემიგრაციის პირველ ტალღაზე. გარდა ავტორებისა, მათ შორის მრავალი ებრაელი ავტორისა, ქვეყანა სხვა

(ებრაელმა) მოქალაქეებმა, მეცნიერებმა და ხელოვანებმაც დატოვეს.

აკრძალული ნაწარმოებების კიდეც ერთი სია იყო ეგრეთ წოდებული „მავენე და არასასურველი ლიტერატურის სია“, რომელიც 1935 წლიდან რეგულარულად ქვეყნდებოდა და ახლდებოდა. სია აერთიანებდა ებრაული წარმოშობის ავტორების სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებს, აგრეთვე ნაწარმოებებს, რომლებიც გამოხატავდნენ ნაციონალ-სოციალისტური მმართველობისა და ომის კრიტიკას. სიაში, სხვა საკითხებთან ერთად, შედიოდა ნამუშევრები, რომლებიც შეიცავდა პაციფისტურ გზავნილებს, ნაწერები, რომლებიც ავრცელებენ დემოკრატიულ ან კომუნისტურ შეხედულებებს.

პოეტი ქალები ნაციონალ-სოციალისტების მსოფლმხედველობის მიხედვით საერთოდ არ განიხილებოდა, როგორც შესამჩნევი ავტორები. მათი მნიშვნელობა შემოიფარგლებოდა ქალის კლასიკური როლით - ქალი მათთვის განიხილებოდა, როგორც დიასახლისი, გამრავლების (დაბადების) ფუნქციის მქონე არსება და დედა. ამიტომ მათი წიგნები ცნობილი „წიგნების დაწვის“ სიებში არც დასახელებულა და სავარაუდოდ, არც დაუწვავთ.

ემიგრანტული ლირიკის გერმანულენოვანი ავტორი ქალები: როზე აუსლენდერი, ჰილდე დომინი, მაშა კალეკო, ელზე ლასკერ შულერი, რუთ როზენფელდი სხვადასხვა ლიტერატურული სტილის მქონე პოეტი ქალების ერთი გუნდია, რომელთაც აერთიანებთ ახლობლებისგან, სამშობლოსგან დაშორებისა და გადაკარგვის ტკივილი, თავის გადარჩენის ძლიერი სურვილი. მათ ლექსებში თითქმის ერთნაირად ჩანს არდანებებისა და უცხო გარემოში დამკვიდრების მცდელობების აღწერა და მიუხედავად ტკივილისა და განცდების წარმოჩენისა, სტრიქონებში იგრძნობა შეფარული იმედისა და სიმხნევის ნიუანსები, მკითხველს რომ უნერგავენ თავისი პოეზიით.

„ჩვენი იდენტობა მჭიდროდაა ენასთან დაკავშირებული. ჩვენ დედანაზე ვამბობთ პირველად“მეს“ და გვიყალიბდება საკუთარ თავზე წარმოდგენა. და არა მარტო ჩვენი პირადი, არამედ ჩვენი სოციალური იდენტობაც უპირველესად ენის მეშვეობით ხდება. ჩვენ მშობლიურ ენაზე ვაცნობიერებთ ცნებას-„ჩვენ“ და ეს ნიშნავს ოჯახს, მეგობრებს და სამშობლოს და ეს კი გვიყალიბებს ერთიანობის, ურთიერთკავშირის გრძნობას “ წერს მამა კალეკო,[1] **ნამდვილი სახელით გოლდა მალკა აუფენი**, გერმანულენოვანი პოეტი, ცნობილი თავისი მგრძნობიარე და როგორც მას უწოდებენ ხოლმე- „ყოველდღიური, ან გამოყენებითი“ ლექსებით.

იგი დაიბადა 1907 წლის 7 ივნისს შიდლოუში, პატარა ქალაქში დასავლეთ გალიციაში (ახლანდელი უკრაინა, ყოფილი ჰაბსბურგერთა სამეფო) და გარდაიცვალა 1975 წლის 21 იანვარს ციურიხში, შვეიცარია.

მამა, ებრაელი ვაჭარი, გვარად - ენგელი - რუსეთის მოქალაქე, დედა კი ავსტრიელი ებრაელი იყო. პირველი რადიკალური გარდამტეხი მომენტი მის ცხოვრებაში 7 წლის ასაკში მოხდა საშინელი „პოგრომების“ შედეგად, როცა დედა და მისი ორი ქალიშვილი გადაასახლეს მარბურგში 1914 წელს. რუსი მამა მტრად მიიჩნიეს და ინტერნირებულ იქნა. 1918 წელს, პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ოჯახი მარბურგიდან ბერლინში გადავიდა საცხოვრებლად, აღმოსავლეთ იუდეველთა დასახლებაში(Ostjuden), რაიონში, სადაც ცხოვრობდნენ აღმოსავლეთიდან გაძევებული ებრაული ოჯახები. მისი მშობლები იქ ქორწინდებიან და ახლა მას მამა ენგელი ჰქვია. მამა გაიზარდა ბერლინში და ბავშვობიდანვე დაიწყო ლექსების წერა. მისი ნაწარმოებები ხასიათდება მკაფიო, მარტივი ენით, რომელიც მკითხველს საშუალებას აძლევს ადვილად გააცნობიეროს მისი ლექსების ემოციური ნიუანსები და იდეები. მამა კალეკოს შემოქმედებას აფასებენ, როგორც „ახალ ობიექტურობას“. სწორედ ასე უწოდეს ხელოვანთა მოძრაობას,



რომელიც დაიწყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ (ვაიმარის რესპუბლიკაში, 1918 - 1933). ამ მოძრაობის მიმდევარნი ეხებიან სოციალურად კრიტიკულ თემებს, ცდილობენ ფხიზელი თვალით შეხედონ აწმყოს (მთელი პრობლემებით). ფერწერაში ამ მოძრაობის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები იყვნენ ჯორჯ გროსი და ოტო დიქსი. ლიტერატურაში კი ვარსკვლავები არიან ერის კესტნერი ("ფაბიანი"), ბერთოლდ ბრეხტი ("სამგროშიანი ოპერა") და კურტ ტუხოლსკი ("თანამშრომლები"). სწორედ მათ ადარებენ კრიტიკოსები მაშა კალეკოს და მიიჩნევენ ამ პოეტების გზის გამგრძელებლად. მას უბრალოდ მოიხსენიებდნენ, როგორც "ქალი რიმგელნაცი (Joachim Ringelnatz 1883- 1934)" ან "ქალი კესტნერი". კალეკო არასოდეს ყოფილა დავიწყებული, მაგრამ ის არასოდეს ყოფილა ისეთი ცნობილი, როგორც ეს ავტორები. ძალიან დიდი დრო დასჭირდა ემიგრანტი პოეტების და მათ შორის, მაშა კალეკოს ლექსების კვლავ დაბრუნებას.

დღეს ვისაუბრებ მაშა კალეკოს პოეზიაში ლირიკული „მე“ს შესახებ, რომელიც მისი ბიოგრაფიის კვალდაკვალ ვითარდება და გადმოსცემს ავტორის ტკივილიანი და განცდებიანი ცხოვრების სვლას. მოკლედ შევეხები ტერმინს - „უსახლკარობის სტიგმა“, რომელიც ებრაელ ერს რაღაც აჩრდილივით სდევს დასაბამიდან. ისტორიულად იძულებით უწევდათ გადაადგილება, ლტოლვილობა და თითქოს მოულოდნელი არც უნდა ყოფილიყო მათთვის ახალი შემოტევა, ახალი ემიგრაციის ტალღა, რომელსაც მკვლევრების აზრით, ქალები უფრო ადრეულად შეუერთდნენ. ისინი უფრო ალღოიანი აღმოჩნდნენო, წერენ ისინი და დროულად შეატყვეს ჰიტლერამდე პერიოდშივე რომ საჭირო იყო გასცლოდნენ გერმანიას, ავსტრიას. ვინც ვერ გაასწრო, მათაც არ ასცდათ გაძევება და დავიწყება. გერმანიაში მცხოვრები, ანუ ადრეული ემიგრანტები, რომლებიც თუ არ დაიბადნენ, აღიზარდნენ მაინც გერმანულენოვან სამყაროში, ისწავლეს, მიიღეს განათლება გერმანიაში, გერმანიაში ცხოვრების დროსაც გაორებული იყვნენ.

ერთი მხრივ, გერმანელმა ებრაელებმა იცოდნენ, ან ჰქონდათ ყოველ შემთხვევაში, წარმოდგენა, რომ მათ კონკრეტული იდენტობა ჰქონდათ და ის, იუდაიზმის ფესვებს უკავშირდებოდა, მეორე მხრივ კი მათზე გარემომცველი საზოგადოების ენა და კულტურა მყარად იყო ჩაბეჭდილი. სალაპარაკო, პირველი, საოჯახო, განათლების ენა მათთვის გერმანული იყო. ისინი თავს გერმანიაში მცხოვრებ ებრაელებად კი არ თვლიდნენ, არამედ რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ სახელდებისგან, გერმანელ ებრაელებად. საუბარია იმ ხალხზე, ვინც გერმანიაში 1933 წლამდე თვლიდა თავს გერმანელ ებრაელად, ვინც აღიარებდა და იცოდა თავისი ფესვების შესახებ, ყოფილი ან მამა-პაპის სამშობლოს-ისრაელის შესახებ და ამავე დროს გერმანიაში თავს სამშობლოში გრძნობდა, არ ჰქონდა ემიგრანტის შეგრძნება, მის გარშემო ხალხიც და გარემოც იყო მისი „შინ“. აქ ემიგრანტი პოეტების შემოქმედებაში ჩნდება ცნებები-Vaterland- მამული, მამა-პაპისეული სამშობლო და Mutterland-მშობლიური ქვეყანა, სადაც თუ არ დაიბადე, აღიზარდე და განათლდი მაინც და ცხოვრობ იქ. მოკლედ რომ ვთქვათ, გერმანელ ებრაელად ითვლებოდა ადამიანი, რომელიც აცნობიერებდა თავის ებრაულ წარმომავლობას, მაგრამ არა მარტო ლაპარაკობდა გერმანულად, არამედ ფიქრობდა კიდევ და საზოგადოების წინაშე წარდგომისას გარეგნობით მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა დომენი მოსახლეებისგან. ვინც მეტწილად აკმაყოფილებდა ამ პირობებს, გერმანელ ებრაელად ითვლებოდა. 1933 წლამდე მათთვის რომ გეკითხათ თავიანთი იდენტობის შესახებ, გაუჭირდებოდათ პასუხი, გაცდებოდნენ. მაშინ მათ არავითარი პრობლემა არ ჰქონდათ თვითიდენტობასთან და ისიც შესაძლებელია, რომ ეპასუხათ გერმანელად ვთვლიო თავს. ეს კია, აუცილებლად ქებით და სიამაყით მოიხსენებდნენ ებრაული წარმოშობის მოწინავე მეცნიერებს, ავტორებს, ან ხელოვნების წარმომადგენლებს.

მაგრამ გერმანიიდან ემიგრაცია მათთვის არ აღმოჩნდა ადვილი. შეერთებულ შტატებში, სადაც მაშა კალეკოს და ბევრ მის კოლეგას მოუხდა გადასახლება, გერმანელი ებრაელების დამკვიდრების პროცესი ბევრად უფრო სწრაფი და ნაკლებ პრობლემებთან იყო დაკავშირებული, ვიდრე შემდგომში პალესტინაში, მოგვიანებით კი ისრაელში ემიგრაციის დროს გამოვლინდა. გერმანული წარმოშობის ასპექტი აქ უმნიშვნელოდ ითვლებოდა, რადგან ისინი მალევე ლებულობდნენ პასპორტს და შედეგად, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის მოქალაქეებად ითვლებოდნენ და არა ემიგრანტ გერმანელებად ან ლტოლვილებად. გერმანელი ებრაელობის და გერმანიის შესახებ მოგონებები ნელ-ნელა უფერულდებოდა. და მაინც ნებისმიერ ქვეყანაში, კინოინდუსტრიასა, თუ ბევრ უნივერსიტეტში, მეცნიერების თითქმის ყველა დარგში, ემიგრირებული გერმანელი ებრაელები თავის გერმანულ-ებრაულ კულტურულ მემკვიდრეობას ტოვებდნენ.

დავუბრუნდეთ მაშა კალეკოს და მის „ყოველდღიურ ან გამოყენებად პოეზიას“. ეს სახელი უკვე ნათლად მიგვანიშნებს, რომ ავტორი აღმატებულ რანგში კი არ წერს და პოეტურ მწვერვალებს იპყრობს, არამედ წერს ისეთივე ჩვეულებრივი ხალხისთვის, როგორიც თავადაა და ან თავს გრძნობს. პირდაპირი ტონით და მარტივი ენობრივი სტილით, თავისი ერთი “წება იუმორით“, რომელიც მის ყველა ლექსში ჩანს რეალობის სირთულეების ასახვისას, მან მალე გამოიჩინა თავი და გერმანულენოვან ლიტერატურაში ერთ - ერთი გამორჩეული ადგილი დაიკავა. ემოციურად, გულით ნაწერი, რეალობის ამსახველი მაშა კალეკოს სტრიქონები ადვილად იპყრობდა მკითხველთა გულს. მისი პოეზია იყო შემდეგში ლიტერატურული წრეებისათვის გაუფასურებული ე.წ. "სასარგებლო პოეზია", ანუ პოეზია „ყოველდღიური გამოყენებისთვის,“ ყოველდღიური ცხოვრების მხარდასაჭერად. მისი შანსონის მსგავსი ლექსები

განსაკუთრებული ტონით გამოირჩევა და მათ დემოკრატიზირებულ ლიტერატურად აღიარებენ. იგი „არ წერდა დახვეწილი ლიტერატურის შერჩეული ჯგუფისთვის, იგი წერდა ე.წ. "სასარგებლო პოეზიას" - ლექსებს, რომლებიც საჭიროა სიცოცხლისთვის“[3].

იგი თავიდანვე თამამად ჩაერთო ბერლინის ლიტერატურულ ცხოვრებაში და გახდა ცნობილი ბერლინის დიალექტზე პირველად დაწერილი ლექსით. ადამიანები თავიანთ ყოველდღიურობას ნახულობენ მის ნაწერებში და სწორედ ამიტომაც მისი წიგნები იქცა გაყიდვად, სასურველად თავის თანამოქალაქეებისათვის. თემები, როგორიცაა სიყვარული, მარტოობა, ქალაქის ცხოვრება აძლევს მას ფართო ასპარეზს მკითხველთა გულებისკენ. მას „დიდი ქალაქის ბედურა“ შეარქვეს. კალეკოს ყველაზე ცნობილი ნაწარმოები - "ლირიკული სტენოგრამის რვეული", გამოიცა 1933 წელს და ავტორი ერთ დამეში ცნობილ პოეტად იქცა. ეს წიგნი შეიცავს ლექსებს, რომლებიც დაიწერა ვაიმარის რესპუბლიკის წლებში და ადრეული ნაცისტური მმართველობის დროს და რომელშიც იგი ასახავს იმდროინდელ განწყობას.

მაშა კალეკო წერს პატარა ადამიანების ცხოვრებაზე, ყოველდღიურ მწუხარებასა და სიხარულზე, გულისტკივილზე, მაგრამ ამას ისე ახერხებს, რომ მკითხველს კვნესას უმცირებს და თავისი უეცარი ირონიით კიდევ ამშვიდებს და იმედს უნერგავს. ის მშვენივრად აღწერს სიტუაციებს და წერს სოციალურ დაცემაზე, გლობალური ეკონომიკური კრიზისის ქაოსზე, რომელსაც ის ხედავს და განიცდის. მის ყველა ლექსში იგრძნობა. „უფრო ეპიგონი, ვიდრე პოეზიის თანამედროვე ტიპი“, რომელიც დგას ჰაინეს რომანტიკულ ტრადიციაში - ეს არის ჰერმან ჰესეს შეფასება მაშა კალეკოს ადრეულ ლირიკულ ნაწარმოებზე ახალ გერმანულ წიგნებში 1935-1936 წლებში [4].

„გმადლობთ [...] თქვენი გამომხატველი ლექსებისთვის, რომლებშიც ყველაზე მეტად მიყვარს გარკვეული მოწესრიგებული სევედა. რა თქმა უნდა, აქა თასობით ადამიანის სულს უმღერი, მაგრამ ვისურვებდი, რომ შენი სასიამოვნო, იუმორით აღსავსე ხმა კვლავ გამეგონა გერმანიაში.“-წერს **თომას მანი** წერილში მამა კალეკოსადმი, შობა 1945 [5]

კალეკო ბერლინის ცნობილ „რომანტიულ კაფეში“ ესწრება ლიტერატურულ შეხვედრებს, იქ არიან ბერთოლდ ბრეხტი, ჰერმან კესტენი, ალფრედ დობლინი, კურტ ტუხოლსკი. ისინი აღფრთოვანებულნი არიან პოეტით, განსაკუთრებით მისი მზინავი გარეგნობის გამო: გოგონა წითური თმებით და იმპულსური ტემპერამენტით, რომელიც ზოგჯერ თავხედურად, მაგრამ ხშირად მელანქოლიურად უყურებდა სამყაროს. მისი პოეზიისა და ცხოვრების ტემპიც ქალაქურია-უწყვეტი სამუშაო ციკლი, გართობაც, აურზაურიც, რომელიც იშვიათად წყდება. ისე, როგორც თავის ავტოგრაფიულ ლექსში წერს - გამოსაშვებ სადამოზე შეპირებული ცხოვრების გზაზე გასვლის ნაცვლად, ბიუროში შევაბიჯეო. მაშინ სტენოგრაფისტი კალეკო წერდა თავისნაირი მდივნების შესახებ. კურტ ტუხოლსკიმ მას "ანტენების ლექსები" უწოდა. ქალაქის შლაგერები მღერიან მის სიმღერებს სახლის სახურავებზე და გოგონები კი წერილებში იყენებენ მის ნათქვამსო- ეს კურტ ტუხოლსკის სიტყვებია. კალეკო, შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს თანამედროვე პოეზიის პოპ- ვარსკვლავი იყო. მას ადარებენ იოსეფ როტს, ასევე მის თანამემამულეს - როტი ჟურნალისტურ ფელეტონებს წერს, კალეკო კი ჟურნალისტურ ლექსებს.

მაგრამ განსაკუთრებულად მოულოდნელი იყო კალეკოსათვის ფილოსოფოს მარტინ ჰაიდეგერის შეფასება- „თქვენი „სტენოგრამული დღიური“ ცხადს ხდის, რომ თქვენ იცით ყველაფერი, რისი ცოდნაც მოკვდავებს ძალუძთ“, წერდა ჰაიდეგერი წერილში 1959 წელს [6]. მამა კალეკოს განსაკუთრებით

აოცებდა ჰაიდეგერის დაინტერესება მისი პიროვნებით. ფილოსოფოსს სურდა პირადად შეხვედროდა პოეტ ქალს ფილოსოფიური საკითხების განსახილველად. კალეკოს წარმოუდგენლად ეჩვენებოდა შეხვედრა ფილოსოფოსთან, რომელიც კომპრომენტირებული იყო ნაციონალ-სოციალიზმისადმი მისი სიმპათიებით.

მაშა კალეკოს პოეზიაში ლირიკული „მე“ მისი ბიოგრაფიის კვალდაკვალ ვითარდება და გადმოსცემს ავტორის ტკივილიანი და განცდებიანი ცხოვრების სვლას.

უკვე „ლირიკულ სტენოგრამაში“ კალეკო აღწერს მიტოვებულობისა და უსახლკარობის განცდას. თემა, სადაც ის თავმდაბლად მოგვითხრობს თავის ცხოვრებას. ავტობიოგრაფიული ლექსი- „ინტერვიუ საკუთარ თავთან + პოსტ სკრიპტუმი ორ ნაწილიანია:

„წელსა ათასცხრასა ოცდათორმეტს“- მოგვითხრობს ერთ პატარა, ჭორიკანა ქალაქში“ დაბადებული ავტორის ბიოგრაფიაზე.

„დედისათვის არ ვიყავი დიდი ჯილდო,

როცა ის დრო მახსენდება, ხშირად ვფიქრობ,

ასეთ შვილს არ ვინატრებდი - მეთქი თვითონ.“ -

იუმორშერეულად აღნიშნავს მაშა კალეკო. თუმცა ნიჭიერია და კარგად სწავლობს, უკვე ბავშვობაში აწყდება მკაცრ რეალობას, მას სკოლაშივე აგრძნობინებენ, რომ „არიელ ხალხთან“ საერთო არ აქვს, ის განსხვავებულია გარშემომყოფი ადამიანებისგან, არაა თანაბარუფლებიანი. ომის, წინააღმდეგობის, დევნის შიში, უკვე პირველი მსოფლიო ომის დროს რომ ტრიალებდა ჰაერში, პატარა ბავშვის შემეცნებში ღრმად ჩაიბეჭდა და როგორც რამდენჯერმე ახსენებს ლექსში, ომის შემდეგ მშვიდობისა ამაოდ სჯეროდა:

“ ექვსი წლის ვიყავი და ისევ მჯეროდა,

ომის შემდეგ რომ მშვიდობა გველოდა.“

ლექსის თარგმნის პროცესშიც, და ახლაც, როცა მის გაანალიზებას ვცდილობ, ჩამესმის ბავშვის ხმა, რომელიც აფასებს მოვლენებს

ისე, როგორც ეს რეალობაში არის. კალეკო უშუალოდ, შეულამაზებლად აღწერს თავის ცხოვრებას. ის შეფარვით გვიმხელს თავის დარდსა და მოწყენილობას, ჰყვება იუმორშეპარვით, თუ როგორ გაუცრუვდა იმედი და სკოლის გამოსაშვებ ღონისძიებაზე მასწავლებელთა დანაპირებ ახალ სამყაროში შებიჯების ნაცვლად, ბიუროს ყოველდღიურ მოსაწყენ რუტინაში შეაბიჯა, ბიუროს დამღლეულ საქმეში ჩაიძირა, სადაც მისი შრომა დიდად არ ფასობდა. სწორედ ეს რუტინა იქცა შემდგომში მისი „ყოველდღიური“ პოეზიის თემატიკის წყაროდ. თუ დროს ნახავს და ლექსის დაწერით სურს გაილამაზოს ყოფა - ესღა გაკლდაო - შენიშნავს მამა. მოსაწყენ ყოფას მოგზაურობაზე ოცნებებით ავსებს, თუმცა კი შემდეგ არაერთი მოგზაურობა ექნება წინ...არც ისე სახალისო მოგზაურობები, რომანტიკისა და სურვილით განპირობებული კი არა, იძულებითი გადაადგილებები მსოფლიო რუკაზე.

„ომი დამთავრდა, მშვიდობის გემინოდეთ, ხალხო!“ – ბერთოლდ ბრეხტის, ასევე ემიგრანტის, ეს სიტყვები არამარტო იმ პერიოდის, ყველა დროის რეალობას ასახავს. ომი მთავრდება, მაგრამ ცხოვრება სავსეა ნებისმიერი აზრის დამკვიდრებისა და ცხოვრების სტილის თუ სხვადასხვა კულტურის თანაარსებობისთვის ბრძოლებით, არა მარტო გარშემომყოფთა, არამედ საკუთარ თავთან შეჭიდებებითაც, ქაოსით, რომელიც მოიცავს სამყაროს და მშვიდობა არანაკლებ დამაბულია, ვიდრე ომი. მშვიდობა პირობითი ტერმინია მოჩვენებითი სიმშვიდის გამოსახატავად. ეს გათავისებული აქვს კალეკოსაც, როგორც რეალობა რეჟიმის პირობებში. ეს თეზაა სწორედ ძირითადი მისი კრიტიკული და იუმორით შეფარული ნაწარმოებებისათვის. ის „ეგრეთწოდებულს“ უწოდებს იღბალს, რომელსაც მისთვის ნამდვილად არ მოუცლია.

მეორე ნაწილი ლექსისა - პოსტსკრიპტუმი. წელსა ათას ცხრაას ორმოცდახუთს

უკვე ემიგრანტი შვილის ცხოვრებას და დედისა და შვილის მენტალობისა და დამოკიდებულებების სხვაობას ეხება. შვილი ამერიკაში ცხოვრობს და მისთვის, დედისგან განსხვავებით, პირველი ენა - გერმანული არაა მშობლიური ენის და სამშობლოს სიმბოლო. ვაჟი იზრდება გარემოში, სადაც ინგლისური კომფორტულობას უქმნის, ის თავს არ თვლის „სხვა მიწაზე“. დედას უმტკიცებს, რომ ის არაა უცხო ამ მიწაზე, კი არ ეგუება გარემოს, ცხოვრობს იქ და თვლის ამას ნორმალურად. შვილი არ გრძნობს თავს განსხვავებულად ამერიკელების წინაშე და არც მისი თანაბარუფლებიანობაა შელახული. თაობებს შორის შეხედულებათა სხვადასხვაობა დროსა და ცხოვრების სტილზეცაა დამოკიდებული, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ის დვრიტა, რაც ბავშვში პატარაობიდანვე იდება სამშობლოში აღზრდისას მთელი ცხოვრება გაჰყვება ხოლმე და ეს ნათლად ჩანს მაშა კალეკოს ნაწარმოებებში, როცა პოეტი მისტირის ქვეყანას, სადაც იცხოვრა, ისწავლა, სადაც მის მშობლიურ, თუმცა არა წარმომავლობის ენაზე საუბრობდა და წერდა. შვილის გაემიგრანტებაც ბედისწერის განმეორებად მიაჩნია, თუმცა შვილს ახლა არ უწევს ემიგრანტის უღლის ტარება, რადგან ის იმ ქვეყნის მოქალაქედ გმნობს თავს, სადაც ცხოვრობს და all right მიაჩნია იქ ყოფნა, ამერიკაში ხომ ყველა ასე თვლის და მაინც, გულისტკივილით აღნიშნავს პოეტი, რომ დედას გერმანულად საუბარს უშლის, alien -ად\* არ გრძნობს თავს. პოეტი ფიქრობს, რომ ის, რაც მას თან სდევდა მუდამ - სამშობლო, რომელიც უცხო ქვეყანაში ენაში განხორციელდა, შვილისთვის დაიკარგა, ან ბურუსში მოექცა. თვითონ კი ახლაც, როცა ინგლისური არც ისე უცხოა მისთვის, ცხოვრობს და საქმიანობს ამერიკაში, სამშობლოს ფესვებიდან მოწყვეტილად გრძნობს მაინც თავს. და მაინც, ვაჟსაც სწამს, რომ ომის შემდეგ უცილობლად მშვიდობა დგება, ეს კი დედას უკვე თავისი გამოცდილებით აქვს იუმორით მოსახსენებელ ფრაზად გათავისებული.



**\*„ALIEN“ - [eɪ.li.ən]** აშშ კოდექსის ტერმინოლოგიით უწოდებენ ადამიანს, რომელიც არ არის შეერთებული შტატების მოქალაქე", "თუ ადამიანი შეერთებულ შტატებში უკანონოდ შემოდის, ის არალეგალურად ითვლება". - ბაირონ დონალდსი(ცნობილი პოლიტიკოსი).

„ქამთასვლამ ბედი გვარგუნა მსგავსი -  
ახლა შვილი მყავს მე ემიგრანტი.  
ის ინგლისურად ასო-ასო მაკითხებს "alien" \*- ს  
მიკრძალავს დედას: „გერმანულად ნუ ლაპარაკობ“  
რვა წლისაა და ჯიუტად მეკამათება-  
აქ ყველაფერი რიგზეაო - არ თვლის თავს უცხოდ.  
ისევე, როგორც დევნილი ბავშვი დირექტორ მაისტან!  
ვით დეჟავიუ ჩემთვის თითქოს კვლავ მეორდება -  
ის ფიქრობს ისე, მის ასაკში მე რომ ვფიქრობდი:  
თითქოს ომები რომ დასრულდება, დგება მშვიდობა“

ამ ლექსში და სხვა ლექსებშიც ინგლისური სიტყვების ჩართვით, მრავალენოვნების გამოყენებით ავტორი აღწევს გამოხატოს დამოკიდებულება ენის მიმართ.

ავტორი სიტყვებს ALIEN" - eɪ.li.ən სის და all right ინგლისურად წერს, არ თარგმნის. ეს მიიჩნევა ემიგრანტი ავტორების შემოქმედებაში მრავალენოვნობის გამოხატვის ერთგვარ ნიშანად. მრავალენოვნობის ასპექტი ამ პოეტი ქალების შემოქმედებაში და თარგმნის საკითხები, მკვლევართათვის საინტერესო საკითხად ითვლება.

მათ პოეზიასა და პროზაში ხშირად ვლინდება ინგლისური სიტყვების გამოყენება და ზოგ შემთხვევაში ირონიულადაც, ასეა კალეკოსთანაც.

როგორც აღვნიშნეთ, მაშა კალეკოს ლექსებში აშკარად ჩანს ემიგრაციული ცხოვრების კვალი, უპირველესად სევდა,

დაკარგული სამშობლოსადმი ლტოლვა და იმის მწარე გაცნობიერება, რომ ეს სამშობლო ნაცისტურმა რეჟიმმა და მეორე მსოფლიო ომმა გაუნადგურა.

როდესაც გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტები მოვიდნენ ხელისუფლებაში, მამა კალეკო წერდა:

„ამქვეყნად მეგობარი არ გვყავს.

მხოლოდ ღმერთი. ის ჩვენთან ერთად გამოადგევს.

მრავალთაგან მხოლოდ ის რჩება.

სხვა არვინ არის ჩვენი ერთგული. "

" გული ჩამწყდა" წერს ის თავის ემიგრანტულ მონოლოგში (1945); ის ღმერთს ადანაშაულებს, რადგან უჭირს იმის დაჯერება, რომ ღმერთს არ შეუძლია მისი ხალხის ბედის მართვა და მათი მხარდაჭერა. სულ უწევს საზღვრების გადალახვა, მაგრამ არა ხალისით, ის ემიგრანტია ამ სიტყვის ყველა მნიშვნელობის გათვალისწინებით. მისი სიტყვა „Niergendland“- ქართულად ვთარგმნე სიტყვიტ-„არსაით“ ერთ - ერთ ლექსში. არსაით ქვეყანად რჩება მისთვის ნებისმიერი მოგზაურობის ახალი მისამართი.

„მაინცსადავარ“ -ეს ძველი შიში

მტრული საწოლი ამ არსაითში

ბალიშზე უცხო საპნის სურნელი

შენს უკან კიდევ უამრავი ხიდი დამწვარი

და მათ ფერფლიდან კვლავ აღმდგარი,

ამჯერადაც არანამდვილი

ფენიქს-სამშობლო.

ღმერთს მადლობა

ყვირილი ძალმიძს.

[Kaleko, In meinen Träumen läutet es Sturm, S. 47]

სადაც არ უნდა ყოფილიყო, გერმანიის, როგორც სამშობლოს ხატი თან დასდევდა. დროის სვლა ამ საკითხსაც თავის დაღს ასვამს. როცა მან გაზედა და ომის შემდეგ დაბრუნდა

გერმანიაში, მას კიდევ ერთხელ გაუცრუვდა მოლოდინი, დიდი ხნის ოცნება. გერმანიასთან კვლავ შეხვედრა არც ისეთი რომანტიკული გამოდგა მისთვის, როგორც მას ოცნებაში ესახებოდა. ლექსში ბერლინთან შეხვედრაზე თბილად და ტკივილით წერს, რომ ვერ დახვდა ის სანატრელი გარემო, რომელიც მან დატოვა, არ გრძნობს „შინ“ თავს. ეს არაა, რაც მას ენატრებოდა და მაინც ტკბება მოგონებებით. ის აღმოაჩენს, რომ აქაც, სადაც მას ბავშვობა დარჩა, არ აქვს ის სტატუსი, რომ შეიგრძნოს ეს ჩამოსვლა სამშობლოში დაბრუნებად. სამშობლოს – გერმანიის დაკარგვა – კალეკოსთვის ენის დაკარგვას ნიშნავს. ამას უფრო აძლიერებს იმის გაცნობიერება, რომ იგი თავს დაკარგულად თვლის, არა მარტო თავისი უპირველესი, წარმომავლობის, მამა-პაპის სამშობლოს მიერ, არამედ იგი გერმანიისთვისაც დაკარგულია. ის აქვეყნებს ლექსებს გერმანელი ემიგრანტების დაარსებულ ჟურნალში, წერს ემიგრანტებისათვის, მისი ხმა ყველა იმ ადამიანის ხმად იქცა, ვინც საკუთარ სამშობლოში არ ცხოვრობს. იგივე განცდა იპყრობს მოგვიანებით, როცა მეუღლესთან ჩემჯო ვინავერთან ერთად ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იერუსალიმში გადადის საცხოვრებლად. მას ორ საყვარელ ადამიანთან ისრაელში – მეუღლესთან და ამერიკაში – ვაჟთან უწევს ყოფნა, ორად გაყოფილია მისი გზები. 1970-იან წლებში ინტერვიუში კითხვაზე, თუ რატომ გადავიდა ისრაელში, მან უპასუხა: „რა გასაკვირია- ისრაელი ჩვენი მამების მიწა“. ვინაიდან ინტერვიუ იმჟამად იერუსალიმში მიმდინარეობდა, მისი პასუხი შეიძლება მივაწეროთ მის გონიერებასა და ტაქტს, ამბობენ ლიტერატურათმცოდნეები. მაშა კალეკო თავს კომფორტულად გრძნობს- „შინაა“ და სამუშაო განწყობაც და პირობებიც მისეულია და მაინც მას აქაც, ისრაელშიც რეზიდენტის სტატუსი აქვს, ის რჩება ტურისტად - უსახლკაროდ. ეს უსამშობლოობის თემა საერთო ძაფივით მიჰყვება მის ლექსებს. „უსამშობლოობას ხშირად ისეთი ადამიანებიც განიცდიან,

რომლებიც თითქოსდა მყარად არიან დამკვიდრებული ემიგრაციის ქვეყანაში, მაგრამ უცხო კულტურაში თავს უცხოდ და დაბნეულად გრძნობენ. ” საკუთარ სამშობლოშიც შეიძლება კაცმა სამშობლო ეძიოს.” - ეს ციტატაც მისი ინტერვიუდანაა[13].

აქვე გავიხსენებ „Lion Feuchtwanger-ის ცნობილ ფორმულირებას-„დედაენის ცოცხალი ნაკადიდან მოწყვეტილობის მწარე გამოცდილების შესახებ“, სადაც ის აცხადებს: „ენა იცვლება წლიდან წლამდე. ჩვენი გადასახლების ათი-თერთმეტი წლის განმავლობაში ცხოვრება ძალიან სწრაფად გავიდა, მან ათასობით ახალი მოვლენისათვის ათასობით ახალი სიტყვა და ჟღერადობა შეიძინა“ [მწერლობის ენობრივ გამოწვევებზე Feuchtwanger, L.: Der Schriftsteller im Exil (s. Anm. 5). S. 535.]

ლეონჰარდ ფრანკიც ეხება ამ საკითხს და ის ემიგრაციას “ ქვის ვიოლინოს, ან უსიმიებო ფორტეპიანოს” ადარებს. [Leonhard Frank: Links, wo das Herz ist. München 1952. S. 191].

ემიგრანტები უცხოდ რჩებოდნენ უცხოთა შორის ასე წერს მაშა კალეკო ერთ-ერთი ლექსში:

”თქვენ ჩემზე მხოლოდ ჩუმიად ჩურჩულებთ  
თითის იშვერთ ჩემსავ ნაიარევებზე  
შხამს მიყრით საჭმელში.  
მე კი კვლავ ზონრებს ვიკრავ გასამგზავრებლად-  
მამა- პაპური, ჩვეული წესით.  
ჩემზე აქ მხოლოდ ჩუმიად საუბრობთ  
და ამ სოფელში კვლავ უცხოდ ვრჩები“  
[Kaleko, In meinen Träumen läutet es Sturm, S. 46]

ერთ-ერთ ლექსში მაშა კალეკო წერს: „ხანდახან ნოსტალგია მაქვს, /არ კი ვიცი რისადმი“. მოულოდნელია მისგან ეს კითხვა - როგორ თუ რისადმი? ის ხომ ყოველთვის თავის სამშობლოს დაეძებდა,

ვითომ ეს კითხვა მის სწრაფვას ეწინააღმდეგება? თავად ლექსი პასუხობს ამ კითხვებს:

### **„ნოსტალგია“ რაზე დარდია მაინც?**

როცა ამ სიტყვას წარმოვთქვამ ხოლმე,  
ჩემთვის ისე ჟღერს, როგორც „ოცნება“,  
რადგან ჩემი „შინ“ თითქმის აღარ მაქვს  
და უკვე არსად არც მეგულებს.  
თან დამაქვს „დარდი სამშობლოზე“ და -  
ის ჩემთვის დღემდე მართლაც ბევრს ნიშნავს:  
ესაა ის, რაც ჩვენ - დევნილებს- გვტანჯავდა დიდხანს,  
ახლა კი ასე უცხოსავით ვართ უკვე „შინაც“,  
ამ სიტყვებიდან - „დარდილა“ დაგვრჩა  
ცნება- „სამშობლო“ მიინისლა და სადღაც გაქრა.

Kaleko, In meinen Träumen läutet es Sturm, S. 46.

მართლაცდა, რა არის ნოსტალგია, მოწყვეტილ ფესვებზე დარდი, რომელიც ადამიანს თან სდევს და სიხარულს უუფერულებს უცხო ქვეყანაში. რა არის საჭირო იმისათვის, რომ ადამიანმა იგრძნოს თავი იმ ქვეყნის მოქალაქედ, სადაც ცხოვრობს, კმარა კი მხოლოდ ბავშვობის ადგილი და გეოგრაფიული გარემო საამისოდ? ვინ მართავს ჩემი, თქვენი მოქალაქეობის უფლებას, რა არის ის, რასაც ვერ შევცვლით და რასაც ალბათ ბოლომდე ვერ ვაცნობიერებთ. თუნდაც ჩვენ მულტიკულტურულ გარემოში მუდმივ სტუმრებად რომ გრძნობენ თავს ადამიანები, რომელთაც საუკუნეები აქვთ აქ გატარებული! რაა ის ძალა, რომელსაც ისინი ებლაუჭებიან იდენტობის შესაწარჩუნებლად, ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნიდან იძულებით თუ ნებით გასული ემიგრანტები. ესაა ენა და ამაზე ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ.

ძალიან იშვიათად გამოსდიოდათ ემიგრანტ ავტორებს მასპინძელი ქვეყნის ლიტერატურული ენის მიმღებლობა. ასე იყო

კალეკოსთანაც ის კი წერდა ინგლისურად, ებრაულად, მაგრამ ენატრებოდა გერმანული, როგორც საკომუნიკაციო ენა. პოეტსას აკლდა ცოცხალი, სალაპარაკო ენა. არ კმაროდა ენა მხოლოდ კითხვისათვის. მას ის ქვეყანა სჭირდებოდა, სადაც „მის“ ენაზე ლაპარაკობდნენ. ეს ქვეყანა გერმანია იყო, რომელმაც ის გაიმეტა და გამოაძევა.

„ენა ყველაზე მსუბუქი ბარგი და მძიმე ტვირთიცაა, როცა შენთვის უცხო გარემოში გიწევს წასვლა. ამ დროს თითქმის ყოველთვის შეგიძლია წაიღო მხოლოდ ის, რაც შენ შენს თავსა და გულში გაქვს: მითები და ზღაპრები, გადმოცემები, შენი და სხვათა მოგონებები, მათი, ვისთანაც საერთო ენა გაქვს. შემთხვევითი არ არის, რომ ყოველგვარი ჩაგვრა იწყება ენობრივი და ამ გზით ლიტერატურის ჩაგვრით, იმის გათვალისწინებით, რომ ლიტერატურაში ვიგულისხმებთ არა ყველაფერ იმას, რაც იწერება [10]“.

მაშა კალეკოს დამოკიდებულება ენისადმი მძაფრია - ენა ევარდება საკუთარი იდენტობის გაცნობიერებას. ის ცხოვრობს ამერიკაში, კარგად ფლობს ინგლისურს, ამ ენაზეც შეუძლია წერა და კიდევ იყენებს მას სამსახურობრივად - წერს დღიურებს, კორესპონდენციებს, სარეკლამო ტექსტებს და რამდენიმე ლექსიც აქვს ინგლისურად დაწერილი, მაგრამ ის მაინც კრიტიკულად უდგება სხვა ენაზე წერის და მისი ნაწერების თარგმნის საკითხს. თავის ტექსტში „ლირიკული პოეზიის თარგმნის შეუძლებლობის შესახებ“[1] ის საუბრობს, თუ რატომ წერს ცოტას ან საერთოდ ერიდება ინგლისურად წერას და პოეზიის თარგმნას. ის ფიქრობს, რომ არაა საკმარისი საამისოდ მხოლოდ ენის კარგად ფლობა. გასაგებია მისი დამოკიდებულება, მართლაც ძნელია, სხვა ენაზე ზუსტად გამოხატო შენი საფიქრალი. ამიტოა უცხო ქვეყანაში ცხოვრება რთული, ფიქრობ სხვა ენაზე, საუბრობ სხვაზე, სანამ ფიქრსაც დაიწყებ სალაპარაკო ენაზე, სულ გიწევს საკუთარი

ფიქრების თარგმნა, თუმცა შინაგანად ავტორი ამას ებრძვის და დაუშვებლად მიაჩნია. მაშა კალეკოსთვის პირველ ენად გერმანული რჩება და მხოლოდ გერმანულად წერს და ამით ამაცობს. ენების შესახებ მის აზრს ეს ლექსიც გამოხატავს:

### მცირე განსხვავება

ერთხელ თურმე ბატონ გუდვილს

ემიგრანტი გამოუტყდა, გერმანელი :

„არ იცვლება, კი ბატონო, არაფერი

თუ 'ლენდს' ვიტყვი 'ქვეყნის' ნაცვლად

ანდა 'მამულს' თუ 'ჰოუმლენდს' შევუნაცვლებ

'ჰოემას' კი ვარჩევ 'ჰოემს',

სათქმელს ვიტყვი და ვიქნები ალბათ 'ჰეპიც' ,

მაგრამ ვიცი, ნაღდად ვიცი-

ვერ ვიქნები 'ზედნიერი' “.

ეს ლექსი, დაიწერა ამერიკის გადასახლების პირველ წლებში, შექმნილია ნიუ-იორკში 1940-იან წლებში, ნაწყვეტია საუბრიდან ამერიკელ გუდვილსა და ვინმე გერმანელ ემიგრანტს შორის. „მისტერ გუდვილი“ შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც „კეთილი ნება“ ან „კეთილგანწყობა“. საკვანძო სიტყვებია „ქვეყანა“, „სამშობლო“, „ჰოემა“. ლექსში გერმანული და ინგლისური სახელების შეპირისპირებაა მოცემული. სათარგმნად ერთობ საფიქრელი გამოდგა.

დახრილად დაწერილია ინგლისური სიტყვები. ლექსის დასაწყისშივე აღნიშნულია მსგავსება სიტყვებისა „*land* – Land“ „*homeland* – Heimat“ und „*poem*– Gedicht“ დედანში დიდი ასოთია დაწერილი გერმანული სახელები და განსაკუთრებით „*land*– Land“ ის შემთხვევაში, რომლებიც ერთნაირად იწერება, სიტყვები გათამაშებულია. ამიტომ მე ჩავთვალე, რომ ქართული ასოებით და წაკითხვის წესით დამეპირისპირებინა ეს სიტყვები, რაც შეეხება

სიტყვებს - *poem*– *Gedicht* (ლექსი)- ბევრი ვიფიქრე და მეგობრის რჩევით, აქ გავათამაშე სიტყვები-პოემა და პოემ, რათა როგორმე გადმომეცა დედნისეული სიტყვათა წყვილების შეპირისპირების პრინციპი. სამშობლო „Heimat “ - მამულად ვთარგმნე, უბრალოდ მინდოდა ხაზი გამესვა, რომ მამული უფრო ნიშნავს ფესვებს ვიდრე „მშობლიური ქვეყანა“ ამ ლექსის კიდევ ერთი თარგმანიც მოვიძიე ბატონ კობა ჭუმბურიძისა :

### **მცირე განსხვავება / თარგმანი კობა ჭუმბურიძე**

ბატონ გუდვილს ეუბნება

გერმანელი ემიგრანტი:

„არაფერი არ იცვლება,

ჩავანაცვლე მიწით Land-ი,

Heimat-ს აღარ, ვამბობ კერას,

Gedicht-ის წილ ლექსებს ვყვები.

ბედნიერიც კი ვარ, მჯერა,

მაგრამ glücklich ვერ ვიქნები.

ვფიქრობ ამ ორი ვარიანტის შეჯერება ნათელს ხდის ავტორისეული სიტყვების დაპირისპირების პრინციპს. მაგრამ აქ თარგმანების შედარების კი არა, ლექსის შესახებ მინდა გითხრათ რამდენიმე სიტყვა. სიტყვების ორთოგრაფიულ და სემანტიკურ მსგავსებაზე მიუთითებს ავტორი და არ თვლის დიდ დანაშაულად, თუ ერთი სიტყვის ნაცვლად მეორეს გამოიყენებს. ეს სიტყვები იმდენად ნაცნობია და რეალური ემიგრანტის მეტყველებაში, რომ სათქმელი გასაგები იქნება მსმენელისათვის ნებისმიერი მათგანის გამოყენებისას. ერთადერთი სიტყვა, რომელიც ლექსში თარგმნილია და ის არაა დახრილად დაწერილი არის happy. ავტორი ამით მიუთითებს, რომ რარიგ ადვილიც არ უნდა იყოს, თქვას happy გერმანელმა ემიგრანტმა, ის ვერ გამოხატავს იმას რასაც ის სიტყვით - glücklich გამოხატავდა. ეს



სხვა ბედნიერებაა მისთვის. აქ ავტორი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თარგმანის შემთხვევაში ენის ნიუანსების არასრულად გამოხატვის რეალობას.

ძალიან გასაგებია ავტორის ენისადმი მიჯაჭვულობა, რომელიც უცხო ხალხში, უცხო მიწაზე სამშობლოს და იდენტობის შენარჩუნების ერთადერთი ბერკეტია.

„ვისაც არ განუცდია უშუალო მტკივნეული კონტაქტი ამ პრობლემასთან, მხოლოდ იმას მოუვა თავში, რომ პოეტობა სცადოს სხვა ენაზე. საკმარისი არ არის, ენას ვფლობდეთ, ენა უნდა გვფლობდეს ჩვენ. ჩვენ კი მხოლოდ ის ენა გვმართავს, რომელზეც პირველად ვთქვით „დედა“, „მე“ და „მიყვარხარ“. ბავშვობისა და ადრეული ახალგაზრდობის ემოციური ასოციაციები, და სულიერი სიმდიდრე, რომელიც ჩვენს მშობლიურ ენაში ისეა ჩამარხული, როგორც თხილი თავის ნაჭუჭში, ესაა რაც ჩვენ გვაკლია ახლად შესწავლილი ენის პირობებში. ჩვენ, ემიგრანტებმა ვიცით, რომ ზოგჯერ ცნებებიც გაგვირბიან, არამარტო სიტყვები, რადგან ყოველი ერის მენტალიტეტი სწორედ განსაზღვრული ცნებების არსებობასა თუ არარსებობაში მდგომარეობს“ [Mascha Kaléko: Von der Unübersetzbarkeit lyrischer Dichtung. In: Dies.: Sämtliche Werke und Briefe. Hg. von Jutta Rosenkranz. Bd. 1: Werke. München 2012. S. 833–834.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ მაშა კალეკოს სიყვარული სამშობლოსა და ენისადმი, რომლითაც გაჟღენთილია მთელი მისი შემოქმედება დღესაც, ამ უსაშველო გლობალიზაციისა და ემიგრაციის მომსწრეთათვის ამაღლევბელი და გადამდებია. ე.წ. „მსოფლიო მოქალაქეთ“ იგივე სიმწვავეთ უდგათ პრობლემა უფესვო ლერწმისა უცხო ქვეყანაში, ქარის მცირე შემობერვაზე რომ კარგავენ წონასწორობას(შილერი- ვილჰელმ ტელი) და ასევე საიმედო ნავთსაყუდარია მათთვის ენა, როგორც იდენტობის შენარჩუნების ერთადერთი გზა. სწორედ ამიტომ, რომ ყველა თაობა ხელახლა აღმოაჩენს თავის მაშა კალეკოს და ის

დღესაც ძალიან მისაღები და საინტერესოა გერმანულენოვანი მკითხველისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა:

Mascha Kaléko: Von der Unübersetzbarkeit lyrischer Dichtung. In: Dies.: Sämtliche Werke und Briefe. Hg. von Jutta Rosenkranz. Bd. 1: Werke. München 2012. S. 833–834

<https://www.maschakaleko.com/gedichte>- 25.07.24

<https://kuenste-im-exil.de/KIE/Content/EN/Persons/kaleko-mascha-en.html>

<https://www.convivio-mundi.de/texte-bibliothek/literatur-musik/mascha-kaleko-eine-klassikerin-der-moderne.html>

<https://tam-tam-stadtmagazin.de/mascha-kaleko-virtuosin-schriftstellerin-unvergaenglich/#:~:text=Thomas%20Mann%20bezeichnete%20die%20Dichterin,den%20ganz%20Gro%C3%9Fen%20ihrer%20Zunft.>

<https://www.tagblatt.ch/kultur/witzig-und-ein-wenig-weise-ld.923845>

Mascha Kaleko - Großstadtliebe-Rowolt, 1975

M. Kaleko, In meinen Träumen läutet es Sturm, S. 52

Kaléko M. 2013, Sämtliche Werke und Briefe. Band 1. Werke, hrsg. von J. Rosenkranz, dtv, München.

Heinrich Böll, Essayschriften und Reden III., 1973-1978, Werke 9, S. 175-181].

Rosenkranz J.2 2013 (Hg.), Mascha Kaléko. Sämtliche Werke und Briefe. Band IV: Kommentar, dtv, München.

Scholz I. 2013, „Kein Neutöner “ – Mascha Kaleko -Motivik und Darstellungsform in einer Auswahl ihrer Gedichte, Bernstein-Verlag, Bonn.

Corina Schlicht – Körper – Identität – Sprache- Überlegungen zur Lyrik Else Lasker-

Schülers und Mascha Kalékos/Universität Duisburg- Essen <http://siba-ese.unisalento.it>, © 2023 Università del Salento

Caroline Nilstad- Poetologische Dimensionen bei Mascha Kaléko /Eine Untersuchung dreier Gedichte mit einleitender Funktion-

Norwegens technisch-naturwissenschaftliche Universität Humanistische  
Fakultät Institut für Sprache und Literatur/ Trondheim, Mai 2018,pdf

Aleksey Tashinskiy / Juliya Boguna / Tomasz Rozmysłowicz  
(Hg.Translation und Exil (1933–1945) INamen und Orte.Recherchen zur  
Geschichte des Übersetzens, pdf

Evelyn Patz Sievers- Zur Problematik der Sprache als Heimat im  
Kontext des Exils in der Lyrik von Rose Ausländer und Mascha Kaléko  
[https://www.academia.edu/66622431/Zur\\_Problematik\\_der\\_Sprache\\_als\\_Heimat\\_im\\_Kontext\\_des\\_Exils\\_in\\_der\\_Lyrik\\_von\\_Rose\\_Ausl%C3%A4nder\\_und\\_Mascha\\_Kal%C3%A9ko](https://www.academia.edu/66622431/Zur_Problematik_der_Sprache_als_Heimat_im_Kontext_des_Exils_in_der_Lyrik_von_Rose_Ausl%C3%A4nder_und_Mascha_Kal%C3%A9ko)

**ირმა ქურდაძე**

*პროფესორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე*

**თამარ ნარიშკიანი**

*აგრონომიის დოქტორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე*

**ნინო კარკაძე**

*მენეჯმენტის დოქტორის კანდიდატი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე*

**STEM-ის სწავლების თანამედროვე ასპექტები -  
არაფორმალური განათლების მეშვეობით**

**მოკლე შინაარსი**

STEM-ის სწავლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, სადაც სწავლების მაღალი ხარისხის მიღწევა არაფორმალური განათლებითა და კლუბებში აქტიური მუშაობით არის შესაძლებელი.

USAID საბაზისო განათლების პროგრამა/ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და სამმხრივი მიმართულების კვლევითი ინსტიტუტის (RTI) მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში შემავალ 35 საჯარო სკოლაში დაარსდა კლუბები - STEM და იდიატორთა მიმართულებებით, სადაც განხორციელდა საინტერესო პროექტები - აქტუალური პრობლემატიკით.

წამყვანი მიმართულება მდგრადი განვითარებაა, რომლის ერთ-ერთი მიზნის შესაბამისად, მნიშვნელოვანია მდგრადი მოხმარებისა და წარმოების უზრუნველყოფა.

ამ მიმართულებით ახალციხის #1 საჯარო სკოლაში განხორციელდა პროექტი “ერთად ვაჩუქოთ დედამიწას სიცოცხლე”.

პროექტის ფარგლებში გადაწყდა პრობლემის - დაბინძურებული გარემოსა და ადამიანის/სხვა ცოცხალი ორგანიზმების ჯანმრთელობის გამრავლებისა და გადარჩენის უზრუნველსაყოფად - ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.

პრობლემის აღმოფხვრის შესაბამისად და კლუბში დასახული ღონისძიებების განხორციელების შედეგად ნაგავსაყრელზე ნარჩენების რაოდენობა 50%-ით შემცირდა, დახარისხდა მეორადი ნედლეული; შემცირდა გარემოს დაბინძურება; მოსწავლეებმა გაიაზრეს გარემოს დანაგვიანებით გამოწვეული საფრთხეები, მოსწავლეებმა უზრუნველყეს ნარჩენების ხელახალი გამოყენება.

**საკვანძო სიტყვები:** STEM სწავლება, არაფორმალური განათლება, შემოქმედებითი პროდუქტი.

***Irma Kurdadze***

*Professor, Samtskhe-Javakheti State University,  
Georgia, Akhaltsikhe*

***Tamar Narimanishvili***

*Doctor of Agronomy,  
Samtskhe-Javakheti State University,  
Georgia, Akhaltsikhe,*

***Nino Karkadze***

*PHD Candidate of Management,  
Samtskhe-Javakheti State University,  
Georgia, Akhaltsikhe*

## CONTEMPORARY DIRECTIONS OF STEM TEACHING THROUGH INFORMAL EDUCATION

### *Abstract*

STEM teaching is one of the important area, where leading quality could be achieved through informal education and club activities.

USAID Basic Education Program – United States Agency for International Development and Research Trilateral Institute (RTI) have implemented a project with framework of STEM education and in 35 public schools in municipalities of Samtskhe-Javakheti region active club works were established with interesting project directions about current problems.

The leading direction is sustainable development in according to provide sustainable consumption and production. In this direction , the project named “New life giving Earth together” was implemented in Akhaltsikhe #1 Public School.

Within the basic framework of the project, it was decided to ensured main measures in the reproduction and survival of the problems of polluted environment and health of humans and other active organisms.

In accordance with the elimination of the problem and consequently of the implementation of the club measures, the amount of waste at the landfill was reduced by 50%, secondary raw materials were sorted; reduced environmental pollution; Pupils were qualified about the dangers caused by littering the environment; Pupils were ensured about the reuse of waste.

**Key Words:** STEM teaching, informal education, creative product.

ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში მიმდინარე განათლების სისტემის რეფორმა პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნაზეა ორიენტირებული.

ერთ-ერთი პროიორიტეტი ამ პროცესში კი მოსწავლის XXI საუკუნისათვის საჭირო უნარებით უზრუნველყოფაა. (<https://www.mes.gov.ge/uploads/files/zogadi-ganatilebis-xelshecyoba.pdf>). რომლის უზრუნველყოფა STEM კლუბებში განხორციელებული საინტერესო პროექტებით არის შესაძლებელი.

პროექტების ფორმატი, რომელიც მოსწავლის მიერ შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას ითვალისწინებს, მოსწავლეს აძლევს და უნვითარებს იმ ცოდნას და უნარებს, რაც საჭიროა

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად - როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი, სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების ჭრილში,

მნიშვნელოვანია კლუბში პროექტის განხორციელების პროცესში ისეთი აქტივობების შესრულება, სადაც მოსწავლე ახალი ცოდნის გამოყენებით შექმნის პროდუქტს, რაც მისთვის კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას უზრუნველყოფს.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვით შესაძლებელია განათლების პარადიგმის თვისებრივი და არსობრივი გარდაქმნა და მთელ სასკოლო სისტემაში მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო მიდგომების რეალური დანერგვა, (<https://www.mes.gov.ge/uploads/files/zogadi-ganatilebis-xelshecyoba.pdf>).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია საგანმანათლებლო პრინციპების გამოკვეთა, რაც უზრუნველყოფს „საკვანძო ცნების - პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის, სიღრმისეულ, არსობრივ ასპექტებს, რათა ხელმისაწვდომი გახდეს იგი ზოგადი განათლების სფეროში მომუშავე ყველა პირისათვის და ამ გზით ხელი შეუწყოს ყავლგასულ, მექანიცისტურ ხედვიდან მომდინარე წარმოდგენების ჩანაცვლებას განახლებული წარმოდგენებით“ (ჯაყელი 2019).

კვლევებმა აჩვენა, რომ ძალიან ხშირად მოსწავლეები ვერ აკავშირებენ ფაქტებსა და პრინციპებს, რომლებიც მათ ერთ კონტექსტში აქვთ ნასწავლი სხვა კონტექსტთან. ცოდნას აქვს ტენდენცია იმ ვიწრო ჩარჩოებში დარჩეს, რომლის ფარგლებშიც კონკრეტიკაშიც მოხდა მისი ათვისება. თუმცა არ შეიძლება ყველა კონტექსტში თავიდან იყოს სასწავლი სხვა კონტექსტში უკვე ათვისებული მასალა. ამისთვის მნიშვნელოვანია ვასწავლოთ ტრანსფერი, დავეხმაროთ მოსწავლეებს დაამყარონ კავშირები.

დღის წესრიგში შესატანია ტრანსფერის სწავლება, რომელიც მჭიდრო კავშირშია გააზრებულ, გაგების სწავლებასთან. მაგალითად, თუ მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს ახსნას, იმსჯელოს, მოიტანოს დასამოწმებლად მაგალითები, ანალოგიები,

დააკავშიროს სხვა მოვლენებთან თუ პროცესებთან, ეს დაეხმარება არ მოექცეს ცოდნის საგნობრივ თუ კონტექსტუალურ ჩარჩოში. ასევე სასარგებლოა რეფლექსიური კითხვების დასმა, თუ რაში გამოადგებათ მიღებული ცოდნა თუ გამოცდილება ცხოვრებაში, ან სხვა საგანში. აღნიშნული შეუწყობს ხელს ცოდნამ უფრო ფუნქციური, გამოყენებითი დანიშნულება შეიძინოს. გასცდეს საგნობრივ ჩარჩოებს. (მ რატიანი. სააზროვნო სტრატეგიის სწავლება (აზროვნების ტიპები, პერკინსი.2022)

შესაბამისად, ტრანსფერული უნარების განვითარება სწორედ არაფორმალური განათლების ფორმატში - საკლუბო მუშაობის პროცესში არის შესაძლებელი. კონკრეტულად, ახალციხის #1 საჯარო სკოლაში ჩატარდა აქტივობები, რამაც უზრუნველყო დაბინძურებული გარემოსა და ადამიანის/სხვა ცოცხალი ორგანიზმების ჯანმრთელობის გადარჩენა.

ამ მიზნით, ახალციხის #1 საჯარო სკოლის STEM კლუბში პროექტის “ერთად ვაჩუქოთ დედამიწას სიცოცხლე” ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- მოსწავლეებმა იმსჯელეს, რა არის ნარჩენი და რა გზას გადის ის?
- როგორი ტიპის ნარჩენები არსებობს ბუნებაში?
- რა ზიანს აყენებს ნარჩენები ადამიანს და გარემოს?
- განისაზღვრა სხვადასხვა ნაგვის ურნაში არსებული ნარჩენების ტიპი;
- განისაზღვრა ადამიანსა და გარემოზე მიყენებული ნარჩენების ზიანი;
- გაანალიზდა კითხვა - რა დრო სჭირდება ნარჩენების დაშლას?
- რა მნიშვნელობა აქვს რესურსების ხელახალი გამოყენებას;
- ნარჩენების გადამუშავებას;
- როგორ მიიღწევა გადამუშავების კუთხით დასახული ეროვნული მიზნები? მეორადი ნედლეულის დახარისხება?
- მოსწავლეებმა გაცნობიერეს გარემოს დანაგვიანებით გამოწვეული საფრთხე და მზრუნველი დამოკიდებულების მნიშვნელობა;



- ნარჩენებისათვის ახალი სიცოცხლის მიცემის პერსპექტივა;
- ნარჩენებისგან ახალი ქაღალდის დამზადების შესაძლებლობა;
- ნარჩენებისგან მოსწავლეებისათვის კაბების დამზადების შესაძლებლობა;
- პოლიეთილენის პარკების გადაყრისა და მისი გადამუშავების გააზრება, რომ ამ პროცესს მრავალი წელი სჭირდება, აბინძურებს გარემოს და ბევრი ცოცხალი ორგანიზმის დაღუპვის ხელშემწყობია.

შესაბამისად, აღნიშნული ალტივობების განხორციელებით მოსწავლეებს გამოუმუშვდათ ტრანსფერული უნარები, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის უზრუნველყოფის პროცესში.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისი, 2023.

მ რატიანი. სააზროვნო სტრატეგიის სწავლება აზროვნების ტიპები, პერკინსი. 2022

*ნინო კარკაძე  
მენეჯმენტის დოქტორის კანდიდატი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე*

## **შებრუნებული სწავლების მეთოდები ინოვაციურ პედაგოგიკაში**

### **მოკლე შინაარსი**

უმაღლესი განათლების საფეხურზე უნივერსიტეტებში ინკლუზიური და თანაბარი ხელმისაწვდომობის განათლების მისაღებად სავალდებულოა მუდმივად ახალი ცოდნისა და დამოკიდებულების გააზრება ინოვაციურ პედაგოგიკასა და შემეცნებით მეცნიერებებში.

იმისათვის, რომ მოსწავლემ ზუსტად ისწავლოს შებრუნებულ საკლასო ოთახის პრინციპზე დაყრდნობით, რაც კარგად ვლინდება მისთვის სკოლის დამთავრების ბოლოსა და სწავლის პროცესში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინოვაციური პედაგოგიკის ინტეგრირებას ჩვეულებრივი განათლების მოდელიდან თამაშის ტიპის სწავლებაში გადასვლაში - გარემოს (PLE) ადაპტირებაში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში.

**საკვანძო სიტყვები:** შებრუნებული სწავლება, ინოვაციური პედაგოგიკა, უმაღლესი განათლება.

***Nino Karkadze**  
PHD Candidate of Management,  
Samtskhe-Javakheti State University,  
Georgia, Akhaltsikhe*

## **FLIPPED LEARNING METHODS IN INNOVATIVE PEDAGOGY**

### **Abstract**

In order to obtain inclusive and equal education in higher schools and universities, it is mandatory to acquire constantly up-new knowledge and attitudes in innovative pedagogy and cognitive sciences. In accordance with the student to learn exactly the principle of flipped learning, which is illustrated to them at the end of the school and as well as in learnig process, it is crucial to integrate the innovative pedagogy from the conventional education model into the playful learning environment (PLE) in the up-to-date information and communication technologies.

**Key words:** flipped learning, innovative pedagogy, higher education.

**შესავალი:** კოლინსი (1998) გვთავაზობს პედაგოგიურ კურსების რეინჟინერიას, იმისათვის რომ ეს კურსები გახდეს უფრო მოქნილი, გაზარდოს სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებელი და აგრეთვე, აამაღლოს სტუდენტების მოსწრების დონე გრძელვადიან პერსპექტივაში. რაითი და კორდო (1996) გვაძლევს მსგავს რეკომენდაციებს, ჩავანაცვლოთ ინსტრუქტორულ-ტრასმისიური მოდელი სწავლებაზე ორიენტირებული საკლასო ოთახებით, ვასწავლოთ პროცესზე დაფუძნებული სხვადასხვა მოდელები, იმისათვის რომ უფრო ეფექტური გავხადოთ მთლიანი სწავლება. ინოვაციური პედაგოგიკა აძლევს მასწავლებლებსა და მათ სტუდენტებს შესაძლებლობას, განავითარონ თავიანთი იდენტურობა სხვებთან ურთიერთკავშირის გაძლიერებით. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერით, რომელიც დიდ როლს თამაშობს მდგრადი განათლების ფორმირებაში (Carrión-Martínez et al., 2020), სტუდენტებს ინოვაციური პედაგოგიკოს კლასებში აქვთ პასუხისმეგლობა ეფექტური კომუნიკაციის წარმართვის, რაც გულისხმობს თავისუფალ სოციალურ აქტივობებს და მეტა კოგნიტური ფაქტორების გამოყენებას სოციალური ინტერაციის საშუალებით. ამ იდეის ქვეშ, ბევრი პედაგოგი გაერთიანდა, რომლებმაც წარმოადგინეს გამოკითხვაზე დაფუძნებული სწავლება, ამოცანებზე დაფუძნებული სწავლება, თამაშზე ორიენტირებული სწავლებ და დიზაინზე დაფუძნებული სწავლება.

ცნებების კონფეპტუალიზაცია დაფუძნებულია 1990 წელს, ბეიქერმა (2000) წარმოადგინა შებრუნებული სასწავლო ოთახის მეთოდი, რომელმაც მოიცვა მთლიანი ონოვაციური პედაგოგიკის არსი. მოძრავი ტექნოლოგიების მხარდაჭერით, როგორცაა ტელეფონები და პლანშეტები, წარმოშვა ახალი შესაძლებლობები, რომელმაც პირდაპირი ზეგავლენა იქონია სწავლების პროცესებზე და შედეგებზე (Bernacki et al., 2020), ამასთანავე, შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი წარმატებით განხორციელდა მრავალ დისციპლინაში (მათემატიკა, სოციალური მეცნიერებები, ჰუმანიტარია) სხვადასხვა საგამანათლებლო დონეზე მრავალ ქვეყანაში. ბევრმა ინსტრუქტორმა ტრადიციული მეთოდებიდან გადასვლა მოითხოვა შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდებზე. მაგალითად, ლომბარდინმა (2018) დანერგა შებრუნებული საკლასო ოთახი თავის სწავლებაში, სადაც გამოიყენა ნახევრად შებრუნებული და სრულად შებრუნებული მეთოდები. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით უნდა გაზრდილიყო სტუდენტების ეფექტურობის მაჩვენებელი მიკრო ეკონომიკის კურსზე და შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტები უფრო კმაყოფილები და ეფექტურები იყვნენ ნახევრად შებრუნებული სწავლების მეთოდით თავიანთი სამუშაო დატვირთვიდან გამომდინარე. ბევრმა სტუდენტმა გააერთიანა ამოცანებზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდებთან და შედეგებმა აჩვენა, რომ წარმეტების მიღწევის კონკრეტულ დონეს აღწევს.

ტერმინი “თამაშით სწავლება” (PL) თავდაპირველად ჩამოაყალიბა კანგასმა (2017), რომელიც განსაზღვრავდა სასწავლო აქტივობების შედგენას და განხორციელებას სტუდენტების თამაშით ჩართულობის პროცესში. თამაშით სწავლება ასევე გულისხმობს სტუდენტების კრეატიულობის და წარმოსახვის დონის ამაღლებას (Kangas, 2010). შემოთავაზებული აქტიური სწავლების მეთოდი - თამაშით დატვირთული სასწავლო გარემო (PLE) მიზნად ისახავს სტუდენტების ჩართულობას ამოცანების შესრულების პროცესში. PLE-ში უახლესი იარაღები და ტექნოლოგიები წარმოადგენს ძირითად მხარდაჭერას. სტუდენტებს შეუძლიათ ისწავლონ წარმოსახვით და თამაშებით. თუმცა, სხვადასხვა კვლევების მიმოხილვებში სტუდენტების

ჩართულობის მაჩვენებელი და სწავლის შედეგები შებრუნებული საკლასო ოთახის სწავლებაში თამაშით დატვირთული მეთოდი საკმაოდ დაბალი დონითაა წარმოდგენილი. თამაშზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები მოიცავს სხვადასხვა თამაშებდ და ფიზიკურ აქტივებს, ხელების და სხეულის დახმარებით. ხელების გამოყენების პროცესი ამა თუ იმ კურსზე დაკავშირებულია პრაქტიკული ცოდნის მიღებასთან, რასაც დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია სტუდენტებისათვის. შესაბამისად, ეს კურსი, მედიის წარმოება ჩინურ კულტურაში, აღმოაჩენს ისეთ მონაწილეებს რომლებმაც წარმოაჩინეს მაღალი ეფექტურობა შებრუნებული საკლასო ოთახის სწავლების მიდგომაში თამაშზე ორიენტირებული მეთოდებით.

ემპირიული კვლევები სწავლების ეფექტურობასთან დაკავშირებით ზომავს სწავლების გამოჯობების მაჩვენებლებს და მის შედეგებს. შეფასების სქემა რომელიც ზომავს მთლიანი სწავლების ეფექტურობას და მის შედეგებს, სრულად უნდა აღწეროს შებრუნებული სწავლების ეფექტურობა საკლასო ოთახებში. მოცემული სქემის მიხედვით, თითოეული სასწავლო მიმართულების ცვლადები შედარებულია სხვადასხვა სწავლების მიდგომებთან, რომლებიც აუმჯობესებს შებრუნებული სწავლების პროცესს. მაგალითად, კოლაბორაციული სწავლების სტრატეგიები დადებით ზეგავლენას ახდენს სწავლის პროცესზე (McDonough and Foote, 2015). რამოდენიმე კვლევის ინტეგრირებით სხვადასხვა ეფექტურობის საზომი შეფასების სქემაში გვაძლევს საშუალებას, შევადაროთ ეს საზომები ერთმანეთს. იმისათვის რომ შევავსოთ კვლევითი ჩავარდნები, სხვადასხვა კვლევა უზრუნველყოფს დეტალურ ემპირიულ აღწერას ამოცანებზე დაფუძნებულ მითითებებს საპილოტე სწავლების სხვადასხვა ეტაპზე, რომელიც უზრუნველყოფს წინააღმდეგობრივ კლასებში სტუდენტების ეფექტურობას.

შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი თავდაპირველად 1996 წელს დამკვიდრდა (Lage et al., 2000) რომელიც ცნობილი იყო როგორც ინვერტული საკლასო ოთახი. ის მოიცავდა მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანას კლასამდე და კლასში გამოსაყენებელ ინსტრუქციებში. ბეიქერმა (2000) შებრუნებული სწავლების განმარტებაში შეცვალა მასწავლებლების როლი.

მასწავლებლებმა გადამინაცვლეს კულისებში და გახდნენ თავიანთი მოსწავლეებისა და სტუდენტების მაყურებლები, ანუ მათ გაცვალეს როლები, შინაარსი უნდა ყოფილიყო მასწავლებლის პირისპირ ჩართულობა საკლასო პროცესში, რასაც აგრეთვე, დააკვირდებოდა სტუდენტები ონლაის რესურსების გამოყენებით. რთულ-წინააღმდეგობრივ კლასების ინსტრუქციის მოდელში, მასწავლებლები სტუდენტებს აძლევდნენ მითითებებს. ტრადიციულ მოდელთან შედარებით, შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელი გვთავაზობს ახალ შესაძლებლობებს ციფრულ-კორპორატიული ტექნოლოგიების დახმარებით, მასწავლებლის უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად, სტუდენტების სწავლების სამოტივაციოდ და სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით (Kazanidis et al., 2019). ბევრმა პედაგოგმა განახორციელა შებრუნებული სწავლების მოდელის სხვადასხვა პრინციპები, მაგალითად, ამოცანებზე ორიენტირებული სწავლება, გამოკითხვებზე დაფუძნებული სწავლება, თამაშზე დაფუძნებული სწავლება და პროექტებზე დაფუძნებული სწავლება. წარმოდგენილი ახალი მოდელების საშუალებით გაიზარდა სტუდენტების მონაწიელობის მაჩვენებლები სასწავლო გარემოში, გაუმჯობესდა სწავლების პროცესი და ამაღლდა საერთო შედეგები.

დავალებებზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომები შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელში.

დავალებებზე ორიენტირებულ სასწავლო მიდგომებში, მასწავლებლები ანაწილებენ დავალებებს სტუდენტებზე სრულიად ავტონომიურად, რათა მიიღონ კონსრუქციული ცოდნა (Sun and Wu, 2018). დავალებებზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომაზე დაყრდნობით, სტუდენტები თავად ანხორციელებენ სასწავლო აქტივობებს, შესაბამისად, სწავლობენ დამოუკიდებლობას და ავტონომიურ სწავლება. დავალებებზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომა მოიცავს ისეთ საგნებს, როგორიცაა ინგლისური, კომპიუტერული მეცნიერებები და ინჟინერია. ლიუ და ნიუმ (2018) ნათლად წარმოაჩინეს დავალებებზე ორიენტირებული მიდგომების უპირატესობა ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით. ბოლო წლებში, კვლევები

ჩატარადა დავალებებზე ორიენტირებული მიდგომების განხორციელებაზე შებრუნებულ საკლასო ოთახში.

კახმა და მენსორმა (2014) წარმოადგინა დავალებების ინსტრუქცია დამამთავრებელი სტუდენტებისათვის. მათ შესთავაზეს დავალების მომზადება, რომელშიც წარმოდგინილი იქნებოდა შესაბამისი თემა დავალების, დაგეგმილი აქტივობები დავალების შესრულების, დავალების ვალიდურობა, პილოტირება და მონაწილეების ჩართულობა. იანმა (2015) დავალებებზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელში წარმატების მიღწევის ერთ-ერთ გზად მიიჩნია. ლიმ (2017) ამავე მოდელის გამოყენების გზებზე წარმოადგინა მონაცემთა ბაზების პრინციპები თავის კურსში, მაშინ როცა ჰუამ (2019) თავის კვლევაში წარმოაჩინა სწავლების ეფექტურობის გაძლიერება დავალებებზე ორიენტირებული მოდელის საშუალებით შებრუნებული საკლასო ოთახის სწავლებაში. შესაბამისად, სხვადასხვა სწავლებაში წარმოდგენილი დავალებებზე ორიენტირებული სწავლების მიდგომები შებრუნებულ საკლასო ოთახში განკუთვნილია დამამთავრებელი სტუდენტებისთვის დამატებით მასალებზე.

**კონცეპტუალური ჩარჩოს ეფექტურობა სწავლებაში:**  
კონცეპტუალური ჩარჩოს ეფექტურობა სწავლებაში აჩვენებს კარგ შედეგებს სტუდენტების ცოდნაში, რომელსაც ისინი იძენენ სწავლების ბოლო პერიოდში. ბლუმის ტაქსონომიაში (Bloom et al., 1956) აღწერილია სამი ძირითადი საზომი სწავლებაში მიღწევების: კოგნიტური, აფექტური და ფსიქომოტორული (იხ, ცხრილი 1). კოგნიტური საზომი მოითხოვს ცოდნას და გონებრივ უნარ-ჩვევებს. სხვადასხვა კვლევაში კოგნიტური სწავლების შედეგები გაანალიზებულია შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელში. ეფექტური სწავლება მოიცავს მიდგომებს, ემოციებს და გრძნობებს. ბოლო პერიოდში, დიდი ყურადღება დაეთმო აფექტურ საზომებს და მის უკეთესად შესწავლისთვის ჩატარა რამოდენიმე კვლევა, როგორც მეცნიერებაში, აგრეთვე მედიცინაში (Pagatpatan, 2020). ფსიქომოტორული ფაქტორები თავდაპირველად აღწერეს 1964 წელს (Krathwohl et al., 1964) და ის გამოიყენეს მოტორული უნარჩვევების კოორდინაციაში. ბევრი კვლევა ჩატარადა, ბოლო პერიოდში, ფსიქომოტორულ ფაქტორებზე. რამოდენიმე კვლევაში

სწავლების შეფასება მოხდა სხვადასხვა ცვლადების მიხედვით, ამათგან რამოდენიმე შეირჩა ეფექტურობის საზომად კონცეპტუალურ ჩარჩოში. რაჰმატის და საუდის მიხედვით (2008), თითოეული ცვლადი დაყოფილია სამ დონეზე: წარმომადგენლობითი, აღწერითი და შესრულადი. სამივე ცვლადი მიჩნეულია სწავლის შეფასების ფაქტორებად.

## ცხრილი 1.

### ბლუმის ტაქსონომიის მაჩვენებლები

|               |                                              |
|---------------|----------------------------------------------|
| კოგნიტური     | ინტელექტი, ცოდნა და აზროვნება                |
| აფექტური      | გრძნობები, ემოციები და დამოკიდებულებები      |
| ფსიქომოტორული | შერულების ტექნიკები და ფიზიკური უნარ-ჩვევები |

### *თამაშით დატვირთული გარემო (PLE)*

ქანგამ (2010) წარმოადგინა თამაშით დატვირთული გარემო, რომელიც არის პედაგოგიური ვალიდური სწავლების გარემო, სადაც ჩართულია შიდა და გარე ფაქტორები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. თამაშით დატვირთული გარემოს მთავარი მახასიათებლებია თანამშრომლობა, თამაში, კრეატიულობა, ნაამბობი, ემოცია, სხეულის ჩართულობა და მედიის სიმდიდრე. სწავლულთაგან PLE წარმოადგენს თამაშით სწავლისადმის დამოკიდებულების შეცვლის ერთ-ერთ გზას. კვლევებში წარმოდგენილია PLE-ის ეფექტურობა, როგორც სკოლებში, აგრეთვე, სხვადასხვა ტიპის სამუშაოებში. სხვადასხვა კვლევა აგრეთვე ადასტურებს PLE-ის საშუალებით სტუდენტების მაღალ ჩართულობას და დამატებით მასალად გამოყენების შესაძლებლობების წარმოჩენას.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა კვლევამ აჩვენა თამაშზე ორიენტირებული სწავლების ეფექტურობა, მოსწავლეებს არ შეუძლიათ ავტომატურად სარგებელი მიიღონ ამ მეთოდით. ჯონსონმა (2004) წარმოადგინა თამაშის განვითარების სხვადასხვა



ეტაპები სწავლების პროფესში და დაადასტურა მისი როგორც დადებითი, აგრეთვე უარყოფითი მხარეები. თამაში შეიძლება ფსიქოლოგიურად დამღლელი აღმოჩნდეს მსწავლელთათვის, ან სასწავლო გარემოსათვის. შედეგად, მნიშვნელოვანია წინასწარ თამაშის ზუსტი წესების დაგენა ამ მოდელში.

ასევე აღსანიშნავია, რომ ძალზედ მნიშვნელოვანია თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური თავისებურებების/შესაღებლობების ცოდნა და მხოლოდ ამის საფუძველზე სასწავლო პროცესის დაგეგმვა/აგება.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

Akçaylır, G., and Akçaylır, M. (2018). The flipped classroom: a review of its advantages and challenges. *Comput. Educ.* 126, 334–345. doi: 10.1016/j.compedu.2018.07.021

Anderson, T., and Shattuck, J. (2012). Design-based research: a decade of progress in Education research. *Educ. Res.* 41:1625.

Bagozzi, R. P., and Yi, Y. (1988). On the evaluation of structural equation models. *J. Acad. Mark. Sci.* 14, 33–46. doi: 10.1007/bf02723327

Baker, J. W. (2000). “The “classroom flip”: using web course management tools to become a guide by the side,” in *International Conference on College Teaching and Learning (ICTCS 2000)*,

*თამარ წარიმანიშვილი  
აგრონომიის დოქტორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე*

## **მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ფაქტორების კვლევა STEM-ის სწავლებისას**

### **მოკლე შინაარსი**

STEM-ის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს მოსწავლეს გაუჩნდეს ინტერესი ცოცხალი სამყაროს შესწავლის მიმართ, შეძლოს ბუნებაში მიმდინარე კანონზომიერებების გაანალიზება, გამოუმუშავდეს კვლევითი უნარ-ჩვევები, ჩამოუყალიბდეს გარე სამყაროს მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება.[1] საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება და შეძენილი უნარები დაეხმარება მოსწავლეს დაეუფლოს თანამედროვე ტექნოლოგიებს, იმსჯელოს კრიტიკულად და შესაბამის სიტუაციაში იმოქმედოს ადეკვატურად. წარმატებული სწავლის შედეგად მოსწავლეს ემატება რწმენა და სიამოვნება მიღწეულის გამო. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლისას, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა დაინახონ STEM, როგორც მეცნიერების ის სფერო, რომლის განვითარება უშუალო გავლენას ახდენს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ყოველდღიურ ცხოვრებაში მოსწავლეებს სისტემატიურად აქვთ შეხება მეცნიერების ისეთ მიღწევებთან, როგორიცაა ელექტროსაქონელი, კოსმეტიკა, მობილური ტელეფონი და სხვა, თუმცა ცოტა თუ ფიქრობს საბუნებისმეტყველო საგნების კავშირზე ამ მიღწევებთან.

მოსწავლეები ამ საგნებს ხშირად უყურებენ როგორც აუცილებელ, სავალდებულო საგნებს სასკოლო პროგრამაში და ამიტომ ნაკლებად პოპულარულია სკოლაში და შესაბამისად, ინტერესს მოკლებული. მოსწავლეები ჩვეულებრივ საგაკვეთილო პროცესში, ვერ ხედავენ კავშირს თეორიას, კვლევებსა და მათ

ტექნოლოგიურ პროცესებს შორის, არ ეცნობიან როგორ იქმნება თანამედროვე მეცნიერება, როგორია მეცნიერის ცხოვრება და რა გავლენას ახდენს მეცნიერების მიღწევები ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. [2] სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ აღინიშნება საბუნებისმეტყველო საგნებისადმი მოსწავლეთა ინტერესის მკვეთრი შემცირება როგორც გოგონებში, ისე ბიჭებში.

ინტერესის შემცირების და მოტივაციის დაქვეითების მიზეზად კი სახელდება ინფორმაციის ნაკლებობა მეცნიერებაში შესაძლო დასაქმების შესახებ, სკოლებში არსებული სასწავლო გარემო და სწავლების არასათანადო მიდგომები. მოსწავლეთა ინტერესებისა და მოტივაციის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არის სახელმძღვანელოში სასწავლო მასალისა და შესასრულებელი დავალებების მოცულობა და სირთულე, მასწავლებლის მიერ ერთფეროვანი გაკვეთილების ჩატარება. წლების განმავლობაში, ბიოლოგიის სწავლება ძირითადად დაფუძნებული იყო თეორიული ცოდნის დამახსოვრებაზე, ნაკლებად ტარდებოდა გაკვეთილები ბუნებაში, პრაქტიკული სამუშაოების და ექსპერიმენტების სიმცირე იწვევდა მოსწავლეებში მოტივაციის, ინტერესის, საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის დაქვეითებას, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენდა მოსწავლეთა ცოდნის დონეზე.

**საკვანძო სიტყვები:** STEM სწავლება, მოტივაციის ამალღების გზები.

***Tamar Narimanishvili***

*Doctor of Agronomy,*

*Samtskhe-Javakheti State University,*

*Georgia, Akhaltsikhe,*

## THE STUDY OF FACTORS IN INCREASING MOTIVATION OF STUDENTS THROUGH STEM TEACHING

### Abstract

STEM teaching-learning is directed to make the pupils interested in studying of the world of reality, to be able to analyze natural regulations, to develop research skills, to increase a caring attitude the world around. The teaching of science subjects and acquired skills with assistance the pupils to learn modern technologies, to think critically and to act relevantly of the surroundings. As a result , the pupil gains confidence and increase pleasure due to successful learning and from what was achieved. In the learning process of natural sciences, it is important for students to see STEM as a area of science, of which development has impacted on their daily routines. In our daily live, pupils systematically keep in touch with the advancements of science, such as electronic goods, cosmetics, mobile phones and others, nevertheless few of them consider that these achievements are related with science subjects.

Pupils often assume these subjects as necessary, mandatory subjects in the school curriculum and thus it is less popular in school and as well as lacking in interest. In the regular course, pupils do not realize the connection between theory, research and their technological processes, they do not react how modern science is created, what the life of a scientist is like and what influence scientific achievements have had on people's everyday life. Studies conducted by different organizations have illustrated that there is a sharp decrease in pupils' interest in science subjects, for both girls and boys.

The basic reasons of lack of information about accessible employment in science, the existing learning environment at schools, and inappropriate teaching approaches are decreasing interest and motivation. One of the major factors determining the interests and motivation of the pupils is the volume and complexity of the teaching material and tasks to be performed in the textbook, and the monotonous lessons conducted by teacher. Over the years, biology teaching was based on memorizing theoretical knowledge, there were few lessons in real nature, the lack of practical work and experiments have led to a decrease

in pupils' motivation, interest, and involvement in the learning process, which directly affected the level of pupils' knowledge.

**Key words:** STEM teaching, the ways to increase motivation.

STEM-ის სწავლა-სწავლებაში პრობლემის იდენტიფიცირებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა კვლევა ქ.ახალციხის #1 საჯარო სკოლაში - მე-9,10 კლასებში.


სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის დასადგენად გამოიკითხა IX,X კლასის მოსწავლეები-100 მოსწავლე, თანაბრად ბიჭები და გოგონები.

#### კითხვარი 1.

1. არის თუ არა ჩართული საგაკვეთილო პროცესში;
2. ჩართულია მხოლოდ პასუხისმგებლობის გამო ;
3. გაკვეთილი არ არის უინტერესო და არ არის ჩართული

საგაკვეთილო პროცესში.

**მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები:**



გამოკითხული მოსწავლეთა 60 % ჩართულია საგაკვეთილო პროცესში, მაგრამ აქედან 35% მხოლოდ მოვალეობის ან პასუხისმგებლობის გამო, ხოლო 40% მოსწავლეების თვლის, რომ მათთვის გაკვეთილები არის უინტერესო და არ არიან, ან ნაკლებად არიან ჩართული საგაკვეთილო პროცესში.

**საკითხის აქტუალობა:** STEM მიმართულებით სწავლების პრობლემა წლების განმავლობაში შეიმჩნევა, მისი მოგვარება ვერ ხერხდება რიგი ფაქტორების გამო, მოსწავლეებს არ გააჩნიათ საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლის მიმართ არც შინაგანი და არც გარეგანი მოტივაცია, რადგან უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად მოსწავლეთა ძალიან მცირე რაოდენობა ირჩევს STEM ის საგნებს ჩასაბარებლად.

**კვლევის მიზანს** წარმოადგენდა STEM საგნების სწავლებისას მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის გამომწვევი მიზეზების დადგენა, გზების და საშუალებების ძიება ამ მიმართულების საგნებისადმი ინტერესის და მოტივაციის გაზრდის, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გააუმჯობესების მიზნით.

კვლევის დაგეგმვის და განხორციელების დროს მნიშვნელოვანი იყო პრობლემის იდენტიფიცირება, მისი გამომწვევი სავარაუდო მიზეზების დადგენა.

**კვლევის მეთოდები:** კვლევისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები.

შერჩეული მეთოდების შესაბამისად:

- მოსწავლეთა დამოკიდებულებების კვლევა პრე- და პოსტინტერვიუს მეთოდით;
- მოსწავლეთა მოტივაციისა და თანამშრომლობის სურვილის კვლევა ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით.

გამოკითხვა ჩატარდა ოთხ კლასში, ორი მეცხრე და ორი მეთექვსმეტე. სულ გამოკითხა 100 მოსწავლე. აქედან, ვაჟები და გოგონები თანაბარი რაოდენობით.

**გამოკითხული 100 მოსწავლიდან პრეკითხვარის შედეგები შემდეგია:**

1. STEM მიმართულებით გაკვეთილი არის სასიამოვნო, თვლის გამოკითხულთა მხოლოდ 35% .  
50% -ისთვის არ არის სასიამოვნო, ხოლო 15% -ისთვის არის ძალიან სასიამოვნო.
2. გამოკითხულთა მხოლოდ 20% გრძნობს თავს ძალიან კარგად, 40% საშუალოდ, 40% ძალიან ცუდად.

3. გაკვეთილზე მოწოდებული მასალა არაა გასაგები 20%-ისტვის, ყოველთვის გასაგებია 15%, 65% -ისტვის მასალა და საერთოდ გაკვეთილი უინტერესოა.

4. გაკვეთილზე დასმულ შეკითხვებსა და დავალებებზე დასაფიქრებლად არა აქვს საკმარისი დრო- 15%, ყოველთვის აქვს საკმარისი დრო - 60%, 25% -ყოველთვის არა აქვს საკმარისი დრო.

5. გაკვეთილზე არასდროს შეისწავლება სასიცოცხლო პროცესები - 20%, ყოველთვის შეისწავლება - 60%, 20% -ს უჭირს პასუხის გაცემა.

6.. 45% თვლის, რომ გაკვეთილზე განხილული თემები გამოსადეგია, 30% -აბსოლუტურად უმნიშვნელო, 25%-ისტვის საერთოდ არ არის საინტერესო.

7. მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა შემოთავაზებებს ზედმიწევნით -15%, ხანდახან 45%, 40% -საერთოდ არა;


9. გაკვეთილზე შესაძლებელია მასწავლებელს ნებისმიერ დროს დავუსვან შეკითხვა 60%, არასდროს აქვთ კითხვის დასმის საშუალება 40%.

10. გაკვეთილზე მოსწავლე ცდილობს ხშირად ჩართვას - 35%, 20% არ ცდილობს, 45% ხანდახან.

11. იგებს ბევრს - საბუნებისმეტყველო სფეროში მოღვაწე მეცნიერთა სამუშაოების შესახებ -10%, 50%- ვერ იგებს, 40 % არ აინტერესებს;

12. მასწავლებელი გაკვეთილზე იხარჯება ბოლომდე - 30% კი, 70% -არა.

გამოკითხვისას მოსწავლეთა მიერ გაცემული ძირითადი პასუხების შედეგად მიღებული სურათი:



### პრეკითხვარი

გაკვეთილი 15% სასიამოვნო

აქტიურად არის ჩართული 25%

გაკვეთილი არ არის საინტერესო-65%

### პოსტკითხვარი

100% სასიამოვნო

85% ჩართული აქტიურად

90% - საინტერესოა


**კვლევის მიმდინარეობა - ვადები:** კვლევა მიმდინარეობდა იანვრიდან მაისის ჩათვლით. კვლევის დასაწყისში, საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ შემუშავდა კვლევის გეგმა და შესაბამისი აქტივობები, რომელიც მნიშვნელოვანია კვლევის წარმართვაში. შეიქმნა კვლევის ჯგუფი. ჯგუფის წევრები იყვნენ ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის მასწავლებლები და მეცხრე და მეთათე კლასის ორ-ორი მოსწავლე. პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით შედგა კითხვარი . ფოკუს ჯგუფისთვის (მეცხრე-მეთათე კლასის მოსწავლეები)პრე და პოსტ - ინტერვიუს მეთოდით კითხვარი. გამოკითხვის შემდეგ განხორციელდა მიღებული შედეგების ანალიზი.



| აქტივობა                                     | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი |
|----------------------------------------------|---------|-----------|-------|--------|-------|
| პრობლემის<br>იდენტიფიცირება                  |         | •         |       |        |       |
| კვლევის<br>სავარაუდო<br>გეგმის<br>შემუშავება | •       |           |       |        |       |
| კვლევის ჯგუფის<br>შექმნა                     |         | •         |       |        |       |
| კვლევის ჯგუფის<br>წევრთა შეხვედრა            |         | •         |       |        |       |
| კითხვარის<br>შედგენა                         |         | •         |       |        |       |
| ფოკუს -ჯგუფი                                 |         |           | •     |        |       |
| გამოკითხვა                                   |         |           | •     |        |       |
| მიღებული<br>შედეგების<br>ანალიზი             |         |           |       | •      |       |
| სავარაუდო<br>ინტერვენციების<br>განხილვა      |         |           |       | •      |       |
| ინტერვენციის<br>განხორციელება                |         |           |       | •      | •     |
| ინტერვენციის<br>შედეგების<br>ანალიზი         |         |           |       |        | •     |

|                                                  |  |  |  |  |   |
|--------------------------------------------------|--|--|--|--|---|
| კვლევის<br>ანგარიშის<br>მომზადება და<br>წარდგენა |  |  |  |  | • |
|--------------------------------------------------|--|--|--|--|---|

**მონაცემთა ანალიზი:** კვლევის ანალიზმა და მონაცემთა შეგროვებამ აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არის კარგად აღჭურვილი ლაბორატორია, გაკვეთილებზე მოსწავლეებში კვლევითი უნარების განვითარებასა და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება ხშირად ვერ ხერხდება, რაც გამოწვეული სხვადასხვა ფაქტორებით, კერძოდ: კლასებში მოსწავლეთა დიდი რაოდენობით, მოსწავლეთა დიდ ნაწილს უჭირს დამოუკიდებლად დავალების შესრულება, გაკვეთილზე დროის მეტი ნაწილი მიაქვს დავალების ანალიზს. ფოკუსირებულმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ პრაქტიკულ დავალებებში უფრო აქტიურად არიან ჩართული ის მოსწავლეები, რომლებიც თეორიულ მასალას კარგად ფლობენ, ხოლო დაბალი აკადემიური მოსწავლის მოსწავლეები ძნელად გეგულობენ ტერმინებს, ძირითად ცნებებს და კანონებს, უჭირთ ამოცანების ამოხსნა, ამიტომ თავს არიდებენ როგორც საშინაო დავალების შესრულებას, ასევე ნაკლებად არიან ჩართული საგაკვეთილო პროცესში. ანკეტირებამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა დიდ ნაწილს საჭიროდ არ მიაჩნია ამ მიმართულების საგნების შესწავლა, რადგან თვლიან, რომ არ სჭირდებათ ამ საგნების ცოდნა მომავალში. გაკვეთილებს ესწრებიან და სწავლობენ უფრო მოვალეობის მოხდის მიზნით და არანაირი მოტივაცია არ გააჩნიათ, მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა 70% მიუთითებს, რომ მასწავლებელი ზრუნავს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე; თვლიან, რომ მასწავლებელს აქვს პოზიტიური დამოკიდებულება მოსწავლეებთან 70%; საგნის პროგრამა მისაღებია მხოლოდ 43%-ისთვის; გაკვეთილი ტარდება მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებით-38%; მოსწავლეთა 30% აღნიშნავს, რომ სხვა საგნები უფრო აინტერესებთ და არ თვლიან საჭიროდ ამ საგნების სწავლას, რადგან 40%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ ამ საგნების გამოყენება მომავალში დასაქმების კუთხით არ არის პერსპექტიული.



**ინტერვენციები:** პრე-კითხვარის ანალიზის შემდეგ ფოკუს ჯგუფისთვის შეირჩა ერთი მეცხრე და ერთი მეათე კლასი.


აღნიშნულ კლასებში გაკვეთილებზე ძირითადად გამოყენებულია კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, ტარდებოდა პრაქტიკული სამუშაოები და ექსპერიმენტები დიდი ინტენსივობით.

შემდეგ ჩატარდა პოსტ კითხვარის საშუალებით იგივე კლასებში გამოკითხვა.

ანალიზმა აჩვენა, რომ ორ კლასში, სადაც ტარდებოდა პრაქტიკული სამუშაოები, ექსპერიმენტები, მოსწავლეებში ინტერესი და მოტივაცია საგრძნობლად გაიზარდა, ხოლო სხვა კლასებში შედეგები იგივე იყო, მოსწავლეთა ნაკლები ინტერესი და დაბალი მოტივაცია.

ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ ორ კლასში, სადაც ტარდებოდა პრაქტიკული სამუშაოები, ექსპერიმენტები ინტერესი და მოტივაცია საგრძნობლად გაიზარდა, მოსწავლეთა თითქმის 85% აქტიურად იყო ჩართული საგაკვეთილო პროცესში, ხოლო სხვა კლასებში პოსტ კითხვარის შედეგები იგივე იყო, ნაკლები ინტერესი და დაბალი მოტივაცია. არ ტარდებოდა

ექსპერიმენტები, მხოლოდ- 15% იყო ჩართული საგაკვეთილო პროცესში.



**კვლევის მიგნებები:** მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება

- გაკვეთილებზე პრაქტიკული სამუშაოების და ექსპერიმენტები იშვიათად ტარდებოდა.
- გაკვეთილზე მეტი დრო ეთმობოდა თეორიული ცოდნის მიღებას და მის შემოწმებას
- მოსწავლეებს ეძლეოდათ დიდი მოცულობის საშინაო დავალებები, რაც აქვეითებდა მათ მოტივაციას.

ჩატარებული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ STEM მიმართულებით მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის გამომწვევი მიზეზი არის ის, რომ გაკვეთილებზე ნაკლებად გამოიყენება ლაბორატორიული სამუშაოებს, ექსპერიმენტები, უინტერესო და დიდი მოცულობის დავალებები.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის შედეგების გაზიარება კოლეგებისთვის, დაეხმარება მათ საკუთარ პედაგოგიურ საქმიანობაში და მეტ სტიმულს მისცემს წარმართონ საკუთარი პედაგოგიური კვლევებიც პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის. ასევე

დაეხმარება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნასა და მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდაში, საბუნებისმეტყველო საგნებისადმი დაინტერესებაში და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების დანერგვაში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისი, 2023.

რუსუდან თედორაძე ჟურნალი მასწავლებელი 2015წ.დეკემბერი, ბუნებრივად საინტერესო გაკვეთილი.თბილისი 2009.

თ.ზურაბიშვილი „ თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006.

*ორმა აბესაძე  
დოქტორანტი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე,*

**რელიგიური თემების მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთში  
(XX ს. 40-60 იანი წლები)**

**მოკლე შინაარსი**

საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა გულისხმობდა შეურიგებელ ბრძოლას ზოგადად რელიგიის წინააღმდეგ მეცნიერულ ათეიზმზე დაყრდნობით, რასაც თან ერთვოდა პარტიული ლიდერებისა და კომუნიზმისადმი რწმენის ქადაგება. XX ს-ის 40-იან წლებში სტალინის მმართველობის დროს რელიგიურ კონფესიებთან დაპირისპირება შეიცვალა მათთვის „დათბობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის“ შეთავაზებით.

კვლევის მიზანს წარმოადგენს XX ს-ის 40-60-იანი წლებში მომხდარი ცვლილებების შესწავლა და დადგენა, თუ რა გავლენას ახდენდა ეს ცვლილებები სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ რელიგიურ თემებზე. აღნიშნული პერიოდში საბჭოთა ხელისუფლება შეეცადა, მოეგვარებინა ურთიერთობა როგორც მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, ასევე სხვა რელიგიის მიმდევრებთან, თუმცა შეინარჩუნა მათ მიმართ არარერთგვაროვანი დამოკიდებულება. ეს ნათლად ჩანს სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები რელიგიური ჯგუფების მაგალითზე. სტატიაში ნაჩვენებია სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ებრაელების, დუხობორების, სომხური სამოციქულო ეკლესიის, ასევე კათოლიკური ეკლესიისა და სხვა რელიგიის მიმდევართა მიმართ არსებული განსხვავებული მიდგომები, გაანალიზებულია მიზეზები და შესაძლო შედეგები.

სტატიაში წარმოდგენილი ფაქტების, საარქივო მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ცვალებადი

პოლიტიკა და განსხვავებული დამოკიდებულება რელიგიური კონფესიების მიმართ აფერხებდა მათ ინტეგრაციას, თანასწორობის განცდას და ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების პირობებში სამცხე-ჯავახეთის რთულ სასაზღვრო რეგიონში ქმნიდა კონფლიქტების წარმოქმნის საფუძველს.

**საკვანძო სიტყვები:** სამცხე-ჯავახეთი, რელიგიური პოლიტიკა, რელიგიური კონფესიები.

*Irma Abesadze*

*PhD student,*

*Samtskhe-Javakheti State University,*

*Georgia, Akhaltsikhe,*

### **Reality of Religious Groups in Samtskhe-Javakheti (1940-60 s)**

#### **Abstract**

Religious policy in the Soviet Union meant constant battling against any kind of religion in the state. Government used atheism as well as party members and other high ranking officials to spread their ideas more thoroughly. Stalin, during the 40s changed this approach and tried to be more lenient toward various religious groups.

The following paper tries to gain deeper understanding of the effects of above mentioned leniency on Samtskhe-Javakheti's religious identities. During the period Soviet government tried to fix their relationship with orthodox church and other religious groups, but also tried to be indifferent toward them. This relationship can be well observed on the example of Samtskhe-Javakheti region.

Main finding of the paper is that Soviet union's idea of having different relationships toward different religious groups heavily slowed down integration of different ethnic groups. Policy also caused even more conflicts in already difficult region.

**Key Words:** Samtskhe-Javakheti, Religious Policy, Religious Groups.

**შესავალი.** რელიგია ყოველთვის უდიდეს როლს ასრულებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამიტომ ყველა ხელისუფლება ცდილობდა რელიგიური ელიტის დამორჩილებას ან მოკავშირედ გახდომას. რელიგიური კუთვნილება ასევე ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა ეროვნული თვითშეგნებისა და თვითმყოფადობის დამკვიდრებაში, განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობებისთვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება რწმენის საკითხებთან და რელიგიური კონფესიების მიმართ იცვლებოდა ხელისუფლების სათავეში მყოფი ლიდერების პოლიტიკური კონიუნქტურის მიხედვით. XX ს-ის 20-30-იანი წლების რადიკალური დაპირისპირება 30-იანი წლების ბოლოდან შეიცვალა სტალინის ე.წ. „დათბობის პოლიტიკით“ რელიგიური თემების, განსაკუთრებით მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ. XX ს-ის 50-60 -იანი წლებიდან კი კვლავ იმძლავრა ათეისტურმა პროპაგანდამ და შეტევამ რწმენასა და რელიგიაზე.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა, XX ს-ის 40-60-იანი წლების საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის ძირითადი ასპექტების შესწავლა და მათი გავლენის დადგენა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებზე.

წინამდებარე სტატიაში, საარქივო მასალებზე დაყრდნობით, განხილულია და გაანალიზებულია სხვადასხვა რელიგიური კონფესიების, მათ შორის სომხური სამოციქულო ეკლესიის, კათოლიკეების, ებრაელთა და სხვ. რელიგიის მიმდევართა მდგომარეობა, ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული მუდმივი კონტროლისა და ცვალებადი რელიგიური პოლიტიკის პირობებში.

**მეთოდი.** კვლევა ძირითადად ეყრდნობა შედარებით-ისტორიულ მეთოდს, რომლის მეშვეობით მოხდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული რელიგიური პოლიტიკის შედარება სხვადასხვა პოლიტიკურ ლიდერთა მმართველობის დროს და გაანალიზებულ იქნა, თუ რა გავლენას ახდენდა ცვლილებები სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები რელიგიური თემების მდგომარეობაზე; რელიგიური კონფესიების მიმართ არსებული



განსხვავებული მიდგომების ახსნისთვის და შესაბამისი დასკვნების გამოტანისთვის გამოყენებულ იქნა მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის მეთოდი; აღწერილობითი მეთოდის საშუალებით წარმოდგენილია საარქივო მასალები, ხოლო ინტერვიუსა და ჰიპოთეზის მეთოდის საფუძველზე გამოითქვა რამდენიმე ვარაუდი.

**შედეგები.** კვლევამ აჩვენა, რომ XX ს-ის 40-60-იან წლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში წარმოდგენილი რელიგიური კონფესიებიდან შედარებით მეტი უფლებები ჰქონდა მინიჭებული სომხური სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიას, ასევე სომეხ კათოლიკეებს, ხოლო ებრაელები, დუხობორები, ქართველი კათოლიკეები და სხვა რელიგიური ჯგუფები განიცდიდნენ დევნასა და შევიწროებას.

ვფიქრობთ, საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა შერჩევითი ეროვნული პოლიტიკის ფონზე ქმნიდა დამატებით საფუძველს მულტიეთნიკურ რეგიონში ეთნო-რელიგიური კონფლიქტების წარმოქმნისთვის.

**მსჯელობა.** საბჭოთა ხელისუფლებამ იდეოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე და საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით თავის არსებობის პირველივე წლებიდან დაიწყო აქტიური ბრძოლა რწმენისა და რელიგიის წინააღმდეგ. განსაკუთრებული რადიკალიზმითა და ტერორით გამოირჩეოდა XX ს-ის 20-30-იანი წლების დაპირისპირება მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, რომელიც კომუნისტებისთვის ძველი ხელისუფლების, თავად-აზნაურობისა და ინტელიგენციის მთავარ საყრდენად მოიაზრებოდა. „საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებით მძიმე ზეწოლას განიცდიდნენ ეკლესია-მონასტრები, მასიურად იხურებოდა ტაძრები და სახელმწიფოს საკუთრებაში გადადიოდა, მიმდინარეობდა ეკლესიის მსახურთა და მრევლის ურთიერთდაპირისპირება. ტაძრებიდან გამოტანილ იქნა წმინდა ნაწილები და ადგილობრივი მუზეუმების საცავებს გადაეცა, რადგან ისინი, კომუნისტების თვალსაზრისით, რელიგიურ ნაწილებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ კულტურულ-ისტორიულ ნივთებს (ქართველიშვილი, 2022, გვ. 50). ამ შეურიგებელ ბრძოლას თან სდევდა მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ათეიზმის და უღმერთობის

იდების გაგრძელება და დანერგვა.

რამდენადმე განსხვავებულ სახეს ატარებდა XX ს-ის 30-იანი წლების ბოლოდან სტალინის მმართველობის პერიოდში დაწყებული ახალი რელიგიური პოლიტიკა. „სტალინის ხელისუფლებაში მოსვლიდან ფაქტობრივად მოხდა მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიული ფუნქციის გააზრება და მისი საბჭოთა სისტემის დამკვიდრებისათვის გამოყენება (პავლიაშვილი, 2008, გვ. 397). აღნიშნულმა რელიგიურმა პოლიტიკამ უფრო გამოკვეთილი სახე მიიღო „დიდი სამამულო ომის“ წლებში (1941-1945). საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ეკლესიის და ზოგადად რელიგიური კულტების ავტორიტეტი და გავლენა საკუთარ სამსახურში ჩაეყენებინა და მიემართა მოსახლეობაში ხელისუფლებისადმი ნდობის გაზრდისკენ, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ომის პირობებში. შედეგად, „40-იანი წლების საბჭოთა რელიგიურ პოლიტიკაში ეკლესია - სახელმწიფოს დამოკიდებულება ურთიერთდაპირისპირებიდან კომპრომისში გადაიზარდა და ეკლესიის სახელმწიფოსადმი სრული დამოკიდებულებით დასრულდა“ (ქართველიშვილი, 2022, გვ. 45). სტალინის მმართველობის პერიოდში „საბჭოთა ხელისუფლების უპირველესი ამოცანა იყო საბჭოური ავტორიტარული სისტემის შექმნა, რომელსაც ეკლესია ხელს კი არ შეუშლიდა, არამედ, პირიქით, მისი იდეოლოგიის დამცველ-გამტარებელი იქნებოდა საბჭოთა საზოგადოებაში“ (ქართველიშვილი, 2022, გვ. 54).

სახელმწიფომ ეკლესიაზე კონტროლის უკეთ განხორციელების მიზნით 1943 წელს შექმნა ახალი ორგანო – სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭო. საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა გ. კარპოვი (ქართველიშვილი, 2022, გვ. 89). საქართველოში აღნიშნულ ორგანოს ჰყავდა საკუთარი რწმუნებული, რომელსაც უშუალოდ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეების მართვა ევალებოდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის დასასრულისათვის რუსეთის საეკლესიო საქმეთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. კარპოვმა იოსებ სტალინის უშუალო მითითებით შეიმუშავა საბჭოური საეკლესიო გლობალიზაციის

პროექტი. გეგმა ითვალისწინებდა საბჭოთა ეკლესიის იერარქთა მივლინებას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკლესიებში (ბელგრადი, სოფია, ბუქარესტი) ეკლესიათა „დიდი დაახლოების“ მიზნით. (პავლიაშვილი, 2008, გვ. 401).

რელიგიურ პოლიტიკაში ე.წ. „დათბობის ხანა“ გაგრძელდა ომის შემდგომ პერიოდშიც. ეს პროცესი, როგორც როგავა აღნიშნავს: „ერთის მხრივ, გამოწვეული იყო ომის შედეგად წარმოშობილი მძიმე მატერიალური და სულიერი ვითარებით (გაპარტახებული სახალხო მეურნეობა, მოუსავლიანი წლები, ახლო ნათესავების დაკარგვით გამოწვეული მწუხარება) ხოლო მეორეს მხრივ, ამ ომის დროს სამღვდელოების მიერ გამოჩენილი არა მარტო ლოიალური დამოკიდებულებით საბჭოთა ხელისუფლებისადმი, არამედ იმ პატრიოტიზმით, რომელიც მან სამშობლოს მიმართ გამოავლინა. 1946 წლიდან საქართველოს ეკლესიის შესვეურები უფრო გაბედულად ცდილობდნენ ადრე დახურული ეკლესიების თანდათანობით გახსნას. საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს არაერთხელ მიუმართავს ამის შესახებ რესპუბლიკის მთავრობისათვის. ეკლესიების დაცვის მიზნით, იგი დიდი მონდომებით ცდილობდა დაერწმუნებინა ხელისუფლება, რომ თითქოსდა ქრისტიანული რელიგია და ეკლესია კი არ უპირისპირდება სოციალიზმისა და კომუნიზმის პრინციპებს, არამედ, მასთან სრულ თანხმობაშია.“ (როგავა, 2002, გვ. 437).

მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ურთიერთობის ნორმალიზებასთან ერთად სახელმწიფოს სჭირდებოდა სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობების დარეგულირება. ამ მიზნით 1944 წელს შეიქმნა რელიგიური კულტების საქმეთა საბჭო (ქართველიშვილი, 2022, გვ. 91). საბჭოს მიზანს წარმოადგენდა „სტალინური რელიგიური პოლიტიკის“ გატარების ფარგლებში დაემყარებინა სრული კონტროლი სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებებზე. საქართველოში საბჭოს საქმიანობას წარმართავდა „რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ-ის რწმუნებული“.

რწმუნებულის აპარატი გასცემდა „კულტის მსახურის“ („служитель культа“) სარეგისტრაციო ცნობას, რის გარეშეც სასულიერო პირი ვერ შეძლებდა საქმიანობას; ასევე განიხილავდა

და წყვეტდა ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების გახსნის საკითხებს მორწმუნეთა ხელმოწერილი თხოვნების წარდგენის საფუძველზე. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცული მასალებიდან ჩანს, რომ 1946-52 წლებში რწმუნებულის თანამდებობა ეკავა ქურიძეს, ხოლო 1952-1965 წლებში - შალუტაშვილს. საარქივო მასალების შესწავლისას (საქმისწარმოება ძირითადად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა) ასევე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც ქვემოთ შევხებით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, გახლავთ ის ფაქტი, რომ ომის შემდგომ საქართველოში მოქმედი რელიგიური გაერთიანებებიდან განსაკუთრებულ და პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა სომხური სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია. მართალია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში მრავალი სომხური ეკლესია მოიშალა და განადგურდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1947 წლის მონაცემებით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საკმაოდ მრავლად იყო როგორც სომხური სამოციქულო ეკლესიის, ისე კათოლიკური ეკლესიის კუთვნილი მოქმედი სომხური ეკლესიები. მაგ. „სუფლისის“ (სხვილისის) ეკლესია (მღვდელი ტერ აკოპიანი), რომლის შეკეთებაც მოხდა ამ პერიოდში; ახალციხის სომხური ეკლესია (მღვდელი ხლუსტიანი); ახალქალაქის სომხური ეკლესია (მღვდელი ხორშიკიანი) და სხვ. (სუიცა, საქმე 12: 3-5, ჩანაწერი 32). ახალციხეში არსებობდა სომხურ-გრიგორიანული კათედრალური ტაძარიც, რომელიც 1836 წელს აიგო (466 მ2), მაგრამ უკვე გაუქმებული, 1940 წლიდან გამოიყენებოდა სამხედრო გარნიზონის კლუბად. 1952 წელს ქალაქის კეთილმოწყობის მიზნით გადაწყდა ტაძრის ადგილზე თეატრის მშენებლობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რწმუნებული შალუტაშვილი წერილით მიმართავს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს კეცხოველს და სთხოვს ნებართვას. შალუტაშვილის აზრით, ამ ეკლესიის აღება არ შელახავდა მორწმუნეთა ინტერესებს (აქ, ჩვენი აზრით, იგულისხმება მათი ეროვნული გრძნობებიც), რადგან ახალციხეში იყო მოქმედი გრიგორიანული ტაძარიც, სადაც იკრიბებოდნენ მორწმუნეები (სუიცა, საქმე 25, გვ. 1-2).

სომხური ეკლესია ასევე ფუნქციონირებდა აბასთუმანში, თუმცა, იმ საბაბით, რომ შენობას არ უვლიდნენ და შეიძლებოდა, დანგრეულიყო, გადაწყდა მისი გადაცემა აბასთუმნის კურორტვაჭრობისთვის. არქივში დაცულია ამონაწერი საბჭოთა კავშირის რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს სხდომის ოქმიდან (1948.10.02.), რომელიც ეგზავნება საქართველოს რწმუნებულს ქურდიეს: „Заклучение Совета Министров Груз. ССР от 19.12.1947 г. о передаче здания бывш. армянской церкви в г. Абастумани Грузинскому Курортторгу для приспособления под торговое помещение (სუიცა, საქმე 8:2). ასევე დაცულია 1958 წლის 26.03.-ით დათარიღებული წერილი, რომელსაც სომხური საეპარქიო საბჭო უგზავნის რწმუნებულს (წერილს ხელს აწერს ეპისკოპოსი კომიტასი). წერილში აღნიშნულია, რომ აბასთუმნის სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილებით აპირებენ სომხური ეკლესიის აღებას. ამასთან დაკავშირებით, აბასთუმნის სომხურმა თემმა შეაგროვა ხელმოწერები და მიმართა სომხურ ეპარქიას დახმარებისთვის - ითხოვდნენ საკითხის დადებითად გადაწყვეტას (სუიცა, საქმე 25, გვ. 33).

მრავლად იყო ეკლესიები ახალქალაქის რაიონის სოფლებშიც (სოფ. ტურცხა, კარტიკამი, ბავრა, ხულგუმო, ბურნამეტი). ეს ეკლესიები, მართალია, არ იყო მოქმედი, მაგრამ იყო ადგილობრივი სომეხი მორწმუნეების, ძირითადად, კათოლიკე სომხების ხელში. ბავრასა და ტურცხაში გარკვეული თანხასაც აგროვებდნენ ეკლესიების საჭიროებისათვის, ასვენებდნენ მიცვალებულებს, ნათლავდნენ ბავშვებს. სწორედ ამის გამო, ახალქალაქის პარტიულ ბიუროზე საგანგებოდ მიიღეს დადგენილება, რომ აღნიშნულ სოფლებში რელიგიური დღესასწაულების დროს მოწყობილიყო სხვადასხვა სახის „კულტურული ღონისძიებები“ (შსსა, საქმე 13, ოქმი #23, გვ. 106).

სომხური ეკლესიის მაღალ რელიგიური იმუნიტეტს ადასტურებს ერთი ფაქტიც. საკავშირო პრესის ფურცლებზე (გაზეთები „პრავდა“ და „ზარია ვასტოკა“) გამოქვეყნდა მასალები წყალთბილის სასკოლო პირველადი ორგანიზაციის მდივნის აკოფიანის შესახებ, რომელსაც ბაბუა მამის მხრიდან ჰყავდა მღვდელი - ტერ აკოფიანი და ასევე დედის მხრიდანაც - ხაჩატურიანი. მიუხედავად ამისა, მუშაობდა პარტორგანიზაციის

მდივანად, რაც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში წარმოდგენილი გახლდათ. აკოფიანი მხოლოდ ფაქტის გახმაურების შემდეგ გათავისუფლდა პარტორგანიზაციის მდივანობიდან (შსსა, საქმე 8, ოქმი #53, გვ. 324).

საარქივო მასალებიდან გამოიკვეთა რელიგიური პროზელიტიზმის რამდენიმე მაგალითი. კერძოდ, თუ როგორ ცდილობდნენ სომხური სამოციქულო ეკლესიის ცალკეული წარმომადგენლები თავის სარწმუნოებაზე სხვა ეკლესიათა მრევლის გადაყვანას. 1952 წლის 25. 12. მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეთა რწმუნებული გიგოლაშვილი რელიგიური კულტების საქმეთა რწმუნებულს შალუტაშვილს რეაგირებისათვის უგზავნის კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკის სახელზე შედგენილ ანონიმურ წერილს. წერილში საუბარია სომეხი მღვდლის ტერ-გრიქორის შესახებ, რომელიც ბოლნისში ეწეოდა პროპაგანდას და არწმუნებდა მორწმუნე ქართველებსა და ბერძნებს, გადასულიყვნენ გრიგორიანულ სარწმუნოებაზე. (კათალიკოსმა ამის შესახებ სომხეთის უმაღლეს სასულიერო საბჭოსაც აცნობა). ანონიმური წერილის ავტორის აზრით, ამ პირის დაუსჯელობა არ შეიძლებოდა, რადგან ეს გააღვივებდა მტრობას ქართველებსა და სომეხებს შორის (სუიცა, საქმე 25, გვ. 5).

საქართველოში სომეხი სასულიერო პირების თვითნებობას ხშირად ჰქონდა ადგილი. საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ სომხური საეპარქიო საბჭო სასულიერო პირებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში რწმუნებულთან შეთანხმების გარეშე გზავნიდა (სუიცა, საქმე 25, გვ. 6), რწმუნებული კი ასეთ ფაქტებზე თვალს ხუჭავდა და არ რეაგირებდა. სომხური სამოციქულო ეკლესიის ადგილობრივი ეპარქიის ეპისკოპოსი კომიტასი ფლობდა სამოთახიან ბინას საბურთალოზე, ჰყავდა იმ დროისათვის პრესტიჟული ავტომობილი „ვოლგა“. ამისთვის იგი 1958 წლის 04.09. დათარიღებულ ქართულ ენაზე შედგენილ წერილში მადლობას უხდის რწმუნებულ შალუტაშვილს და თან ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი მოქმედებით შალუტაშვილი „ხელს უწყობს“ ქართველთა და სომეხთა ძმობის განმტკიცებას (სუიცა, საქმე 25, გვ. 23).

სომხური სასულიერო თემის შედარებითი

პრივილეგირებული მდგომარეობა, ვფიქრობთ, წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის გაგრძელებას, როდესაც ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის საბაზით ილახებოდა ეთნიკური უმრავლესობის ანუ ქართული მოსახლეობის ინტერესები. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები მათთვის მიანიჭებული ფართო უფლებებს ხშირად იყენებდნენ საკუთარი პროფესიული, პარტიული თუ მატერიალური კეთილდღეობის განმტკიცებისთვის. როგორც ცნობილია, 1944 წელს განხორციელებული დიდი მიგრაციული ცვლილებების შედეგად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში უპირატესობა მოიპოვა სომხურმა ეთნიკურმა ელემენტმა, რასაც შესაბამისად მოჰყვა მათი რელიგიური თემის გააქტიურებაც.

შედარებით ცუდ მდგომარეობაში იყო მაღაკნების რელიგიური თემი. მაღაკნების დასახლებები საქართველოში ჩნდება XIX საუკუნის შუახანებიდან. ისინი კომპაქტურად ცხოვრობდნენ თბილისში, მაგრამ ცალკეული დასახლებები ჰქონდათ საქართველოს სხვა კუთხეებშიც. საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ რელიგიურ საქმეთა რწმუნებული შალუტაშვილი ხშირად ერეოდა და აკონტროლებდა მათ რელიგიურ თემს. მაღაკნებს უჭირდათ რელიგიური ლიტერატურის შეძენა და თავისუფლად გადაადგილება საბჭოთა კავშირის ფარგლებში; არ გამოუყვეს ფართი სალოცავისთვის ქუთაისში და ა.შ. უმკაცრესი ცენზურა გაიარა მაღაკნების გაერთიანების თავჯდომარის რემიზოვის სიტყვამ, რომლითაც ის წარსდგა სსრკ-ის მორწმუნეთა კონფერენციაზე 1952 წელს, რის შემდეგაც სიტყვის ძირითადი ნაწილი დაეთმო ხოტბის შესხმას მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსეისა და საბჭოთა ლიდერებისადმი (სულიცა, საქმე 22).

არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დუხობორებიც. როგორც ცნობილია, 1841-1845 წლებში რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ საქართველოში გადმოსახლა 4097 სექტანტი (495 ოჯახი) და ჩაასახლა ჯავახეთის რვა სოფელში. თავდაპირველად დუხობორები მიწათმოქმედებას მისდევდნენ, მაგრამ მოგვიანებით მესაქონლეობასა და ხელოსნობას მოჰკიდეს ხელი. აღმოჩნდნენ რა ჩაკეტილები ჯავახეთის მთებში, იქცნენ მეფურგონეებად, რომელთაც დიდ მანძილზე გადაჰქონდათ

ტვირთი (ლომსაძე, 2011, გვ. 338). საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ აქ მცხოვრებ თურქებს და ქურთებს სოფლების სახელები არ შეუცვლიათ, დუხოზორებმა კი შეცვალეს ან ახალი დაარქვეს (ბერიძე, 1992, გვ. 114). მათი რელიგიური და ადმინისტრაციული ცენტრი - სულიერი წინამძღვრების რეზიდენცია, ასევე ობოლთა და მარტოხელათა თავშესაფარი მდებარეობდა სოფელ გოროლოვკაში. აქვე წყდებოდა მნიშვნელოვანი სამეურნეო საკითხები. მას ხელმძღვანელობდა უხუცესთა საბჭო (იველაშვილი, 2015, გვ. 249).

რელიგიურ საქმეთა რწმუნებულის აპარატი ცდილობდა დუხოზორთა რელიგიური თემის კონტროლს. მაგ. 1950 წლის 29.06. ბოგდანოვკის (ახლანდელი ნინოწმინდის) რაისაბჭომ მოითხოვა მითითებების გაცემა რწმუნებულის აპარატიდან დუხოზორების სამლოცველო სახლის შესახებ (სუიცა, საქმე 12, გვ. 44), მაგრამ სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელი იყო. დუხოზორები ეწეოდნენ ჩაკეტილ, იზოლირებულ ცხოვრებას, თითქმის არ ჰქონდათ კონტაქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან.

სტალინის რელიგიურ თემებთან „ურთიერთობების შედარებითი დათბობა“ არ შეხებია ებრაელებს. მართალია, საბჭოთა ხელისუფლებამ მათ მეტი უფლებები მიანიჭა, მაგ. გაუქმდა სპეციალური დასახლებები, როგორც სხვა უმცირესობებმა მიიღეს თანაბარი უფლებები, ეკავათ სახელმწიფო თანამდებობებიც (ლ. ტროცკი, გ. ზინოვიევი, ლ. კამენევი, ი. სვერდლოვი), მაგრამ ანტისემიტური პოლიტიკა კვლავ დარჩა დღის წესრიგში. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შეწყვეტილი ანტისემიტური პროპაგანდა ახალი ძალით განახლდა 40-იანი წლების მეორე ნახევარში და კიდევ უფრო გაძლიერდა 50-იანი წლების დასაწყისში. ამას ადასტურებს ე.წ. ექიმთა საქმე, რომლის მეშვეობითაც იოსებ სტალინი ებრაელების მასობრივი დევნის წამოწყებას გეგმავდა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს ბრალდება გახდა წყარო იმ პროპაგანდისტული ანტისემიტური კამპანიის, რაც საბჭოთა კავშირში ამ პერიოდში სხვადასხვა გზით განხორციელდა (იაგორაშვილი, 2021).

როგორც ცნობილია, საქართველოში და მათ შორის, სამცხე-ჯავახეთში ებრაელები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. ებრაელთა დასახლებები იყო აბასთუმანში, ადიგენში აწყურში,



ახალქალაქში, ხერთვისში, ბარალებში და სხვ. მოგვიანებით ებრაელთა ძირითადმა ნაწილმა ახალციხეში მოიყარა თავი, სადაც ჰქონდთ სინაგოგები და თავისუფლად ასრულებდნენ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს. აღსანიშნავია, რომ მათ არასოდეს ჰქონიათ დაპირისპირება ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან.

XX ს-ის 40-50 იან წლებში საბჭოთა კავშირში გააქტიურებული ანტისემიტიზმის გავლენა იგრძნობოდა საქართველოშიც. 1948 წელს რაიონული აღმასკომის თავჯდომარეებს მიეთითათ, რომ ებრაულ სინაგოგებში აკრძალულიყო ბავშვების სწავლება და თვალყური ედევნებინათ ამ პროცესისთვის (სუიცა, საქმე 12, გვ. 15, ჩანაწერი 46). დაიწყო ებრაელების შევიწროება, მათთვის ქონებისა და სალოცავი სახლების ჩამორთმევა. (1951 წელს უამრავი საარქივო ჩანაწერია სინაგოგების დახურვის შესახებ.)

ამ დროისთვის ახალციხეში მოქმედებდა 2 სინაგოგა. 1950 წლის 20.10. დახურეს ერთ-ერთი მათგანი, ებრაელთა I შესახვევში # 144-ში მდებარე სინაგოგა, რომელიც აგებული იყო და ფუნქციონირებდა XIX ს-ის 70-იან წლებიდან. იმ საბაბით, რომ თითქოს არ ხდებოდა შენობის რენტისა და საფინანსო დავალიანების გადახდა, მინისტრთა საბჭოს 1951 წლის # 2-10/77 განკარგულებით სინაგოგა ჩამოერთვა ებრაულ თემს და გადაეცა ახალციხის კლუბს (სუიცა, საქმე 23, გვ. 43-46).

1950-1953 წწ.-ში ახალციხელმა ებრაელებმა მრავალჯერ მიმართეს საქართველოსა და საბჭოთა კავშირის უმაღლეს პარტიულ ორგანოებს თხოვნით, დაებრუნებინათ მათთვის სალოცავი სახლი. მითუმეტეს, რომ მასში გახსნილი კლუბი იყო „უმოქმედო და მიტოვებული“, ხოლო რაც შეეხება გადასახადებს, არათუ მანამდე, საფინანსო დავალიანებას სინაგოგის დახურვის შემდეგაც კი იხდიდნენ. (ამ წერილების ავტორია იოსებაშვილი). ერთ-ერთი საჩივრის ბოლოს კი აღნიშნულია: „გვრჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს სსრ-ის ძველი ხელმძღვანელობა ჩარკვიანი და მგელაძე ყველა ეროვნებას არ ექცეოდნენ სათანადოდ სამართლიანად” (სუიცა, საქმე 23, გვ. 43-46) (საჩივარი შედგენილია 1953 წელს ხელისუფლების ორგანოებში მომხდარი ცვლილებების შემდეგ).

ებრაელთა მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა. უფრო მეტიც, 1953 წელს დახურეს თბილისში მცხოვრებ ახალციხელ ებრაელთა

სინაგოგაც, ე.წ. თბილისის დიდი სინაგოგა, რომელიც აგებულ იქნა 1910 წელს ახალციხიდან გადმოსული ებრაელების მიერ (იველაშვილი, 2015, გვ. 19), რის შემდეგაც თბილისში დარჩა სულ 2 სალოცავი სახლი. უარი დასაბუთებული იქნა იმით, რომ ქალაქ ახალციხეში მოქმედებდა კიდევ ერთი სინაგოგა, რაც სრულებით საკმარისი უნდა ყოფილიყო მორწმუნეთა რელიგიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. რაც შეეხება სადავო შენობას, ეს საკითხი შემდეგნაირად გადაწყდა: 1957 წლის 19.08. # 649/1 წერილით ახალციხის რაისაბჭოს აღმასკომის თავჯდომარემ აცნობა რწმუნებულ შალუტაშვილს, რომ „ებრაელთა უბანში მდებარე ებრაელთა დახურული სინაგოგა გადაცემულია კულტურის განყოფილებაზე, ჩატარდა მისი რემონტი და 1 ივლისიდან გაიხსნება კეთილმოწყობილი საქალაქო ბიბლიოთეკა“ (სუიცა, საქმე 30:1).

დღევანდელი მდგომარეობით, ახალციხეში მდებარე ორივე სინაგოგას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს (იხ. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება #3/272). ერთი მათგანი, ე.წ. „ხედა სინაგოგა“ რომელსაც 2012-2013 წლებში ჩაუტარდა აღდგენითი სამუშაოები, მოქმედია. 1902 წელს აგებულ მეორე სინაგოგაში (ე.წ. ქვედა სინაგოგა) განთავსებული იყო სპორტული დარბაზი, რომელიც 2012 წელს გაუქმდა, მაგრამ შენობა საჭიროებს რესტავრაციას (სანებლიძე, 2016, გვ. 8).

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მატერიალიზმისა და ათეიზმის ბატონობის დროს, როდესაც მარქსიზმი, ფაქტობრივად, ფსევდო-რელიგიის ფუნქციას ასრულებდა, საქართველოში ორიოდ მეჩეთი თუ ფუნქციონირებდა. მათ შორის ერთი თბილისში იყო, მეორე - ბათუმში. თუმცა როგორც მკვლევარი ფანჯიკიძე აღნიშნავს, მათ წარმატებით ცვლიდნენ ე.წ. „მოხეტიალე მოღვები“, ასევე საუკუნეების მანძილზე ხალხში დამკვიდრებული და განმტკიცებული ისლამური ყოფა, თავისი ტრადიციებით, დღესასწაულებით, ადათ-წესებით. ფაქტობრივად, ჩუმად და უხმაუროდ ყველგან სრულდებოდა ისლამური რიტუალი. მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობდა რელიგიური წესით, ზოგან კი შარიათის (მუსლიმური სამართალი) ნორმები

ფუნქციონირებდა (ფანჯიკიძე, 2003, გვ. 178). იგივე შეიძლება ითქვას სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრებ მუსლიმებზეც, რომელთა რაოდენობა რელიგიურ კონფესიებში ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო. თუმცა XX საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელებულმა მიგრაციულმა პროცესებმა თვისობრივად შეცვალა რეგიონის რელიგიური სტრუქტურა. 1944 წელს მაჰმადიანური მოსახლეობის გასახლების შემდეგ სამცხე-ჯავახეთში მათი რაოდენობა მინიმუმდე იქნა დაყვანილი. მხოლოდ XX ს-ის 70-80-იან წლებში მოხდა აჭარის მაღალმთიანი სოფლებიდან მოსახლეობის ჩასახლება ადიგენის, ასპინძისა და ახალქალაქის რაიონის სოფლებში. საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ადგილობრივმა მუსლიმებმა დაიწყეს სამლოცველო სახლების გახსნა და რელიგიური რიტუალების შესრულება საჯაროდ. თ. იველაშვილის თქმით, „დღეისთვის ადიგენის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში, კერძოდ: დერცელში, ჭელაში, ნამინაურციხისუბანში, ღორთუბანში და ა. შ. ოფიციალურად სულ შვიდი მოქმედი მეჩეთია“ (იველაშვილი, 2015, გვ. 80).

ეკლესიასთან და სხვა რელიგიურ თემებთან ე.წ. „მშვიდობიანი თანაარსებობის“ პოლიტიკა დასრულდა სტალინის გარდაცვალებისა და ხელისუფლებაში ხრუმშოვის მოსვლის შემდეგ. უკვე 1954 წლის დამლევიდან იწყება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მხრივ კიდევ ერთი შეტევა რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ, მაგრამ არა აშკარა, არამედ დახვეწილი და უფრო „ფაქიზი“ ფორმებით (როგავა, გვ.439). აქცენტი გადატანილ იქნა არა უშუალოდ ბრძოლაზე, არამედ თვითონ რელიგიის არსის უარყოფასა და ათეისტური შეხედულებების დანერგვაზე. ხრუმშოვის დროს მიღებულ იქნა მთელი რიგი დადგენილებებისა, რომელთა მიზანსაც ათეისტური პროპაგანდის გაძლიერება წარმოადგენდა. გააქტიურდა ათეიზმის მეცნიერულად დასაბუთებაც, რასაც მხარს უჭერდა პრესა და განათლების სისტემა. ხრუმშოვის რელიგიური პოლიტიკის მთავარი თავისებურებას ის ფაქტი წარმოადგენდა, რომ უშუალოდ იყო დაკავშირებული დესტალინიზაციასა და სტალინისეული მიღწევების უარყოფასთან. „სწორედ ამიტომ, ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა თავისი წინამორბედის მიერ

„დაშვებული შეცდომების გამოსწორება“ და რელიგიას ახალი ძალით შეუტია” (ქართველიშვილი, 2022, გვ. 124).

ახალი რელიგიური პოლიტიკის განხორციელებისთვის მოსკოვიდან მიღებული ინსტრუქციების საფუძველზე საქართველოში რელიგიურ საქმეთა რწმუნებულები პერიოდულად ატარებდნენ ზონალურ საინსტრუქტორო თათბირებს და დავალებებს ამლევდნენ ადგილობრივი პარტიული ორგანოების წარმომადგენლებს. 1961 წლის 21 აგვისტოს ჩატარებულ ერთ-ერთ ასეთ სხდომაზე მიწვეული ჰყავდათ ახალქალაქის, ახალციხისა და ბორჯომის რაიადმასკომის მდივნები. გააცნეს რა მათ საბჭოთა კანონმდებლობა კულტების შესახებ, მისცეს დავალება, აღერიცხათ ყველა რელიგიური გაერთიანება, ასევე საეკლესიო ნაგებობები და მათი ქონება. აღრიცხვა უნდა ჩატარებულიყო სპეციალური ანკეტის მიხედვით, სადაც ფიქსირდებოდა რელიგიური კულტები, მორწმუნეთა რაოდენობა, საკულტო ნაგებობები და მათი მდგომარეობა, რელიგიის მსახურთა რაოდენობა, იღებდნენ თუ არა ხელფასს, ქონების დაწვრილებითი აღრიცხვა და ა.შ. (სულიცა, საქმე 64, ოქმი #8, გვ. 15,22).

1965 წელს რწმუნებული შალუტაშვილის მიერ სსრკ რწმუნებულის პუზინისადმი გაგზავნილი ანგარიშიდან ჩანს, რომ საქართველოში იმ დროისათვის დარეგისტრირებული ყოფილა 45 რელიგიური გაერთიანება, არარეგისტრირებულთა რაოდენობაც ასევე შეადგენდა 45-ს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოურ სამართლებრივ სივრცეში გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან გაჩნდა ახალი ცნება – არარეგისტრირებული, მაგრამ ფაქტობრივად მოქმედი რელიგიური გაერთიანება. ასე იხსენიებდნენ იმ რელიგიურ თემებს, რომლებიც ხელისუფალთა რეპრესიების მიუხედავად, სისტემატურად აგრძელებდნენ შეკრებასა და რელიგიური რიტუალების აღსრულებას (ბარდაველიძე, გვ.106). ე.წ. არარეგისტრირებულთა შორის იყვნენ:

მალაკნები - 7 გაერთიანება

კათოლიკეები - 5

იუდეველები - 3

„სტაროვერები” - 4

ორმოცდაათიანელები - 6

დუხოზორები - 2

„სუბოტნიკები” - 1

ე.წ. „მშრალი ბაპტისტები” - 1

ქრისტიანულ-აპოსტოლური (ახალსამოციქულო) ეკლესია- 1  
მიურიდები - 3 (სუიცა, საქმე 122, გვ. 6).

ამავე წერილში შალუტაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოში არ აქვს ადგილი მორწმუნეთა მიმართ უკანონობას და ადმინისტრაციულ გადაცდომებს, რასაც ადასტურებს რესპუბლიკის პროკურორიც. მისი თქმით, ასევე არ აქვს ადგილი კანონის დარღვევის არცერთ ფაქტს მორწმუნეთა მხრიდან, გარდა ბაპტისტებისა (სულ 111 კაცი - ე.წ. „რასკოლნიკი ბაპტისტები”), რომლებიც ხშირად იძულებით და ძალადობითაც კი აერთიანებდნენ ადამიანებს თავის რიგებში (სუიცა, საქმე 122, გვ. 2-3).

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი საქართველოში კათოლიციზმის გავრცელების ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და მნიშვნელოვანი კერაა. კათოლიკე მისიონერთა სამცხე-ჯავახეთში ყოფნის შესახებ პირველი ცნობები XVI საუკუნის ბოლოდან მოგვეპოვება. კათოლიკეები ცხოვრობდნენ ადიგენის რაიონის (სოფ. უდე, არალი), ახალციხის რაიონის (ვალე, ივლიტა), ასპინძის რაიონის (სოფ. ხიზაბავრა, ვარგავი) სოფლებში. ქართველი კათოლიკეები, როგორც ცნობილია, გარკვეული შეღავათებით სარგებლობდნენ ოსმლთა ბატონობის პერიოდში. 1757 წელს მათ კონგრეგაციისგან მიიღეს ნებართვა, რომ წირვა-ლოცვა შეესრულებინათ ქართულ ენაზე, მაგრამ იმის გამო, რომ ოსმალები სდევნიდნენ ქართულსაც და ლათინურსაც, წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა სომხურ ენაზე. ამან გამოიწვია ქართველ კათოლიკეთა გასომხების პროცესის დაწყება. „კათოლიკურ მრევლს სომეხი კათოლიკენი ხელმძღვანელობდნენ, რაც ქართველ კათოლიკეთა სრულ დაზნევას იწვევდა. რადგანაც შინ ქართულად ლაპარაკობდნენ, აიძულებდნენ, ელოცათ სომხურად, ადიდებდნენ რომის პაპს და ცხოვრობდნენ თურქული პოლიტიკის ქვეშ” (ჯაფარიძე, 1993, #11). ამ გზით უამრავმა ქართველმა შეძლო ქრიატიანობის შენარჩუნება, მაგრამ დაკარგა ეროვნულობა და გასომხდა. სწორედ ამის გამო, ქართველმა მამულიშვილებმა დაიწყეს კათოლიკური ეკლესიების აგება ინტენსიურად იქ, სადაც ქართველი კათოლიკეები

ცხოვრობდნენ (თბილისი, გორი, ქუთაისი, ბათუმი, ახალციხე, სოფ. ვალე, არალი, ხიზაბავრა, უდე) (იველაშვილი, 2015, გვ. 197).

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში კათოლიკური რელიგია, როგორც სხვა რელიგიები იდევნებოდა. დაიხურა კათოლიკური ტაძრები, ჩამოერთვათ საეკლესიო ქონება, შეწყდა რელიგიური რიტუალები. ბოლშევიკების მიერ კათოლიკეთა დევნას, გარდა იდეოლოგიურისა, ჰქონდა წმინდა პოლიტიკური მიზეზიც. „რუსეთში კათოლიკეთა ძირითადი ბირთვს, პოლონელები და ლიტველები წარმოადგენდნენ, გასაბჭოების შემდგომ კი ორივე ამ ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და საბჭოთა კავშირის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ არამეგობრულ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ“ (ბარდაველიძე, საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ისტორიის ნარკვევები, უახლესი პერიოდი, 2018, გვ. 104). კათოლიკეთა დევნა შეწყდა ომის დროს ე.წ. სტალინური „რელიგიური დათბობის პოლიტიკის“ ფარგლებში, თუმცა იმის გამო, რომ მათი რელიგიური ცენტრი არ მდებარეობდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და ამდენად, საბჭოთა ხელისუფლება ვერ ახერხებდა სრული კონტროლის დამყარებას, კათოლიკური ეკლესია არ მინიჭებია განსაკუთრებული შეღავათები.

ნ. ბარდაველიძის მიხედვით „კათოლიკე მორწმუნე მრევლს, 1985 წლის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე ორი რეგისტრირებული ეკლესია გააჩნდა, მაგრამ სინამდვილეში ფაქტიურად მოქმედი არარეგისტრირებული ეკლესიები, რომლებიც მოსახლეობამ რეპრესიების მიუხედავად შეინარჩუნა, ჩვეულებრივად მოქმედებდნენ და მათში ყოველდღიურად ათეულობით მორწმუნე იკრიბებოდა და ორგანიზებულად ატარებდა ლოცვებს. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სოფლები არალი (ადიგენის რ-ნი), ვალე, ივლიტა, სხვილისი, წყალთბილი, აბათხევი, ნაოხსება, წინუბანი (ახალციხის რ-ნი), ხიზაბავრა, ვარგავი (ასპინძის რ-ნი), ტურცხი, ხულგუმო, კართიკამი (ახალქალაქის რ-ნი), ეშტია (ბოგდანოვკის რ-ნი)“ (ბარდაველიძე, კათოლიკური ეკლესია საქართველოში (მოკლე ქრონოლოგიური ინფორმაცია), 2016).

XX ს-ის 50-60 -იანი წლების მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა - ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ თანდათანობით

შენელდა და 70-იანი წლების დამლევისათვის უკვე ფორმალურ ხასიათს ატარებდა. სამაგიეროდ გაძლიერდა რელიგიისა და ეკლესიის პოზიციები, განსაკუთრებით მ. გორბაჩოვის „პერესტროიკის“ პოლიტიკის (1985) შედეგად (როგავა, 2002, გვ. 443). ამ პერიოდიდან შესაძლებელი გახდა ურთიერთობების მოგვარება ვატიკანთან, თანდათან განახლდა მღვდელმსახურება კათოლიკურ ტაძრებში, მათ შორის სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

დღეისთვის სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობენ მართლმადიდებელი ქრისტიანები, ქართველი კათოლიკეები (ქ. ახალციხე, სოფ. უდე, არალი, ვალე, ხიზაბავრა, ივლიტა და სხვ.), სომეხი კათოლიკეები ან გასომხებული ქართველი კათოლიკეები (ახალქალაქის სოფლები: კულიკუმი, კარტიკამი, ტურცხი, ხულგუმი, ბავრა და სხვ), ქართველი მუსლიმები (ადიგენის რ-ნი, ასპინძის სოფლები: ოთა, ოშორა, რუსთავი, მირშხანი, ახალქალაქის სოფლები: ოკამი, აფნია, აზმანა, ჩუნჩხა და სხვ.), ე.წ. „გრიგორიანელი“ (მონოფიზიტი) სომხები (სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია), ასევე სხვადასხვა რელიგიური სექტისა და კონფესიის მიმდევრები. რამდენიმე სადავო საკითხის მიუხედავად, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გახდა აქტიური და ძირითადად უკავშირდება საკულტო ნაგებობების კუთვნილებასა და ნებართვას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სხვადასხვა რწმენის მიმდევართა შორის სერიოზული დაპირისპირებები თითქმის არ გვხვდება.

**დასკვნები.** საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად ებრძოდა რელიგიას, განსაკუთრებით მართლმადიდებლურ ეკლესიას, იყენებდა რა სასტიკ მეთოდებს. სტალინის მმართველობის გარკვეულ ეტაპზე დაიწყო ე.წ. „დათბობის“ პოლიტიკის გატარება. მოგვარდა ურთიერთობა მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, ასევე შეიქმნა რელიგიური კულტების საქმეთა საბჭო, რომელსაც საქართველოში წარმოადგენდა რწმუნებული. საბჭოს ევალეობა კონტროლის დამყარება რელიგიური კონფესიების საქმიანობაზე.

საარქივო მასალების შესწავლამ აჩვენა, რომ საქართველოში არსებული რელიგიური თემებიდან შედარებით პრივილეგირებული მდგომარეობა ეკავა სომხური სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის სასულიერო პირებსა და მრევლს. მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა რელიგიურ

პროზელიტიზმსა და სასულიერო პირების თვითნებობას.

საბჭოთა ხელისუფლების ანტისემიტური განწყობების გამო შედარებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ებრაელები. სტალინური პერიოდის შეღავათები ნაკლებად გავრცელდა ასევე კათოლიკეებსა და სხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებზე. სამცხე-ჯავახეთში დაიხურა ებრაელთა სინაგოგები, არ ფუნქციონირებდა კათოლიკური ტაძრები. რაც შეეხება მუსლიმებს, 1944 წლის დეპორტაციის შემდეგ ვიდრე 70-იან წლებამდე, როდესაც რეგიონში განხორცილდა მთიელ აჭარელთა ჩამოსახლების პროცესი, მათი რაოდენობა მინიმუმდე იქნა დაყვანილი.

ე.წ. „დათბობის“ პოლიტიკა XX საუკუნის 50-60-იან წლებში, ხრუმშოვის მმართველობის პერიოდში შეიცვალა ეკლესიისა და რელიგიის წინააღმდეგ დაწყებული ახალი შეტევით და ფართომასშტაბიანი ათეისტური პროპაგანდით. რელიგიური კონფესიები კვლავ იქცნენ დევნისა და შევიწროების ობიექტებად.

დასკვნის სახით ავღნიშნავთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ რელიგიური კულტების დევნა, რეპრესირება, ასევე ცვალებადი პოლიტიკა და განსხვავებული დამოკიდებულება რელიგიური კონფესიების მიმართ აფერხებდა მათ ინტეგრაციას, თანასწორობის განცდას და სამცხე-ჯავახეთის რთულ სასაზღვრო რეგიონში ქმნიდა ეთნო-რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტების წარმოქმნის საფუძველს.

### **გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:**

ბარდაველიძე, ნ. (2016 წლის 15 09). კათოლიკური ეკლესია საქართველოში (მოკლე ქრონოლოგიური ინფორმაცია). მოპოვებული „საქართველოს ძეგლები“ [www.dzeglbi.ge:https://www.dzeglbi.ge/statiebi/istoria/katolikuri\\_eklesia\\_saqartveloshi.html](http://www.dzeglbi.ge:https://www.dzeglbi.ge/statiebi/istoria/katolikuri_eklesia_saqartveloshi.html)-დან

ბარდაველიძე, ნ. (2018). საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ისტორიის ნარკვევები, უახლესი პერიოდი. თბილისი.

ბერიძე, მ. (1992). ჯავახეთი : ტოპონიმური ანალიზი. თბილისი.

იაგორაშვილი, ი. (2021 წლის 23 04). საბჭოთა პროპაგანდა



ებრაელების წინააღმდეგ. მოპოვებული „მითების დეტექტორი“:  
<https://mythdetector.ge/ka/sabtchotha-propaganda-ebraelebis-tsinaaghmdag/>-დან

იველაშვილი, თ. (2015). ეთნიკური უმცირესობები სამცხე-ჯავახეთში. თბილისი: უნივერსალი.

ლომსაძე, შ. (2011). სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს-ის შუა წლებიდან XIX ს-ის შუა წლებამდე). ახალციხე: „ახალციხის უნივერსიტეტი“.

პავლიაშვილი, ქ. (2008). საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია კავკასიაში. თბილისი.

როგავა, გ. (2002). რელიგია და ეკლესია საქართველოში (XIX-XX ს.ს.). თბილისი.

სანებლიძე, ნ. (2016). რელიგიური უმცირესობების კულტურული მეკვიდრეობის მდგომარეობა საქართველოში. მოპოვებული

<http://www.humanrights.ge/>  
<http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hriddc/reliuri%20umciresobata%20kulturuli%20memkvidreoba-geo.pdf>-

დან

სუიცა. (საქმე 12). საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1. თბილისი: რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებული.

სუიცა. (საქმე 12: 3-5, ჩანაწერი 32). საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1. თბილისი: რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებული.

სუიცა. (საქმე 122). საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1. თბილისი: რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებული.

სუიცა. (საქმე 22). საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1. თბილისი: რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებული.

სუიცა. (საქმე 23). საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1. თბილისი: რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ

რწმუნებული.

სუიცა. (საქმე 25). საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1. თბილისი: რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებული.

სუიცა. (საქმე 30:1). საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1. თბილისი: რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებული.

სუიცა. (საქმე 64, ოქმი #8). საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1. თბილისი: რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებული.

სუიცა. (საქმე 8:2). საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1. თბილისი: რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებული.

ფანჯიკიძე, თ. (2003). რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე. თბილისი: „ლევა“.

ქართველიშვილი, მ. (2022). საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში. თბილისი.

შსსა. (საქმე 13, ოქმი #23). შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 46, აღწერა 24. თბილისი: საქართველოს კ.პ. (ზ) ახალქალაქის რაიონული კომიტეტი.

შსსა. (საქმე 8, ოქმი #53). შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 47, აღწერა 13. თბილისი: საქართველოს კ.პ.(ზ) ახალციხის რაიონული კომიტეტი.

ჯაფარიძე, ა. (1993, #11). ქადაგებანი, წერილები-„ქართველთა არმენიზაცია“. გაზეთი „მადლი“.

1. <https://mythdetector.ge/ka/sabtchotha-propaganda-ebraelebis-tsinaaghmdeg/>

2.

<http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hridc/reliigiur%20umciresobata%20kulturuli%20memkvidreoba-geo.pdf>

3.

[https://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/katolikuri\\_eklesia\\_saqartveloshi.html](https://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/katolikuri_eklesia_saqartveloshi.html)

## შინაარსი

### ენათმეცნიერება

#### *მარია თედორაძე*

სოფელ ობჩის (ბაღდათის მუნიციპალიტეტი)

მიკროტოპონიმია..... 5

#### *გულნარა ჯანოვა, მაკა მურვანიძე*

ინგლისური ნეოლოგიზმები ქართულ სოციალურ

მედიაში..... 26

#### *დინა მიქელაძე*

კორონავირუსის ლექსიკური მემკვიდრეობა ინგლისურ ენაში

და ქართული ენის ლექსიკოლოგიური

პერსპექტივა..... 43

### ლიტერატურთმცოდნეობა

#### *დალი ბეთხოშვილი*

ვანლერ დაისელის პოეზია – „გადამტყდარი რკალი“ ..... 54

#### *ლალი ბერიძე*

უსამშობლობისა და ენისა და იდენტობის მიმართებისათვის

ემიგრანტი პოეტების შემოქმედებაში მაშა კალეკოს ლირიკის

მიხედვით..... 75

### პედაგოგიკა-განათლება

#### *ირმა ქურდაძე, თამარ ნარიმანიშვილი, ნინო კარკაძე*

STEM-ის სწავლების თანამედროვე ასპექტები -არაფორმალური

განათლების მეშვეობით ..... 100

#### *ნინო კარკაძე*

შებრუნებული სწავლების მეთოდები ინოვაციურ

პედაგოგიკაში..... 105

#### *თამარ ნარიმანიშვილი*

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ფაქტორების კვლევა

STEM-ის სწავლებისას..... 114

### ისტორია

#### *ირმა აბესაძე*

|                                                                              |     |
|------------------------------------------------------------------------------|-----|
| რელიგიური თემების მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთში (XX ს. 40-60 იანი წლები)..... | 126 |
|------------------------------------------------------------------------------|-----|

## Content

### Onomastics

#### *Marika Tedoradze*

|                                                                 |   |
|-----------------------------------------------------------------|---|
| MICROTOPONYMY OF THE VILLAGE OBCHA (BAGHDATI MUNICIPALITY)..... | 6 |
|-----------------------------------------------------------------|---|

#### *Gulnara Janova, Maka Murvanidze*

|                                                  |    |
|--------------------------------------------------|----|
| ENGLISH NEOLOGISMS IN GEORGIAN SOCIAL MEDIA..... | 27 |
|--------------------------------------------------|----|

#### *Diana Mikeladze*

|                                                                                                              |    |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| THE LEXICAL INHERITANCE OF CORONAVIRUS IN ENGLISH LANGUAGE AND LEXICAL PERSPECTIVE OF GEORGIAN LANGUAGE..... | 44 |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|

### Literature Studies

#### *Dali Betkhoshvili*

|                                             |    |
|---------------------------------------------|----|
| VANLER DAISEL'S POETRY - "A BROKEN ARC..... | 56 |
|---------------------------------------------|----|

#### *Lali Beridze*

|                                                                                                                                               |    |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| FOR THE RELATIONSHIP BETWEEN MOTHERLESSNESS AND LANGUAGE AND IDENTITY IN THE WORK OF IMMIGRANT POETS BASED ON THE LYRICS OF MASHA KALEKO..... | 76 |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|

### Pedagogy-Education

#### *Irma Kurdadze, Tamar Narimanishvili, Nino Karkadze*

|                                                                           |     |
|---------------------------------------------------------------------------|-----|
| CONTEMPORARY DIRECTIONS OF STEM TEACHING THROUGH INFORMAL EDUCATION ..... | 101 |
|---------------------------------------------------------------------------|-----|

#### *Nino Karkadze*

|                                                      |     |
|------------------------------------------------------|-----|
| FLIPPED LEARNING METHODS IN INNOVATIVE PEDAGOGY..... | 106 |
|------------------------------------------------------|-----|

#### *Tamar Narimanishvili*

|                                                                                      |     |
|--------------------------------------------------------------------------------------|-----|
| THE STUDY OF FACTORS IN INCREASING MOTIVATION OF STUDENTS THROUGH STEM TEACHING..... | 115 |
|--------------------------------------------------------------------------------------|-----|

## **History**

***Irma Abesadze***

|                                                        |     |
|--------------------------------------------------------|-----|
| REALITY OF RELIGIOUS GROUPS IN SAMTSKHE-JAVAKHETI..... | 127 |
|--------------------------------------------------------|-----|

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. #113,  
 ტელ.: 0(365)22-19-90, 591-41-12-78  
 ელ.ფოსტა: [contact@sjuni.edu.ge](mailto:contact@sjuni.edu.ge)